



43
1879/5

ივერია

1879

№ 5—6, მაისი და ივნისი.



ტფილისი

ამბარცუმ ენუიანჯიანცის სტამბა

1879

I. ეჭვით ავით-მყოფი, კომედია მოლდოვრისა,	5
II. ეარინკას ვეჩერი, სომხურით ნათარგმნი ჰ. უ.	74
III. ჩემს მეგობარს, (ლექსი) აკაკისა.	117
IV. გ...ს, (ლექსი) მისივე.	119
V. ტყე და იმისი მნიშვნელობა მ-სა.	121
VI. ოსმალეთის თათრები და აღმოსავლეთის საქმე, გ. იო- სეფიანის.	133
VII. ფსალმუნი, (ლექსი) თ. გრ. ობედიანისა	151
VIII. რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვ- რებიდან, (პოემა) ილ. ჭავჭავაძისა.	152
IX. ტაძარსა შინა თემილისასა, რუსულიდან ნათარგმნი.	174
X. რა ჰქნას გულმა (ლექსი) დავ. მაჩაბლისა.	194
XI. სხვა და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა- თვის	195

XII. შინაური მიმოხილვა

ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები—რაცმ არა
ვსწავ ლობთ—რა წაბალი უნდა დაესდოთ—წერა-კითხვის გა-
მავრცელებელი საზოგადოება—ჩვენებური სოფლის სკოლები—
რა ხარჯს იხდის გლეხობა სკოლებისათვის—სად რამდენი სკო-
ლაა—რამდენი მოსწავლეა—ასზედ რამდენი გლეხი სწავლობს—
რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება განათლების საქმეში. 261

XIII. სხვა და სხვა ამბავი და ცნობა. 224

XIV. დმატება: იზა, რომანი ბუეიქისი.

XV. განცხადება.

1-8 მხ 2

$\frac{43}{1879}^{15}$

ივერია


საპოლიტიკო და სალიტერატურო

ქუანალი

3361

წელიწადი მესამე.

№ 5.



ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანის სტამბა.
1879

Дозволено цензурою. Тифлисе 9 Мая 1879 г.



ეჭვით ავთ-პეოფი

(Le malade imaginaire)

მოლიერის კომედია, სამს მოქმედებათ.

მოქმედნი ჰიზნი:

არგანი, ეჭვით ავთენტუმი.

ბელინა, ავგანის მეორე ცოლი.

ანჯელიკა, ავგანის ქალი და კლენტის საყვარელი.

ლუიზინა, ავგანის უმცროსი ქალი და ანჯელიკას და.

ბერალდი, ავგანის ძმა.

კლენტი, ანჯელიკას საყვარელი.

დიაფარიუსი, ექიმი.

თომა დიაფარიუსი, იმისი შვილი და ანჯელიკას საქმრო.

პიურგონი, ავგანის ექიმი.

ფლერანი, აფთიექარი.

დებონტუა, ნოტარიუსი.

ტუანეტა, გოგო.

მოქმედება ჰარეშია.

მოქმედება პირველი.

არბანი. (ზის სტოლის წინ და თავის აფთიქარის ანგარიშსა შინ-
ჯავს.

სამი და ორი, ხუთი; ხუთიც, ათი; ათიც, ოცნი; სამი და ორი,
ხუთი. „გიდეკ ოც-და-ოთხს ამ თვეს ჰატარა ოყნა ნელა გასაკეთებელი
მომზადებული და გამარბილებელი, რათა გარბილას, დაასველას და
გაგრილას გულ-გვამი ბატონის არგანისა.“ ეს მომწონს ამ ჩემის
აფთიქარისა, რომ იმის ანგარიში უოკელთვის ზდილობიანათ არის
დწერილი. „გულ-გვამი ბატონის არგანისა—მანათ ნახევარი“. ახლა,
ბატონო ძლეკან, მარტო ზდილობა არა გმარა, უნდა წესიერათ მო-
იქცე და ავთმუოებებს ტყავი არ გააძრო. ერთი ოყნა—მანათ ნახევარ-
ი! ბატონს ჩემს გაუმარჯოს! სხვაგან უოკელთვის მანათათ მიანგა-
რიშებდი და მანათი აფთიქარის ენით ათი შაუროს. აი შენი ათი
შაური. „გიდეკ, იმავე დღესვე, ერთი კარგი გამწმენდი ოყნა, შედგე-
ნილი უოკლად ძლიერი სამეურნალოსა, რეკანდისა, უტეცხლო თაფლი-
სა და სხვათაგან, როგორც ექიმისაგან ნაბანებია, რათა გაჭვავოს,
განბანოს და განწმინდოს უგან ტანის ბატონის არგანისა მანათ ნა-
ხევარი.“ თუ თქვენი სწენი არ იქნება, ათი შაური ჩავაგდოთ. „გი-
დეკ, იმავე დღესვე, საღამოზედ, ღვიძლის გასაგრილებელი სასმელი,
მომასვენებელი და დამაძინებელი, რათა მოასვენოს და დაძინოს ბა-
ტონი არგანი—მანათი და თხუთმეტი შაური.“ აი, ამ წამლისა ვარ
მადლიერი, ძალიან კარგათ დამაძინა. ესეც ნახევრათ ვიანგარიშოთ—
ჩვიდმეტ შაურ ნახევარი. „გიდეკ, ოც-და-ოთხს ამ თვეს, ერთი კარგი
მუცელში გამოსნული სასაქმებელი, შედგენილი კასიისა, ხაჩშამბარი-

სა და სხვათაგან, როგორც ბატონი ზიურგონისაგან არის ნაბძანები, რათა გარეთ გაიყვანოს ბატონი არგანი და მოაშოროს უვარგისნი ნიეთუელებანი გვამსა მისსა — ოთხი მანათი.“ ხუმრობ, ბატონო ძლე-
რან, თუ რა არის? როდი უნდა შემომწერა ჯავთმეოფები. ზი-
ურგონმა როდი გითხრა, ოთხი მანათი ჩასწერეო. დასწერე სამი მანათი
და ჩვენ მანათ ნახეარს ჩავაგდებთ. „გიდეკ, იმავე დღესვე, წვლარტის გემოს
სასმელი, ტკივილების დამაუფრებელი, რათა მოასვენოს ბატონი არგა-
ნი — მანათ ნახეარო.“ თხუთმეტი შაური, „გიდეკ, ოცდა ექვსს, ერთი
შემაკონრობელი ოყნა, რათა განაგდოს ქარები ბატონის არგანის
უკან ტანიდან — მანათ ნახეარო.“ ათი შაური ბატონო ძლე-
რან, ათი მანათ ნახეარო.“ ესეც ათი შაური. „გიდეკ ოც-და-შვიდს, ერთი კარ-
გი წამალი, რათა ხშირათ გაიყვანოს გარეთ ბატონი არგანი საჭი-
როებისათვის — სამი მანათი.“ ესეც მანათ ნახეარო. მადლობა ღმერთს,
ძლივს პატარა ქრისტიანულად არ ანგარიშობს. „გიდეკ, ოც-და-რვათ,
ერთი სტაქანი გაწმენდილი და დაშაქრული რძე, რათა დაატბილოს,
განაოყიეროს, დაამშვიდოს და გაარბილოს სისხლი ბატონის არგა-
ნისა — ერთი მანათი.“ ესეც ათი შაური. „გიდეკ, ერთი მინა სასმე-
ლი სისადისა და ჯანმრთელობის მიმცემი, შედგენილი თორმეტის
გრანის ოფარისა, ღიმონისა და ბროწეულის წვენი და სხვათაგან,
როგორც ქიმიისაგან ნაბძანებია — ხუთი მანათი.“ ახლა, ბატონო ძლე-
რან, პატარა სინილისიც იქონიე. ესე რომ იანგარიშო, ვინ იქნება
გიჟი, ავით გახდეს. ოთხი მანათი დასწერე და ორი ვიანგარიშოთ.
სამი და ორი, ხუთი; ხუთიც, ათი; ათიც, ოცი. ექვსი თუშანი, სამი
მანათი, ერთი აბაზი და ნახეარ შაური. ამ თვეში მე დამილეკია ერთი,
ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი და რვა მინა წამალი; მე
გამიკეთებია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა,
ცხრა, ათი, თერთმეტი და თორმეტი ოყნა. იმ თვეში იყო თორ-
მეტი მინა წამალი და ოცი ოყნა. რა გასაკვირველია, რომ ამ თვეში
უფრო ავით ვარ, სანამ იმ თვეში ვიყავ. მე კეტევი ზიურგონს, რომ

ამაში წესიერება დადგინოს. შემომაცალეთ ეს წაღებიც მასვეყვია
გაჩსა. (რომ ვერავის დაინახავს, დაივირებს) წამდენიც უნდა ვიყვირო,
აწავინ არ მომხედავს; სულ მარტო გგდივარ; აჰ! რომ ვერავინ დავა-
ყენე! (დაუწყებს რეკას პატარა ზარს) დაერუგდენ თუ ხეში ზარს კარგათ
გეა რეკავს! (რეკავს) აწავინა სჩანს. (რეკავს) სწორეთ დაერუგებულან,
ტუანეტა! (რეკავს) გინდა დამიკენია, გინდა ნუ! ტუანეტა, შე საძა-
გელა, შე უნამუსო! (რეკავს კიდევ) სწორედ გამაცოფიანებენ! (რეკას
თავს დაანებებს და ყვირილს დაიწყებს) ძინ, ძინ, ძინ! შე ნამუსზედ ხელ
აღებულა! გაგონილა, ავთმოფიანის ესე მარტო დაგდება! ძინ, ძინ, ძინ!
ასეთი თავს გასვლა იქნება! ძინ, ძინ, ძინ! დემეტო შემიწყაღე! აჰ
შე მარტოს სული ამომივას! ძინ, ძინ, ძინ!

ბამ უსტლა მემოდა

იგივე და ტუანეტა.

ტუან. (შემოდის) მოგდივარ.

არბ. აი შე ღორო, შე უნამუსო!

ტუან. (თავზედ ხელს იდებს, თითქო კედელზედ მიერტყას) დემეტმა
დასწევკელს თქვენი ხასიათი. ისე აჩქარებთ ადამიანს, რომ კინაღამ
კარებს ტვინი ზედ შევასხი.

არბ. (გაჯავრებული) შე მუხანათო...

ტუან. კამე!

არბ. მთელი ერთი...

ტუან. კამე!

არბ. საათის.

ტუან. კამე!

არბ. წაგ მარტოკა გგდივარ.

ტუან. კამე!

არბ. ხმა ჩაიწყვიტე, შე ურცხუო, თორემ არ გიცი, რას გიზამ!

ტუან. მეჩე, ამ ამბის შემდეგ, შე კი რაღაში დაგჩებოთ?

არბ. უვიწლით ხმა წამივიდა.

ტუან. მე რომ გინდავმ თავი გავიტყუე, ეგ აზრადი? მოდი, თუ გინდათ ქვითნი ვიყუთ. მგონი ხმის წასვლა სჯობდეს თავის გატყუას.

არბ. რა, რას მიედებ-მოედები?

ტუან. თუ გამაჯავრებთ, ვიტირებ აი.

არბ. შე რაგულა, მარტო გამიშვი...

ტუან. ვაიმე!

არბ. შე ძაღლა შენა, შენ გინდა...

ტუან. ვაიმე!

არბ. განა, შე უნამუსო, გაჯავრებასაც არ დამაცდი?

ტუან. იჯავრეთ, რამდენიც გინდათ, მე რას გიშლით.

არბ. შენ იმას მიშლი, რომ ყოველს სიტყვასეოდ მაჩერებ.

ტუან. თუ თქვენ გინდათ იჯავროთ, მე მინდა ვიტირო. ყველას თავის ქეიფზედ მოიქცეს. ვაიმე დედა!

არბ. (წამოდგება) ჯანი გაგვარდეს, რაც გინდა ჭქენი! გამაცადე ეს რაღაც არი. ჩემმა ოყნამ დღეს გასტკა?

ტუან. თქვენმა ოყნამ?

არბ. ჭო, კარში კარგათ გავედი?

ტუან. ეგ რა ჩემი საქმეა; თქვენს აფთიქას უნდა ჭკითხოთ; ის გეტყვით პასუხს. ფუფს ის იღებს და სუფიც იმან უნდა აიღოს.

არბ. ჩქარა წყალი გამოთბე; საცაა მეორე ოყნა უნდა გავიკეთო.

ტუან. ძალიან კარგი საწყველი თხა ჩაგიტდეს ხელში თქვენს აფთიქასმა ძლეწანმა და თქვენმა კქიმმა ზიურგონმა; უსაროდეთ; ნეტავი ერთი მითხრან, რა გჭირთ, რომ მაგდენი წამლეებით დამაგლებს.

არბ. გაჩუმდი, უმეცარო; შენც უნდა ექიმების ბძახება სსსსს-ლოდ აიგდო! წადი ჩემს ქალს ანჯელიკას დამიძახე, მინდა, გუთხრას ჩემი.

ტუან. აგერ თითონვე მოდიხ; ალბათ თქვენს აზრს მისხვედ-რილას.

გამოსვლა მისამე.

იგინივე და ანჯელიკა

არბ. აქ მოდი, ანჯელიკა; კაი დროს გახნდი, მე შენთან სა-
ლაპარაკო მაქვს.

ანჯ. მიბძანეთ, ბატონო.

არბ. პატარა მომიცადე. (ტუანეტას). ერთი ჯოხი მომეცი; ეს-
ლაპ დაუბრუნდები.

ტუან. მიბძანდით, ბატონო, მიბძანდით. კაი საქმე კი გაგვი-
ჩინა, ის ვადაც რაღაცა ძეგლანია.

გამოსვლა მეოთხე.

ანჯელიკა და ტუანეტა.

ანჯ. ტუანეტა.

ტუან. რა?

ანჯ. ახა შემომხედე.

ტუან. მე რე რაო, რომ შემოგხედო.

ანჯ. ტუანეტა.

ტუან. ტუანეტა და ტუანეტა; სთქვი, რისაც თქმა გინდა.

ანჯ. კერ მისვდი, რის თქმაც მინდა?

ტუან. უეჭველია, შენს-ახალ-გაზდას საეყვარესედ გინდა ილა-
პარაკო; მთელი ექვსი დღეა, რაც ის შენ ენაზედ გადგას და გულის
კერ მოგითმენს, რომ უოველს წუთს არ ასხენო.

ანჯ. თუ ეგეც იცო, რატომ შენვე პირველი არ ჩამომიგდებ
ლაპარაკსა? რათა მტანჯავ? რათა ელი, რომ მე პირველი გამოგელა-
პარაკო იმაზედ.

ტუან. მაგლი მე რე! შენ თითონ პირველი კისრულობ იმაზედ
სიტყვის ჩამოგდებას; დასწრობა მნელა.

ანჯ. უნდა გაგიტყდე, იმაზედ ღაწაკით არ დავიღალე და
 წყატი კი დროს ვხეულობ, მე შეჭირვება ჩემი გრძნობა გაგიმხილო
 მაგნამ, ერთი მითხარ, ტუანტა, განა განვიცხავ ამ სიუკარულისთვის?

ტუან. სრულებითაც არა.

ანჯ. განა დამნაშავე ვარ, რომ ამ ტრფობის ტუბილს ძაღს
 ვემოხრჩილები?

ტუან. ვინ გეუბნება?

ანჯ. დაიჯერო, გულ-გაქვავებული უნდა დაეუხედე იმის ნაზს
 ხეყნას, იმის მხურვალე სიუკარულს.

ტუან. ღმერთმა ნუ ჭყნას.

ანჯ. ერთი ეს მითხარ, ნუ თუ შენც განგებისგან მოკლენი-
 ლი არა გგონია ის შემთხვევა, რომელმაც ჩვენ ერთმანეთთან შეგ-
 ვყარა?

ტუან. უეჭველია.

ანჯ. ახლა ისა სთქვი, როგორ ვატიოხსნუხათ მოიქცა, ჯერ
 არ მიცნობდა და ჩემთვის ისეთ ნაირათ თავი გამოიღო.

ტუან. აღწინაა.

ანჯ. სხვა უმაგილო ვინ იზამდა იმას?

ტუან. მართლაც ამბობ.

ანჯ. წარბი არც კი შეუტყუხვინია, საქმეს ისე გულანათ მოე-
 კიდა.

ტუან. ნამდვილია.

ანჯ. მშვენიერი თვალ-ტანადი რამ არის, განა ტუანტა?

ტუან. მშვენიერი რამ არის.

ანჯ. სახეზედ წუნი არა აქვს.

ტუან. არასოდეს.

ანჯ. საქმეშია, სიტუაცია დიდ-განობა ეტეობა.

ტუან. სწორეთ.

ანჯ. მაგისტრის მხურვალე სიტუაციები გაგიგონია სადმე, რომ
 მეფესაც ის მეუბნება.

ტუან. არ გამოგონია.

ანჯ. ამაზედ მეტი უბედურება იქნება, რომ დავეტილში გუ-
ზივართ და ღონისძიებას არ გვაძლევენ, მე და მისი ეს გულის გრძნობა
ერთმანეთს გაკუზიანდნო.

ტუან. სწორეთ ძნელია.

ანჯ. ასეა, ტუანეტა, როგორც გგონია, გულშია ის უღვეს,
რასაც სიტუვით მეუბნება.

ტუან. მაგისი კი რა მოგასხენო. ეგეთი საქმე ხშირათ საქ-
გია. ცრუ სიყვარული ნამდვილს სიყვარულს ძალიან ჩამოჭკავს და მე
კაი თვალთმაქცები მინახავს მაგ საქმეში.

ანჯ. რას ამბობ, ტუანეტა? განა ის პირიდან სიცრუეს ამოუშ-
ვებს. რაში ეტყობა, ერთი მითხარი.

ტუან. მაგას მაღე გაიგებ. გუშინ ხომ მოგწერა, შენს თავს
ცალათა ვთხოვო; ვნახოთ, შეასრულებს თუ არა; მაშინ შეიტყობ,
თუ ცრუა.

ანჯ. რა, ტუანეტა, თუ მე მაგან მომატუევა, აღარავის არას
დაუფუკვრებ.

ტუან. აგერ მამა-თქვენი მოდის.

ბამონსვლა მხუთი.

იგინივე და არგანი.

არგ. იმას ვამბობდი; მე მინდა, შეიღო, შენ ერთი ამბავი შე-
გატყობინო, რომელიც შენთვის მოულოდნელია. მე შენს თავსა ვითხო-
ვენ. რა მოგდის, რას იცინი? გიამა განა გათხოვება? უმაწილი ქა-
ლებისთვის სწორეთ უგვდავების წყაროა ეს კითხვა. ღმერთო, დაი-
ლოცოს შენი სახელი. როგორც ვატყობ, ქალ-ბატონო, იმის კითხვა
საჭირო აღარ არის. ინებებთ გათხოვებას თუ არა?

ანჯ. რასაც მიბძანებთ, ბატონო, მე ის უნდა შევასრულო.

არბ. მე შესიამოვნება, რომ ეგეთი მოჩხილი ქალი შეეხებ. მას საქმე გათავებულია. საქმეზე მე გიდეტ ახენილი მყავს.

ანჯ. მე ბრძოთ უნდა მივდიო უოკელს თქვენს ბძანებას.

არბ. ჩემი ცოლი, შენი დედინაცვალი, ატეხილი იყო, მოლოზ-ნათ უნდა მივცეთ და შენი პატარა და ლეიზანაც იმას იძახდა.

ტუან. ან ეწეინებოდა, ეგრე რომ მომხდარიყო.

არბ. იმას ან უნდა დათანხმებულყო ამ ქოჩწინებაზედ, მაგრამ მე მაინც ჩემი გქენი და სიტყვაც მივეცი ერთს კაცს.

ანჯ. რა, მამა, თქვენის გულ-კეთილობით რაგორი დავალებული ვარ.

ტუან. მეც მადლიერი ვარ თქვენი მაგ საქმისათვის; მაგისთან ჭკვიანური თქვენს დღეში არა ჩავიდენიათ რა.

არბ. თითონ საქმეზე მე ვერ არ მინახავს, მაგრამ მეუბნებიან კარგი რამ არის; ამასაც და შეილსაც მოგეწონებათ.

ანჯ. უაჭველათ მოგეწონებათ, მამა.

არბ. შენ გინახავს მეტე?

ანჯ. რადგან თქვენც თანხმა ხართ, მე ვაღდეული ვარ ჩემი საიდუმლო შეგატყობინოთ. მე გავიტყუდებით და გეტყვით, რომ ჩვენ იმ დღეს შემთხვევით ერთმანეთს შეგხვდით და ერთმანეთი შეგვიყვარდა. ამის გამო იმას ჩემი ცოლათ თხოვნა გაუბედნია.

არბ. იმათ მაგაზედ ჩემთვის არაფერი უთქვამთ; მაგრამ ებუჟეთესი; საქმე საქმეზედ მოდის. რაგორც იმათ მითხრეს, ზოგბა უმაწვილი-გაცი უნდა იყოს.

ანჯ. დიას, პატონო.

არბ. ღაზთიანის ტანისა.

ანჯ. სწორეთ.

არბ. სასიამოვნო სახასხავი.

ანჯ. ძალიან სასიამოვნო.

არბ. კაი თვალ-ტანადი.

ანჯ. მშვენიერი.

არზ. ჭკვიანი და კარგის გპარსა.

ანჯ. ნამდვილია.

არზ. ძალიან პატროსანი.

ანჯ. ვილა იქნება იმაზედ პატროსანი.

არზ. ლათინურსა და ბერძნულს თურმე კარგათ ღაპარაკობს.

ანჯ. მაგისი კი რა მოგახსენო!

არზ. ამ სამს დღეში ექიმობას მისცემენ.

ანჯ. იმას მისცემენ ექიმობასა?!

არზ. ჰო, იმას. განა მაგაზედ კი არა გითხრა რა?

ანჯ. არა უთქვამს რა; თქვენ ვილამ მოგახსენათ?

არზ. ზიურგონმა.

ანჯ. განა ზიურგონი იმას იცნობს?

არზ. მაშ ვილას უნდა იცნობდეს, თუ თავის დისწულსაც არ იცნობს.

ანჯ. რაგორ თუ დისწულს? განა კლავანტი ზიურგონის დისწულა?

არზ. რომელ კლავანტზედ ღაპარაკობ? მე იმაზედ გელაპარაკები, რომელმაც შენი თავი მთხოვა.

ანჯ. მეც იმაზედ არ გელაპარაკებით.

არზ. ჰო და ის არის ზიურგონის დისწული; იმის სიძის, ექიმის დიატუარიუსის შვილი; იმას ჭკვიან სხელათ თომა დიატუარიუსი და არა კლავანტი. დღეს დღით მე, ზიურგონმა და ძლეკანმა გადაწვევით ეც საქმე. ხვალ ჩემს სასიძოს თავის მამა აქ მოიყვანს. რა-ამაგია, თვალებს რას აჭეუტ?

ანჯ. მე ასე მეგონა, მამა, თქვენ სხვაზედ ღაპარაკობდით.

ტუან. რაგორ არა გრცხუნიანთ, პატრონო? თქვენის შეძლების პატრონი ქალს ექიმს უნდა აძლევდეს?!

არზ. შენ ვინა გკითხავს. ბარი ათ შაუკათ არისო, შე ურცხუო, შე უნამუსო?

ტუან. რას იგონებთ? გაუცხარებლათ საქმესედე ღაპარაკი არ იქნება განა! დაგწინარდეთ და ისე გაუძიოჯოთ საქმე. ახლა რათ გინდათ თქვენი ქალი ექიმის მიათხოვოთ?

არბ. იმათა რომ მე ავით-მეოფი და უძღუერი კაცი ვარ და მინდა ექიმებს დავემოყვრო. მე მინდა, იმათ შემწეობა გამოიწიონ და ჩემს სასწაივე იუოს იმისთანა კაცი, რომელსაც ჩემი მორჩენა შეეძლოს; მე მინდა რომ ექიმების რჩევა და რეცეპტები არ მაგლდეს.

ტუან. აი ეგ კაი საბუთია. სასიამოვნოა ეგრე მშვილობიანი ბასი ერთმანეთთან, მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ, მართლაც, ხუმრობა გასვებით, თქვენი თავი ავით-მეოფი გგონიათ?

არბ. როგორ თუ ავით-მეოფი არა გგონია, შე აწაწმინდავ, შე უნამუსო!

ტუან. კარგი, ბატონო, კარგი, ნუ ჯავრობთ. ავით-მეოფი ხართ, ავით-მეოფი, მაგასედე რა გვაჩუბებს. დიან, ძლიერ ავითა ხართ; ბატონი ბძანდებით, უკანასკნელს დღეში ხართ; მაგრამ თქვენმა ქალმა თავისთვის უნდა შეირთოს ქმარი, თუ თქვენთვის? ის რომ ავით არ არის, რაში ეჭიჭება ექიმი!

არბ. იმას რომ არ ეჭიჭება, მე შეჭიჭება და მორჩილმა შეიღმა ის უნდა შეირთოს, ვინც იმის მამის ჯან-მრთელობისათვის საჭიროა.

ტუან. შეიძლება, ბატონო, ერთი რჩევა გაგიბუდოთ?

არბ. რა რჩევა?

ტუან. ეგ გათხოვება გუფიდან ამოიწყეტო.

არბ. მითომ რათა?

ტუან. მათა, რომ თქვენი ქალი არ დათანხმდება.

არბ. ჩემი ქალი არ დათანხმდება?!

ტუან. არა.

არბ. ჩემი ქალი?

ტუან. ჰო, თქვენი ქალი. იმას არაფრათ ეზრინება არც ის თქვენი ექიმი დიაბუარიუსი, არც იმისი შვილი თომა დიაბუარიუსი, არც სხვა ვიღაც ეშმაკი დიაბუარიუსები არიან.

არბ. მე შეზინება, თუ მაგას არ ეზინება. საქმრც დასა-
წენა არ არის. ეჭიმს დიანტუარიუსს მაგის მეტი შეილი არა ჰყავს;
ზიურგონსაც არც ცოლი ჰყავს, არც შეილი და მთელს თავის ქონე-
ბას ამ ქარწილის შემდეგ იმას დაუმტკიცებს. ეს ხუმრობა ნუ გზო-
ნით: მარტო ზიურგონს სამასი თუმანი აქვს წელიწადში შემოსა-
ვალი.

ტუან. მაშ ეტეობა ბევრი ხალხი დაუხრცავს, რომ ეგრე გამ-
დიდრებულა.

არბ. სამასი თუმანი შეცოსავალი წელიწადში, მამის ქონების
გარდა, ხუმრობა არ არის.

ტუან. ეგ უყელა კარგი, მაგრამ მე მაინც ჩემთ გირჩევთ, რომ
სხვა ქმარი ამოუჩიოთ; მაგას არაფრით მოუხდება, კილაც დიანტუ-
არიუსი გდია, იმის ცოლობა.

არბ. მე ხემს სიტყვას არ გადავად.

ტუან. მაგას ნუ იტყვით, ბატონო.

არბ. როგორ თუ ნუ ვიტყვი!

ტუან. ისე, ნუ იტყვით.

არბ. ვითომ რა დამიშლის?

ტუან. ასე იფიქრებენ, რას ამბობს და რას არა, არ ესმისო.

არბ. ვის რაც უნდა, ისა სთქვას. მე კი ეს მინდა, რომ მაგან
ჩემგან მიტეული სიტყვა შეასრულოს.

ტუან. არ შეასრულებს.

არბ. ძალათი შევასრულებინებ.

ტუან. გეუბნებით, ვერ შეასრულებინებთ.

არბ. აბა ნუ შეასრულებს და მაშინვე მონასტერში უკრავ თავსა.

ტუან. თქვენა?

არბ. სწორეთ მე.

ტუან. ვნახოთ.

არბ. რა ნახოთ?

ტუან. თქვენ მაგას მონასტერში თავს ვერ უკრავთ.

არბ. მე გერ ვუკრავ თავს მონასტერში!

ტუან. კერა.

არბ. კერა?

ტუან. კერა.

არბ. ბატონს ჩემს გაუმადლობს! მე გერ მიგცემ ჩემს ქალს მონასტერში, თუ მინდა!

ტუან. კერა მეთქი გუებნებით!

არბ. მეტე ვინ დამიშლის?

ტუან. თქვენ თითონ.

არბ. მე?

ტუან. დიას, თქვენ. თქვენი გული მაგას გერ იზამს.

არბ. ვიზამ მეთქი მაგას.

ტუან. ხუმრობთ.

არბ. მე სულაც არ შეხუმრება.

ტუან. მამობრივი სიუკარული დაგძლეკო.

არბ. მე გერათეკი გერ დამძლეკს.

ტუან. კმადა, რძი ცრემლი ჩამოვარდეს, ხელები კისერზედ მოგხვიოთ, თავისებურათ ნაზათ, ჩემო მამილა, გითხრათ და მაშინვე გული მოგიწბილდებათ.

არბ. ტუილი იმედებია.

ტუან. ძრიელ მართალია.

არბ. მე შენ გუებნები, ჩემს სიტუვას არ გადავალ მეთქი.

ტუან. ეგ სულ მასხარაა.

არბ. რას მიედ-მოუდები, შენ თითონ მასხარა!

ტუან. ბატონო, მე თქვენ გიცნობთ, მე ვიცი თქვენი კეთილი გული.

არბ. მე კეთილი კი არა ვარ, ავი ვარ, თუ მოვიწოდებ.

ტუან. ახლა ნუ ცხარობთ, ნუ გავიწყლებათ, რამ ავითა ხარო

არბ. მე მაგას გუბძანებ, რამ ჩემგან ამოწმებულზედ ჭკარის დასაწერათ მოეწიზადოს.

ტუან. მე მაგას ვუბნებ, რომ ეგ ფიქრობდა ან გაიტაროს.

არბ. ხედავთ ამ თავსედობას! ვის გაუგონია, რომ ვიღაც გომბიო თავის ბატონს ასე უკადნიერდებოდეს!

ტუან. როცა ბატონი ღობე-უორტეს ედგება, ერთგულმა მოახლემ უნდა კარგს გზას დაუყენოს.

არბ. (წამოხრება და ტუანეტას გამოუდგება) გამიშეით, მოგვლას, სული ამოვართვა.

ტუან. (გაიქცევა და სკამს დასდგამს თავისსა და არგანს შუა) ჩემი ვაღია, დავიშლათ იმისთანა საქმე, რომელიც თქვენ გაგაუპატიურებთ.

არბ. (ჯოხით დასდევს ტუანეტას. ორივენი ამ ლაპარაკის დროს სკამს გარშემო უვლიან) აქ მოდი, აქ მოდი, რომ ეგ ენა მუცელში ჩაგიძვრინო!

ტუან. მე თქვენ სულელური საქმე ან უნდა ჩაგადენინათ.

არბ. აი შე ურცხვო, შე ძაღლო!

ტუან. მე მაგ ქორწინებაზედ თავის დღეში ვერ დამათანებებთ.

არბ. შე ჩამოსასხრებო!

ტუან. მე ან მინდა რომ თქვენმა ქალმა თქვენი თამა დი-ქუარისი შეირთოს.

არბ. ურცხო, უნამუსო!

ტუან. ეგ ჩემს სიტყვას უფრო დაეჯერებს, სანამ თქვენსას.

არბ. (გაჩურდება) ანჯელიკა, რატომ ან მიშვედი და ან დამა-ჭერინებ ამ ანა წმინდას.

ანჯ. მამა ჩემო, გუფს ნუ იშფოტებთ, თორემ უფრო ავით გახდებით.

არბ. (ანჯელიკას) თუ ან დამიჭერ, დავწეველი, შეგახევენ.

ტუან. (გაიქცევა) მე კი, თუ ეგ თქვენს სიტყვას გაიგონებს, შემევიდრებოდა წავართმევ.

არბ. (თავის სკამზედ დაეცემა) ამასეღ მეტი აღარ შემიძლიან; ღამის სული ამომავიდეს.

ბამოსვლა მემკვსე

არგანი და ბელინა.

არბ. ოჰ, ჩემო სავარჯლო, აქ მოდი ერთი.

ბელ. ხომ არა გტყვიან რა, ჩემო სიტყვებზე.

არბ. მოდი, მომხედე.

ბელ. რა გტყვიან, შენ გენატყვას ჩემი თავი?

არბ. ოჰ, ჩემო ერთგულ.

ბელ. რა იყო, ჩემო სიტყვებზე.

არბ. გამაჯანყეს, გული მომაუკანეს.

ბელ. როგორ, რაზედა, ჩემო სულის დეშავ?

არბ. იმ ურცხვამ ტუნეტამ ნამუსზედ სულ ხელი აიღო.

ბელ. ნუ ჯანჯარობ, გეთაუვანე, დამშვიდდი.

არბ. უელში სისხლი მომგვანა.

ბელ. ნუ იბრუნებ გულსა, ჩემო გუჭო, ჩემო ღვიძლო.

არბ. მთელი ერთი საათი რასაც ვამბობდი, ყველაფერზედ უარს მეუბნებოდა.

ბელ. დაწუნარდი, შენი ჭირიმე, დაწუნარდი.

არბ. ენა ისე წაიჭამა, რომ მიბედავს და მეუბნება, ავით არა ხარ.

ბელ. სიბრძნევე მოსკლია.

არბ. შენც ხომ იცნობ, რაც არის, ჩემო სულის კოლოფო.

ბელ. ვიცი, შენს თავს შემოკველე, ვიცი, რომ დამნაშავეა.

არბ. მე ეგ სულს ამომართმევს.

ბელ. სუ, გეთაუვა, სუ.

არბ. იმის ბრალა, რომ ასე მუცელში ავითა ვარ, სულ ნაღვე-
ლაზედ გაგდივარ

ბელ. გული დაიმშვიდე ჩემო სიტყვებზე.

არბ. რა ხანია, გეუბნები, დაითხოვე მუთი.

ბელ. კხანდელს დროში ვის იზოვნი, გენაცვალე, იმისთანა მოსამსახურეს, რომ წუნი არ ედვას. ზოგიერთი ცუდი ხასიათი უნდა იმას კარგს ხასიათს მიუტყვე. მეტი გზა არ არის. ტუანეტა მარ-
და, გულის შემტკივარი, გამრჯე და ერთგული. ხომ იცო, ესდა-
დიდი სიფთხილე გემართებს მოსამსახურის დატყვას. ტუანეტა!

გამოსვლა მთავრიდან

ივინივე და ტუანეტა.

ტუან. რას მიბძნებთ, ქალბატონო?

ბელ. რათ გააჟავრე შენი ბატონი?

ტუან. (თავს მოიკატუნებს) მე, ქალბატონო? მაგას რას მიბძ-
ნებთ? მე სულ იმას ვუქმობ, ჩემი ბატონი რითივე ვასიამოვ-
ნო.

არბ. შესედეთ ამ ურცხვს!

ტუან. მაგანა ბძნა, ჩემი ქალი დიადურის უნდა მიკათო-
ვო. მე მოვასხენე, რომ თუმიც საქმრო კარგი ამოგინჩევიათ, მაგ-
რამ ის სჯობს, თქვენი ქალი მონასტერში მისცეთ მეთქი.

ბელ. ურთოვთ არ ამბობს.

არბ. ოჲ, ჩემო კეჭო, განა მაგას სიტყვას უჯერებ? მაგ ავმა
სულმა რაები არ მაკადრა.

ბელ. მჯერა, მჯერა, ჩემო სიხარულო, აღონდ დამშვიდდი.
ტუანეტა, უური მომიგდე: თუ კიდევ შენი ბატონი გაგიშოვ-
თებია, სახლში აღარ დაგაუენებ. მოიტა, მომეც ამისი ტყავი და ბა-
ლიშები, რომ სვამზედ კარგათ დავსვა. ასე ჯდომა იქნება. ქუდი უუ-
რებადინ ჩამოიცი; ხომ იცო კაცი ურებიდამ უფრო გაცივდება.

არბ. ოჲ, ჩემო ერთგულო, როგორ გადავიხადო, რა შეწუხე-
ბასაც მე შენ გაუენებ.

ბელ. (გარეშე ბალიშებს შემოწუხობს) პატარა ზეზე წამოიწიე,
რომ ეს ქვეშ ამოგიდო; ამასე დაეუფლები; ეს მეორე გვერდზედ
დავდოთ; ეს ზურგს უკან ჩავდოთ; ესეც თავ-ქვეშ დასადებლათ იყოს.

ტუან. (ერთს ბალიშს თავზედ ჩამოაფარებს) ესეც იმისთვის, რომ მაღლიდამ ნამძა არ დაგვრას.

არბ. (წამოხტება და ტუანეცას ბალიშების სროლას დაუწყებს. ტუანეცა გაიქცევა) გინდა, დამახსნო შე უნამუსო!

ბამოსვლა მერვე

არგანი და ბელინა.

ბელ. ეს რა არის, რა ამბავია?

არბ. (თავის სვამზედ დაეცემა) ოჰ, ოჰ, ოჰ! შეტი აღარ შემოდ-
ღიან.

ბელ. რა არის კბეთი გაცეცხლება, განგებ ხომ არ უქნია.

არბ. შენ ჯერ მაგას არ იცნობ, რა ეშმაკობა გამოუვა ხელი-
დან. სული ამომართოვ, რვა მინა წამალი და თორმეტი ოუნა მაინც
დამჭირდება რომ პატარა სული მოვიბრუნო.

ბელ. დამჭირდდი, ჩემო კვრიტო, ნუღარა ჯავრობ.

არბ. შენა ხარ ჩემი ნუგეში, ჩემო მტრედო.

ბელ. უი შენი გულისა!

არბ. ჩემო სულიყო, შე მინდა შენის სიყვარულის მაგიერი
გარდაგისდო და ანდერძი დაგიმტკიცო.

ბელ. ებ პირიდან როგორ ამოუშვი, შენ გენაცვალოს ჩემი
თავი, როგორ გაგონე ებ ჩემს უფრებს? მარტო ანდერძის ხსენებამ
შიშით განგაღს მომავლად.

არბ. შენს ნოტარიუსს მაგაზედ მოელაპარაკე?

ბელ. მოელაპარაკე და თანაც მოვიყვანე.

არბ. მაშ შემოაყვანე.

ბელ. ოჰ, ჩემო სიცოცხლე, კისაც კი ქმარი უყვარს, მაგაე-
ზედ როდილა თეიქრობს.

გამოსვლა მამსრა.

იგინიკე და დებონჭუა.

არზ. აქეთ მობძანდით, ბატონო დეზანჭუა; სვამი მოიდგით. ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ თქვენ ძალიან ჰატოისანი გაცი ბძანდებით და ჩემი ცოლის კაი შეგობაობიც. მე მას უკან მასს დავაბარე, რომ თქვენთან ანდერძედ მოეღაპრანა.

ბელ. ოჲ, მე მაგაცოდ ღაპრების დონე არა მაქვს.

დებონ. თქვენმა შეუღლები მოამბო თქვენი განზრახვა და სურვილი; მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, რომ ანდერძით თქვენს შეუღლებს გერას გადასცემთ.

არზ. რატომ ვითომ?

დებონ. ეგ ჩვეულებას წინააღმდეგია. ამ ქვეყანაში წერილი კანონები რომ იყო, მაშინ სხვა, მაგრამ ჰარეში და ზოგს იმისთანა ქვეყნებშიც, სადაც ჩვეულებას კანონის მაგივრი, ეგ არ შეიძლება და ანდერძი უქმი იქნება. შეუღლებთ თუ ერთმანეთის სიკეთე უნდათ, სიცოცხლითვე უნდა გადასცენ ერთმანეთს ქონება და ესეც მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ, თუ ორივენი უშიგლანი არიან.

არზ. შეატყვისა ღმერთმა მაგისტანს ჩვეულება, რომელიც ქმარს უშლის თავისი ქონება თავის საყვარელს და მოამბე ცოლს გადასცეს, მე ჩემს კეჩილს დავეკითხები, როგორ უნდა მოვიქცე მაგ შემთხვევაში.

დებონ. ეგ კეჩილების საქმე არ არის. ისინი ძალიან შეატყაოთ იქცევიან და ასე ჭკონიანთ დიდი ბოროტ-მოქმედებას კანონის გაცურებად. იმათ ყველაფერი უძნელდებათ და თავიანთ სინიდიის ბრმათ მისდევენ. თქვენ სხვა ზნით უნდა დავეკითხოთ; იმათ, რომელთაც საქმის დაჭერა უფრო ადვილია, რომელთაც მრავალ-გვარი საშუალება აქვთ კანონის გადასვლისა და აკრძალულის გამართლებისა; იმათ, რომელთაც შეუძლიანთ სიძნელის დამარცხება და ჩვეულების გადაბი-

ჯემა. უმართო ვინ იცის, რა დაგვემართებოდა! უნდა გავწამო ყოველისთვის გავადვილო, თუ არა და ჩვენი ხელობა რა ხელობაა.

არბ. ჩემმა ცოლმა მართალი მითხრა თქვენზედ, მოხერხებული და ზატონისანი კაციაო. ახლა, არ შეიძლება, მიბძნოთ, როგორ მოვახერხო, რომ ჩემი ქონება მაგას გადავცე და ჩემს შვილებს გამოვწირო.

დებონ. როგორ მოახერხოთ? თქვენ უნდა ამოიჩინოთ თქვენის ცოლის ერთი კარგი მეგობარი, რომელსაც წესიერად დაუმტკიცებთ ანდერძით, რისაც მიცემა გინდათ; ის მეგობარი მასუგან ყოველისთვის დაუბრუნებს თქვენს ცოლს. შეგიძლიანთ კიდევ თქვენი თუილი გაასესხოთ და თამაშუქები თქვენს ცოლს მისცეთ. შეგიძლიანთ გვრეთვე, სიცოცხლითვე ჩააბაროთ ნაღდი თუილი.

ბელ. რაზედ იწუხებ თავსა, ჩემო სიცოცხლე თუ ღმერთი გამიწერება და შენ აღარ შეუიღებო, ღილათის ვიცოცხლო ქვეყანაზედ!

არბ. ჩემო სიცოცხლე!

ბელ. შენი დამკარგავი...

არბ. ჩემო გვერდი!

ბელ. რაღათ გამოვიყენებ ამ თუილს სიცოცხლეს.

არბ. ჩემო მტრედა!

ბელ. მე საფლავში თან ჩამოგვყვები: მე უშენოთ როგორღა გავძლებ!

არბ. გულს ნუ მიხეთქავ, შენ გეთაყვანე.

დებონ. ტყუილათ იწუხებთ თავს ტირილით; ჯერ სატირადი არა გაქვსოთ რა.

ბელ. ოჰ, ბატონო, თქვენ არ იცით, რა არის საყვარელი ქმარი ქალისთვის.

არბ. თუ მოგვედები, დაწლათ მხოლოდ ეს ჩამოგვება, რომ შენგან შეიღი არა მყავს; მაგრამ ზიურგონმა კი მითხრა, რომ ერთს მაინც შეგველათ გაუიღებოთ.

დებონ. ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა.

არბ. მას ჩემი გვრიტო, როგორც ეს ბატონი ბძანებს ისე შევადგინოთ ანდერძი. ესლავე ხელში შეიდასი თუმნის ოქროს მოგ-ტემ, ჩემს მუთაქაში მაქვს ჩადებული და ორს თამასუქს, ერთს და-მონხედ და მეორეს ჯერანტხედ.

ბელ. არა, შენ გენაცვალს ჩემი თავი, მე არაფერი არა მინ-და რა... რამდენი ოქროსა შენს მუთაქაში?

არბ. შეიდასის თუმნისა, ჩემი გვრიტო.

ბელ. რა დროს იფულხედ ღაზაჩაკა, შენ გენაცვალს ჩემი თავი... რამდენისაა ის ორს თამასუქი.

არბანი. ერთი ორასის თუმნისა და მეორე ას-ოც-და-ათი-სა.

ბელ. რა არის ჩემთვის მთელი ქვეყნის ქონება, თუ შენ არ შეეოლები.

დებონ. გნებავთ, ანდერძი შევადგინოთ.

არბ. დიას, ბატონო; მაგრამ ისა სჯობს ჩემს პატარა ოთახში შევიდეთ; ჩემი გუგო, ხელი მომეცა:

ბელ. წავიდეთ, შენი ჭირიმე.

ბამონსვლა მმართ.

ანჯელიკა და ტუანეტა.

ტუან. ნოტარიუსიც მოუყვანიათ და ანდერძზედ ღაზაჩაკასც უფრო მოკვარ. შენს დედინაცვალს ჭკუას ვერავინ ასწავლის. რადრ შეთქმულება გაუმართავს შენს წინააღმდეგ და მამა-შენიც ჩათურევია.

ანჯ. ქონებას რაც უნდა უფონ, ოღონდ ჩემს გულს დაეხსნან. სომ ხედავ, ტუანეტა, ჩემს სურვილს როგორ ძალას ატანენ. ნუ და-მანებებ თავს ამ უკიდურესს მდგომარეობაში.

ტუან. მე შენ უნდა თავი დაგანებო! უი, უწინამც დღე დამე-ლიოს. შენი დედინაცვალი კი ცდილობს თავისკენ მიმიზნოს, მაგრამ

მე იმისკენ გული ვერ მიმივა და ვერც შენ გიღალატებ. მე მომანდო
 ებ საქმე; მე ვიცი რა სამსახურსაც გაგიწევ. მაგრამ თუ გვინდა, რომ
 საქმე კარგათ მოგვიხდეს, უნდა სხვაფრივ მოვიქცე; ჩემგან შენი სიუ-
 ვარული დაუფარო და ისე ვახვენი თავი, ვითომც შენი დედინაცვლის
 მხარე შეჭირვოს.

ანჟ. კტადე, გეთაყვა, რომ გლეხებს ამ საქმის ამოჩევის ამ-
 ბავი შეატყობინო.

ტუან. არ ვიცი ვინ გაგგზავნო; ისევ ჩემს ბებრუტანს საუვა-
 რედს თუ გაგგზავნო. ამაღამ გვიან იქნება; სწავლ კი სისხამ დიდა-
 ზედ...

ბამოცვლა მეთერთმეტე.

ივინიკე და ბელინა (სტენის უკან).

ბელ. ტუანეტა!

ტუან. აგერ ის მიძახის. დამე მშვიდობისა. შენ ფიქრი ნუ
 გაქვს.

მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი.

კლემენტი და ტუანეტა.

ტუან. რა გნებათ, უმაწილო?

კლემან. რა მნებაჲს?!

ტუან. ოჲ, თქვენა სძანებულხართ; აქ რამ მოგიყვანათ?

კლემან. მე იმან მომიყვანა, რომ მანდა ჩემი ბედი შეგიტყო, ჩემს საყვარელს ანჯელიკას კელაპარაკო, დაკეციოსო იმის გულს და გათქმეინო, რას თქვობს ამ გათხოვებაზედ. ეს არის ესლა შეგიტყე მე ეგ საშინელი ამბავი.

ტუან. დიას, კარგი, მაგრამ ანჯელიკასთან ღაპარაკი აგრე ადვილია არ გახლავთ; უნდა სხვა გზა მოიხსნოს კაცმა; სომ იცით, მწარეთ გამომწევდელი ჭყავთ; არც კარში უშვებენ და არც არავისთან აღაპარაკებენ. ერთს ამის ბებერს მამიდას რომ არ მოენდომა თეატრში წასვლა და ანჯელიკას თან წაყვანა; თქვენ ერთმანეთს კერ შესვდებოდით და არც ეგ ცუდელი გაგინდებოდათ გულში. რაღა თქმა უნდა, რომ იმ ამბავზედ კრინტიც არ დაგვიძრავს.

კლემან. მე სომ ჩემს მაგიერათ არ მოვდივარ, რომ სიყვარული გამოვუცხადო. მე ანჯელიკას მუზიკის მასწავლებლის მეგობარი ვარ და იმან ნება დამართო, იმის მაგიერათ მოვსულვიყავ.

ტუან. აგერ იმისი მამა; პატარა უკან დადექით; მე პეტრო მუზიკის ოსტატი ვეთქი.

ბამოსვლა მემოკი.

არგანი და ტუანეტა.

არბ. (თავის-თავი მარტო ჰგონია.) ზიუტგონმა მიბძანა უოკელ დილით შენს ოთახში ისეინელა; თორმეტჯერ გაიარე და თორმეტჯერ გამოიარე; მაგრამ ის რომ ვერა კვითხე, სიგქეზედ უნდა გა-
ვიარო, თუ სიგანეზედ.

ტუან. ბატონო, აგერ ერთი.....

არბ. ხმა-დაბლა აღაშტაყე, შე ბრძივე! ღამის თავი გამომი-
ლაყო. ეგ როგორ არ იცის, რომ აკათ-მეოფეს აგრე არ უნდა დაუდ-
რიადო!

ტუან. მე უნდა მომესხენებინა, ბატონო, რომ...

არბ. ხმა-დაბლა მეტქი, მე შენ გეუბნები.

ტუან. ბატონო. (ვითომ ყურში უჩურჩულებს.)

არბ. როგორ?

ტუან. მე მოგასხენებთ, რომ, (ვიდე ყურთან ტუჩებს მიიჭანს და
აგმატურებს.)

არბ. რა, რას ამბობ?

ტუან. (მალლა.) მე ვამბობ, რომ ერთს კაცს თქვენთან ღაზა-
რაცი უნდა.

არბ. მოვიდეს. (ტუანეტა კლევანტს შემოსვლას ანიშნებს.)

ბამოსვლა მისამე.

იგინივე და კლევანტი.

კლევან. ბატონო.....

ტუან. ეგრე მალლა ნუ აღაშტაყობთ, — ბატონს თავს ნუ გა-
მოუფაყებთ.

კლევან. მაღლობა დმერთს, ბატონო, რომ ზეზედა გხედავთ
და ეგრე კარგათა ბძანდებით.

ტუან. (გითომ ჭავჭავი.) რაღა თუ კარგათა ბძანდება! სრუ-
ლებითაც არა ბძანდება კარგათ; სულ ავად-მყოფობს.

კლემან. მე კი გავიგონე, რომ ძალიან კარგათა ბძანდება;
ფერიც ძალიან კარგი აქვს.

ტუან. ვინ გითხრათ კარგი ფერი აქვს? ძალიან ცუდი ფერი
აქვს; ეგ ვიღაცა მეტყუარაებს მიუქარავთ და უთქვამთ, კარგათ არი-
სო; ეს თავის დღეში ესე ავად არა ყოფილა.

არბ. მართლაც ამბობს.

ტუან. მართლაც, სხვასავით დადის, სძინავს, სჭამს და სვამს,
მაგრამ მაინც ძალიან ავად არის.

არბ. სწორეთ მართლაც.

კლემან. ძალიან ვწუხვარ მაგისთვის, ბატონო. მე თქვენის ქა-
ლის სიმღერის მასწავლებელმა გამომგზავნა; თითონ იმას რამდენიმე
დღით სოფელში წასვლა მოუზღა და, რადგან იმისი გულითადი მე-
გობარი ვარ, თავის მაგიერათ დამნიშნა, რომ სწავლება არ შეჩერდე-
სო და რაც იცის თქვენმა ქალმა, არ დაგიწუროსო.

არბ. ძალიან კარგი. (ტუანს.) ანჯელიკას დაუძახე.

ტუან. მე მგონია, ის ეჭვობინება, ეს ბატონი იმის ოთახში
წავიყვანო.

არბ. არა, აქ მოიყვანე.

ტუან. თუ ცალკე არ იქნებიან, კარგათ ვერ ასწავლის.

არბ. გითომ რატომ?

ტუან. თქვენ სიმღერა ტყუილათ თავს გაგიბრუებთ; თქვენს
მდგომარეობაში მეოფეს კაცს სიფთხილე მართებს, არამ ახლეკოს,
ტვინი ანამ შეურყიოს.

არბ. მაგის ფიქრი ნუ გაქვს. მე მუხიკა მიყვარს და უფრო
მესამოყვება..... აგერ თითონვე მოდის. (ტუანს.) წადი, ნახე,
ჩემი ცოლი ჩადმუღია, თუ არა.

ბამოსვლა მემოთხე.

არგანი, ანჯელიკა და კლენტი.

არბ. აქ მოდი, შეილო; შენი მუზიგის ოსტატი სოფელში წა-
სულა და ეს ემსწვილი გამოუგზავნია თავის მაგიერათ.

ანჯ. (კლენტს იცნობს). ღმერთო!

არბ. რა იყო, რამ გავაკვირვა?

ანჯ. მე.....

არბ. რა მოგივიდა, რომ ეგრე აღელდი.

ანჯ. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ამაღელვა.

არბ. როგორა?

ანჯ. მე წუხელის სიზმარში ვნახე. რომ საშინელს გაჭირვე-
ბულს მდგომარეობაში ვიყავ; ერთი ემსწვილი-გაცი მოვიდა, რომე-
ლიც სრულებით ამათა ჭკავდა. მე ვთხოვე იმას შეწევნა და იმან და-
მისხნა იმ მწუხარებიდამ. აქ რომ შემოველ, მე გავაკვირვა იმისმა
მოულოდნელმა დანახვამ, რომელიც მოელი ღამე თვალ-წინ მიდგა.

კლემან. დიდი ბედნიერებაა კაცისათვის, რომ თქვენ იმაზედ
ფიქრობდეთ, თუნდა ძილში, თუნდა ცხადთ და ჩემს ბედს ქვეყანას
შეკანატრულებდი, რომ რომელსამე მწუხარებაში განახოთ და თქვენის
დახსნის ნება მომეცეს; ანაფერს ანას დაგზოგადი თქვენს...

ბამოსვლა მესამე.

ივინიკე და ტუანეტა.

ტუან. ესლა, ბატონო, მეც თქვენი მხარე მიჭირავს; რაც გუ-
შინ გითხარი, ვეღასფერი გადამიტყავს. თქვენს სასახავათ მობძან-
დენ ბატონი დიამფარიუსი—მამა და მეორე ბატონი დიამფარიუსი-
შვილი. ოჰ, რა სიძე გეყოლებათ! თქვენ ნახვით უმშვენიერესს და
უგონიერესს ემსწვილ-გაცს; მართალია, ორის სიტყვის მეტი გი აჩ

უთქვამს, მაგრამ მაინც აღტაცებაში მომიყვანა; თქვენს ქალსაც ძაღიან მოეწონება.

არბ. (კლენცს, რომელიც წასვლას დააპირებს). აქ დარჩით, უმაწვილო. მე ჩემს ქალს ვათხოვე და ესლა მაგის საქმრო მოუყვანიათ, რომელიც მაგას ჯერ არ უნახავს.

კლემან. დიდათ მავალვით, ბატონო, რომ ნუას მძღვეთ, დაგესწა მაგათ ერთმანეთთან შეყვას.

არბ. ის არის შეიღი ერთი სანაქებო ექიმისა; ქორწილიც ამ ოთხს დღეზედ მოხდება.

კლემან. დიას, კარგი.

არბ. მაგის მუზიგის მასწავლებელსაც შეატყობინეთ ეს ამბავი, რომ ქორწილში აქ დაესწროს.

კლემან. ბატონი ბძინდებით

არბ. აგრეთვე თქვენცა გთხოვთ, მობძინდეთ.

კლემან. დიხსი არ გახლავართ მაგ პატივისცემისა.

ტუან. ჩამოდექით, მობძინდებიან.

ზამოცხლა მემკვსა.

ღიაფუარიუსი, თომა ღიაფუარიუსი, არგანი, ანჯელიკა, კლენტი, ტუანეტა და ერთი მოსამსახურე.

არბ. (ქუდზედ ხელს დაიდებს, მაგრამ კი არ მოხდის.) ჰიუტგონმა ამიგრძალა ქუდის მოხდა და თქვენც მოგესხენებათ, რაგორც ექიმს, რა შედეგი მოხდევს თავის გაშიშვლებას.

ღიაფ. ჩვენ იმიტომ დავდივართ, ავთ-მეოფებს შევეწით და არა იმიტომ, რომ უსიამოვნება მივაყენოთ.

(არგანი და ღიაფუარიუსი, ორივენი ერთსა და იმავე დროს ლაპარაკობენ).

არბ. მე, ბატონო, დიდათ,

ღიაფ. ჩვენ მოვედით აქ, ბატონო,

არბ. მონაწილე ვარ.

ღიძაძ. მე და ჩემი შვილი თამა,

არბ. თქვენის ნახვისა;

ღიძაძ. რათა აღვიაროთ

არბ. და უფრო მონაწილე ვიქნებოდე,

ღიძაძ. ჩვენი უზომო სიხატული

არბ. შემძლებოდა თქვენთან სლუბა,

ღიძაძ. იმ წყალობისთვის,

არბ. რომ გადაწყვიტა თქვენი პატივისცემა;

ღიძაძ. რომელიც თქვენ ჩვენ მოგვანიჭეთ

არბ. მაგრამ თქვენ თითონ იცით, პატრონო,

ღიძაძ. და ინებეთ

არბ. რა არის უძლეო ადამიანი,

ღიძაძ. ჩვენთან კავშირი,

არბ. რომელსაც იმის მეტი არა შეუძლიან რა,

ღიძაძ. და რათა გაცნობოთ,

არბ. რომ სიტყვით მოგახსენოთ,

ღიძაძ. რომ რაც ჩვენს ხელბას შეეფერება

არბ. როგორ ეცდება ყოველს შემთხვევაში,

ღიძაძ. და ატყუებ სხვა ყოველს საქმეს

არბ. გაცნობოთ

ღიძაძ. ჩვენ მზათ ვიქნებით

არბ. მისი თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა.

ღიძაძ. თქვენის სამსახურისა. (თავის შვილს). აბა, თამა, რაღას

უუფრებ, სულამი მიატოვი.

თომბა. (თავის მამას). ჯერ მამას ვუთხრა?

ღიძაძ. დიახ.

თომბა. (არგანს). მე მოგედი, რათა გიწამოთ, აღვიაროთ, შეგიყვაროთ და თავიანთ გტოვო, კითხვას მამასა-ჩემსა, მე-
რესა მამასა, რომლისადმი მაწევს მე კალი მომეტუბული, ვიდრე პირ-

ველისად მე, რადგან შირველმა მე ჩამსახ და თქვენ ამომიწიეთ. მან მე მიმიღო შვილათ ძაღლთა საჭირთებისათა და თქვენ მიმიღეთ ძაღლთა წყალობის თქვენისათა; რაიცა მომანიჭა მე შირველმან, მომანიჭა, ვითარცა ნამყოფსა სხუელისა მისისასა; რაიცა მომანიჭეთ მე თქვენ, მომანიჭეთ, ვითარცა ნამყოფსა ნებისა თქვენისასა და ვითარცა ნიჭიერებისა სუელიერნი აღმატებისა ნიჭიერებისათა ზოცნიელთა, ეგრეთა ვარ მე ვაღდეუელ თქვენდა და ვრატხ უძვირფასესათ მომავალსა კავშირსა ჩვენსა, რომელისათვისაც მოკლე წინაშე თქვენსა, რათა განვიცნადოთ ძაღლთა უმდაბლესი და უმაღლისესი უადრესი.

ტ.შ.ნ. გაუძარჯოს იმ შგოლას, საიდანაც ამისთანა სწავლულუბი გამოდინ.

თომა. (თავის მამას) კარგათა ვსთქვი, მამა?

დიადუშარ. ძაღლან კარგათ.

არბ. (ანჭელივას) მიდი მიესაღმე.

თომა. (თავის მამას) მაშილო, ვაგოცრა?

დიადუშარ. დაახ, დაახ.

თომა. (ანჭელივას) სრულის სიმაღლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახელი დედი-ნაცვლისა, რადგან...

არბ. (თომას) ეგ ჩემი ცოლი არ გახლავთ, ჩემი ქალია.

თომა. ის სადღაა?

არბ. ესლავ მოვა.

თომა. მოგუცადო, მაშილო?

დიადუშარ. ვერ მაგ ქალს მიესაღმე.

თომა. ვითარცა ძეგლი შემონისა გამოცემდა ხმათა, სმენათა დამატებოვლთა, რადეს სხივნი მზისანი განანათლებდენ მას ეგრეთა აღტყინდი მე აღტაცებითა ტბილითა, რა ვიხილე მზე მშვენიერებათა თქვენცა და ვითართა მეცნიერნი ბუნებისანი ამტკიცებენ, რომ ყვავილი, სახელწოდებული მზოკ-ჭკრიტათ, მიქცეულ არს დღისა მნათობისაჲში, ეგრეთა გუფი ჩემი აწინდელის ჟამით მიქცეულ იქმნეს ბრწყინვალე მნათობადმი თვალთა თქვენთა განსაცვიფრებლთა, ვი-

თარჯ მიზიდულნი ძაღვით ანდამატისათა. მომეცით დართვა ნებისა, რათა შემოგწირათ მსხვერპლათ საკურთხეველსა ზედა თქვენის მშვენიერებისასა გუფი ესე, რომელ არა სუნთქავს და არ ეძიებს. არა რაიმე დიდებასა სხვასა, თვინიერ მისა, რათა იუფს დღედმდე სიკვდილისა თქვენი უმარჩილესი, უმდაბლესი და უერთგულესი მონა, მოსამსახურე და ქმარი თამა.

ბეჟან. აი სწავლა ამან დაიკვებოს; აი დაჯილდოვილი სიტყვები!

არბ. (კლემენტს) რას იტყვით ამასე?

კლემან. საოცრათ ღაპანაკობს და თუ ეგ უმაწვილი ისეთივე კარგი ექიმი, როგორც ღატორი, ნეტავი მაგის ავთმყოფებს.

ბეჟან. თუ ისე კარგათ არჩენს, როგორც ღაპანაკობს, გასაკვირველი რამ უნდა იუფს.

არბ. მომეცით ჩემი სკამი და სხვებსაც სკამები მოართვით. (მოსამსახურეები სკამებს მოიტანენ. აგელეას) მანდ დავუქ, შვილო, (დიოფაროსს) სედავთ ბატონო, როგორ მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოჭყავს თქვენს შვილს; ბედნიერა ხართ, რომ ეგეთი შვილი გევათ.

დიოფარ. მე მამობით კი არ ვიტყვი. მაგრამ ძაღვან კმაყოფილი ვარ მაგისი. ვინცა ნახავს ყველა ამოებს, ავი არ უნდა იუფსო. მართალია, ცოცხალი გონება არა აქვს, მაგრამ ეგ უფრო ამტკიცებს, რომ გამჭრიახობა არ ავლია, რომელიც ჩვენს ხელმებისათვის საჭიროა. პატარაობისას ეგ ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი არ იყო; იყო თავისთვის ჩუმათ და მშვიდობიანათ, ხმას არ იღებდა და არც ბავშვების თამაშობაში ერევოდა; კითხვა ძლივს ასწავლეს; ცხრა წლისას ძლივს შექძო ასოების ცნობა. მე ვუთქმობდი ეს უჩიგო არ არის; ნაკვინივე ხე ნამყოფს უფრო ბევრს მოიტანს მეტი; მარმარილოზედ უფრო ძნელია ამოჭრა, ვიდრე ქვიშაზედ დაწერა, მაგრამ ნაწერი იქ უფრო დიდხანს დარჩება მეტი; მძიმე ხასიათი და გონების სისუსტე იმის ნიშანია, რომ შემდეგში სჯავს კარგათ შეიძლება. შოალაში რომ მივეც ჯერ გაუძნელდა სწავლა, მაგრამ სიძნელეს შეებრძო და ზედმხედველები ყოველთვის მიქებდნენ მაგის გულის უფრს და

შრომის მოყვარეობას. ბოლოს ბუერის ტანჯვითა და წაღებით გუგ-
სის გათავების მოწმობა მიიღო და უგვეხრათ მოგასვენებთ, რაც ეს
ორი წელიწადია ექიმობასა სწავლას, მაგას ღანძრავში გერავინ აწო-
ბებს. მეტნიერებაზედ ბასის დროს ჩვენს შოლში უგელას მაგასი
ესინიანთ და ისეთი ბასი არ გამოდის, რომ ეგ ძაღლძაღ წინა-
აღმდეგ არ ამტკიცებდეს. ეგ მტკიცება სჯაში; რასაც ჩატივდება, აღარ
მოეშვება და უოგელს სჯას ღოღივის უგანასენედს გუთხემდე მიიგვანს.
მაგრამ მე ეს მომწონს მაგაში და იმითი მაგას მე, რომ უოგელის-
ფერში ბრძოთ მისდევს ჩვენთა წინაპართ სწავლას; უფრში არ შეუშვებს
ხოლმე სიტყვას, როდესაც ჩვენის დროის რაღაც ახალს აღმოჩინება-
ზედ ღანძრავობენ, მაგალითად, სისხლის ბრუნვაზედ და სხვა რეც-
ბოლო ამბებზედ.

თომა. (ამოიღებს ერთს დიდს სიგელივით გჰელს ქაღალდს და ანჯელიკას
აძლევს) მე შევებრძე სისხლის ბრუნვის მომხრეთ ამ ქაღალდის ძალით
და თუ სურვილი გექნებათ, (არგანს თავს დაუკრავს) მე წარგუდგენ ამას
თქვენს ასულს, როგორც ჩემის გონების პირველს ნაყოფს ნიშნათ
დრმა პატივისცემისა.

ანჯელ. ბატონო, ეგ რათ გამოგიყენო, რა საჭიროა ჩემთვის?
ტუან. (ქაღალდს გამოართმევს) მომეცით, მომეცით, მე მას გამო-
ვიყენებ.

თომა. (არგანს თავს დაუკრავს და მერე ანჯელიკას ეუბნება) თუ
დაგრთავთ ნებას მამა თქვენი, გთხრეთ, მობძნდეთ ამ დღეებში დროს
გასატარებლათ, როდესაც გაეცრი გვამსა ერთის ქალისასა და ვიწუბ
სჯასა მასზედ.

ტუან. კაი შესაქმევს აღაგს გპატიუბს; ზოგს თავის სავა-
რელი ოქატრში მიჰყავს, მაგრამ ეგ უფრო დიდგანურია, მკვდარის
ადამიანის გაჭრაზედ წაიგვანოს.

დიად. რაც შეეება ცოლქმრობისათვის და გვარის გასამრავ-
ლებლათ საჭირო თვისებას, მე გარწმუნებთ, რომ უკეთესი არ უნდა.

მაგას აქვს საკმაო ძალა შეიღოს გაჩენისა და ისეთი ხასიათისა, რომ სწორეთ კარგათ შეიძლებს საღის შეიღების გამრავლებას.

არზ. თქვენ ფიქრობთ, მგონი, თქვენს შვილს სასახლის ექიმის აღაგი უშოვნოთ.

დიუზ. უნდა გაგიტყდეთ მე არ მომწონს დიდებული ხალხის ექიმობა; მე ფოკელთვის დარწმუნებული ვიყავ, რომ ისევე დაბაღს ხალხში დარჩენა სჯობს. დაბალი ხალხი ჩემია; თქვენს მოქმედებას ვერაფერს ვაჭკიცხავ; ოღონდ მეცნიერების წესს მისდილს კაცმა და რაც უნდა მოხდეს, ის არ არის პასუხის მცემი. დიდებულითა კი ეს არის ძნელი, რომ როცა ავით გახდებიან, გინდა თუ არა, უნდა მოაწიონ.

ტუზნ. კაი ბატონები ბძანებულან; დიდი თავსებობაა, გინდა თუ არა, მომარჩინეო; განა მაგისტრის ხარტ დანიშნული: თქვენი საქმე ჯამაგირის აღება და რეგენტების წერა; მასუკან თუ უნდათ, მოაწიენ.

დიუზ. სწორეთ ამბობს. ჩვენი მოვალეობა ავით - მეოფის მოვლაში ის არის, რომ წესი და რიგი არ დავარღვიოთ.

არზ. (კლევანტს) ახლა ჩემს ქალს სტუმრების წინ არ ამღერებ?

კლემან. მე თქვენს ბძანებას ველოდი. მე ახრათ მომივიდა, რომ თქვენს შესატყვევით ერთი პატარა ოპერადამ გიმღეროთ მე და თქვენმა ქალმა. (ანჯელიას ქალად მისცემს) აი თქვენი სათქმელი.

ანჯელ. ჩემი?

კლემან. (დაბლა ხმით ანჯელიას) უაქს ნუ იტყვი, თუ ღმერთი გწამს; ესეც გეტყვი, რაც უნდა იმღერო. (ხმა მაღლა) მე სიმღერისთვის თუმცა ხმა არა მაქვს, მაგრამ გმარა სიტყვები წარმოვსთქვა და ქალი ისე მიპასუხებს.

არზ. ლექსი კარგია?

კლემან. ეს განსაკუთრებით პატარა, საჩქაროთ შედგენილი ოპერა; ლექსები ლექსებს არა ჰგვანან, რადგანაც ისინი არიან უცხოთ სიყვარულისაგან ჩაგონებულნი.

არზ. ძალიან კარგი; ახა ვნახოთ.

კლემან. აი ოპერის შინაარსი: ერთი ღრმით ჩაფიქრებული მწეგმის უცქერის ერთს წარმოდგენას; უნებოდად წმინდობა ახიზდება; ის მიიხედავს, დაინახავს ერთს ბრძოლას კაცს, რომელიც ერთს მწეგმის ქალს უკადრისი სიტყვებით უპატიურებას აყენებს. ის მიუშვლება ქალსა, რადგან ვეკლანი გაღებულნი კართ ქალს პატივი გვით; ჯეროვანათ სჯავს იმ ბრძოლის უკანობას და შემდეგ მიუხელოვდება ქალს; ხედავს ერთს ახალგაზრდა ქმნილებას, რომელიც მშვენიერის თვალებით აბრკვევს მარგალიტის მსგავსს ცრემლებს; განა ამისთანა მშვენიერების შეურაცხება იქნებაო: ვინ იქნება ისეთი ბარბაროსი, რომ ამისმა ცრემლმა გული არ აღუძრასო, ფიქრობს ისა; ცდილობს შეუშროს ეს ცრემლები. მშვენიერი ქალი უმადლის იმ გარჯისთვის ისე ნაზათ, ისეთის აღუგებით და ისეთის გულგუთილობით რომ მწეგმის გულში იმისი სიუკარული ეგზება; ქალის ყოველი სიტყვა, ყოველი შესვლა არის სიუკარულის აღის მომდები ისარი, მწეგმის გულის გამგზირი. რა შედრებაო ქალის მადლობის სიტყვებს; რას არ მოითმენს კაცი, რა შიშა და სასჯელს არ აიტანს სიხარულით, თუ ერთს წუთსაც არის ამ მშვენიერას ქალისაგან მადლობის სიტყვებს გაიგონებსო? წარმოდგენა თავდება, მაგრამ მწეგმის იმას ყურს აღარ უგდებდა; ის ნაწილს მხოლოდ, რომ ასე მალე გათავდა და უნდა გაშორდეს იმ საგანგებო ქალს. ამ ზირველმა ნახვამ ისეთი ცუცხვი აწნოო გულში, რომ რამდენიმე წელიწადის ცხარე სიუკარული ვერ აღუწებდა. ატერ იგრძნო მწეგმისმა განშორების მწუხარება; იტანჯება რომ ვეღარა ნახავს იმას, რომლის ნახვაც ისე ცოტას ხნით ელიდას, სცდილობს, რითაც შეუძლიან, მეორეთ ნახვის ღონე მოიპოვოს; დღე და ღამე იმისი სახე თვალით უდევს. მაგრამ იმ ქალსეც ისეთი თვადუური უჭირავთ, რომ ნახვა შეუძლებელია. სიუკარულს ძლიერება ახედვინებს იმის ცოლათ თხოვნას, რადგან უმიმართ სიცოცხლე აღარ შეუძლიან; ქალი ბარბარით ატყობინებს, რომ ის თანხმად, მაგრამ იმავე დროს სხვა მხრით ეუბნებიან, რომ იმ მშვენიერების მამას გადაწყვეტილი აქვს თავისი ქალი სხვას მიათხოვოს და ყოველისგან იმასთან არანა საქმარწილოთ. რა საზარელი ხეიდრი ელის მწეგმისა?! სუფა და

მწუხარება მიწასთან ასწორებს; იმას ვერ წარმოუდგენია ეს საშინელი
 აზრი, რომ იმისი ქვენიერი საუნჯე სხვის ხელში უნდა ჩავარდეს.
 განწირულებით შეპურობილი ის ზოულობს ღონეს თავის საყვარლის
 სახლში შესვლისას, რომ შეიტყოს იმისი გრძნობა და თავისი ბედი;
 ის ხედავს, რომ უოველისფერი მზათ აჩის იმ საშინელი ქოჩწინე-
 ბისთვის; ის ხედავს იქ იმ უდიდეს მოცილეს, რომელსაც ქალის
 ჭირვეული მამა მწვემის სიუვარულს წინ უყენებს; ის ხედავს თავის
 სასწაილო მოცილეს ძლევა მოსილს თავის საყვარლის გვერდით, ხე-
 დავს, რომ გამაჩვენებს იმისა და ეს ისე აბრაზებს, რომ თავი ძლივს
 შეუმაგრებია; ის მწუხარებით შესტქერის თავის საყვარელს; იმისი
 პატივისცემა და იმის მამის რიდი უშლის სიტუვით გამოთქმას, მხო-
 ლათ თვალებით ღაპარკობს. ბოლოს თავის შემაგრებას თავს ანე-
 ბებს და სიუვარულთ აღტაცებული მამს ამბობს.

(მღერის)

ნულარ მტანჯავ, მშენიერო ძილისა,
 გადმიშალე ეგ შენი ტებილი გული;
 მითხარ რამე ჩემის ბედის-წყრისა,
 რა მომელის, სიღოცხლე, თუ სიკვდილი?

ანჟ. (მღერის). შენ მე მხედავ, ტარსის, მოცულს სევდითა,
 ამ ბედ-გრულის ქოჩწინების მაცქერალს;
 ცას შეკუერებ ცრემლიანის თვალითა;
 შენ არა გრძნობ ჩემის მწველის ცეცხლის აღს?

არბ. ოჭო, არ მეგონა, ჩემი ქალა ესეთი მარჯვე იყო; საცა
 არ გადუშლი, მღერის.

კლემან. ოჭ, ვინ მისცემს მაგ ბედს მიჯნურს ტირისისა,
 რომ შენს გულში ჭქონდეს მცირე ადგილი!

ანჟ. არ ვუმაღავ ამას აღარავისა;
 შენ მიუვარხარ, შენ ხარ ჩემი წადილი.

კლემან. ეს რა სიტყვა გაგიგონე მე დღესა?!

ჩემს უურებსა ნუ თუ დაჯერება!

ერთხელ კიდევ გამაგონე, ჭილისა,

ამაგილე ეჭვისა მწუხარება.

ანჯ. დიას, ტირისი, დიას მე შენ მივეაჩნხარ!

კლემან. ერთხელ კიდევ, თუ ღმერთი გწამს! კიდევ სთქვი.

ანჯ. დიას, ტირისი, დიას მე შენ მივეაჩნხარ.

კლემან. ჩემს ბედს ესლა აჩარა შეედრება;

ჭეუენის ძეგლ და ღმერთი რას მიქვია!

მაგრამ ესე აღტაცება მიქვება,

რადგან გვერდზედ მოცილე მომდგომია.

ანჯ. ეგ მოცილე უამსაკით მეჯავრება;

მაგის ხედავ ჩემთვის დიდი ჭირია.

კლემან. მამა-შენს სურს მაგისი მოთხოვება.

ანჯ. მაგის ქმრობას სიკვდილი მიჩქენია,

მაგის ქმრობას სიკვდილი მიჩქენია.

არბ. მეჩე მამა მაგაზედ რადას ამბობს?

კლემან. აჩაფერს.

არბ. ჭკვიანი მამა კი ყოფილა, თუ მაგ სულელური ღაპარა-
ჭის ნებას აძლევს.

კლემან. ეჭა, ჩემო საყვარელო.....

არბ. კმაჩა, კმაჩა! ეგ ამბავი დიდი სიმსეტვე და სისულელეა.
მწყემსი ტირისისი დიდი ბრეივი ყოფილა და ჭილისა ურცხვი და
უნამუსო, რომ თავის მამის წინ მაგაებს პედავს. (ანჯელისა). მაჩვე-
ნე ეგ ქაღალდი. სად არის ეგ სიტყვები დაწერილი, ესლა რომ ამ-
ბობდი; აქ ნოტების მეტი არა არის რა.

კლემან. ეგ არ იცოდით, ბატონო, რომ ამ უკანასკნელს დროს
ნოტების წერასაც ასერებენ.

არბ. კარგი, კარგი, ბატონო. მშვიდობით იძინებოდეთ. ნახვამ-

დის. ჩვენ ისეც არა გვიჭირდა რა, თქვენი ახირებული ოპერა რომ არ გაგვეგონა.

კლემან. მე თქვენს შესაქცევათ მოგასვენეთ.

არბ. სისულელე არაფერი შექცევას. აგერ ჩემი ცოლიც.

ბამოსვლა მეფიდე.

ივინივე და ბელინა.

არბ. აი, ჩემო სიყვარულო, ბატონი დიამფარისის შვილი.

თომბა. სრულის სიმართლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას-სახელი დედინაცვლისა, რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა...

ბელ. მე დიდათ მოხარული ვარ, ბატონო, რომ თქვენი გაცნობა შედიხსა.

თომბა. რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა... რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა... სიტყვა უნაზოდ გამაწვევ-ტინეთ და დამავიწყეთ, რისაც თქმა მინდოდა.

ლიაძე. თამა, ეგ სხვა დროსთვის დარჩეს.

არბ. ნეტავი, ჩემო სიცოცხლე, პატარა ადრე მოსულიყავი.

ბუბან. დიდათ დაასაკეთ, ქალ-ბატონო, რომ აქ არ იყავით და არ გაიგონეთ ღაზნაკი მეორე მამაზედ, მემონის ძეგლზედ და უკავილზედ, სახელწოდებულს მზეუტკრითათ.

არბ. აბა, შვილო, მიეცე ხელი ამ ემანუელს, როგორც შენს ქმარს და შეჭფიცე ერთ-გულობა.

ანჯ. მამა-ჩემო.....

არბ. რა მამა-ჩემო, რა ცანდა სთქვა?

ლუბი კარაყით დაწითული ქაღალდებით დამშვენდა; ცინგლიანი ბიჭის მაგიერათ თხუთმეტ მანეთიანი ღაქია დადგა და თითონ ალექსი ისე შეიცვალა, რომ ვინ იტყუოდა თუ ეს ის სამოცი წლის ალექსია, კვირამი რომ ერთხელ პეტანკს ძლიერ იცვლიდა და ქონიანის ქუდით დადიოდა. ფე-ჭეი! ალექსი, ალექსი გახდა, რომ თითქმის საფრანგეთიდან მოსული ოცდაათის წლის კარტინკა იყო. ქონიანი ქუდი მოდნის შლიაზე გახდა და ყალბქმის დაღიანდაკებული ახალგაზრდა-კერძის უილეტკა. მაგრამ ისეთი ხავერდი, ისეთი ხავერდი, რომ ხელს რომ უსვამდა, თითონვე იამებოდა. „ერთი უფურე, კარინკა ჯან, ეტყოდა ხოლმე ცოლსა, თითქმის შენი ღოგები იყოსო.“

ასე გაანათლა კარინკამ ალექსი; მაგრამ უმადლო განათლებას დაკარგულიყო, იფიქრო კარინკამა. როგორ მოუხდება ამის სახელსა, რომ იმისი ღამაში, ახალ-გაზდა ალექსი ხალხის სალაშარაკო იყოს? რაც კაცებმა და მღვდლებმა ვერ შეიძლეს, თითონ უნდა შეიძლოს. ფიქრში ჩაიღვა და აასრულა კადეც. იმის მოწადინებულ საქმეს ალექსი როგორ შეძლებდა აჭინებოდა. ალექსის გული წმინდა სანთელი გაესაღნა და როგორც უნდოდა ხელში ათამაშებდა: იმ წმინდა სანთელს, უნდოდა, ანგელოზს გახდიდა, უნდოდა ეშმაკს, უნდოდა პატრონ ჯოჯოს და საითაც ქსურდა, ალვირს იქით მისწევდა.

„აბა მწერალთან რა საკადრისიაო, ალექსი ჯან“. ესა სთქვა და შიშ-და შიშ სადილათ მოიწვია ისე ხელათ, შინაურულათ მაკაოც და მაკაოს ქმარიცა. ჩამოკარდა შერიგება. ძველი შუა კაცები ცოტათი შეწუხდნენ, რომ თითონ ვერ შეიძლეს ამ საქმის თავს მოეყანა. მაგრამ კარინკას რა ენაღვლება, იმან თავისი მადლი ქქმნა და სულეირის მამისაგან „გაგურთხოს“ თავისი ყურით გაიგონა. გაიხარა და შემოტრიალდა კარინკას დედა, რომ იმის წელის ნაშობი ამისთანა ღვთის ანგელოზი გამოდგა დედა-მამის შირსედა.

* * *

რა მოემატა ამ შერიგებისაგან მაკაოს ქმარსა, ღმერთმანი სწორობით არ გიცო, მაგრამ ნამდვილი ის არის, რომ რაც შერიგების წი-

ნათ იყო ისევ ის საწყალი ხელისანი დარჩა: არც ტანისამოსი შესცვლიყო, არც სახლი... ელენკიყო, ზელენკიყო; ისევ ის სეიდახათი იყო და სეიდახათი, ისევ ის ქუჩახანდი და ის ქირის სახლი, თუ წინათ, თუ ესლა.

თუ ალექს მართლა მოტაცებული იყო ქქონდა და მაკაკოს ქმარს დაუბრუნა, რა იქმნა შერე ის იუული? იქნება საიდუმლოთ ბანკში შეიტანა, რომ შეილებს ერთ დღეს გამოადგეს? მაგრამ როგორ შეიძლება რომ ადამიანს სამას ოთხასი თუმანი იუული ქქონდეს და გაჭირებაში არც თავის ხელი ახლოს, არც სარგებელსა? არა, თქვენმა მშემ, ტუილი მოუგონათ; რის იუული, რის მოტაცება! შე კარგს ჩავდივარ, რომ ქალქის მითქმა-მოთქმა არა მჯერა.

* * *

იმ თავათა კოტკი, რომ შახათი დღე თენდებოდა და მაკაკო ერთ დიდს დიდებას უნდა ჰღირსებოდა.

რა იყო ის დიდი დიდება?

ვარინკას ქმარს ალექს, ცოლის ხეწინითა და ვედრებით იყო, თუ თითონ თავის-თავათ ეფიქრა რომ საუკუნო სახსენებელი დაიგდოს, სახლები ხელახლა დაუპირქვაკებიან და ასეთი მოეწყო, ასეთი მოეწყო, რომ ენა ვერ გამოსთქვამს.

ამ ახალად მოწყობილ და გამართულ სახლებში, სწორეთ იმ შახათ დღეს ვარინკას დიდი ვეჩერი ჰქონდა და ამ ვეჩერში მაკაკო მიწვეული იყო.

განა მაკაკოს კვლავ ვეჩერი აღარ ენახა, ლოტო აღარ ეთამაშნა? როგორ არა, მაგრამ ის წასული ვეჩერები და ლოტო სად მოვიდოდა ამ კვარ ვეჩერთან. ვინ იუენენ ნახულ ვეჩერებში? თულუხანთ ნატალია, ჩაფრასტიანთ ანანა, დაბლიანთ სოფიო, ღრეჭიანთ ქალია, ღუნდულანთ მარიამ, სულ ამისთანები თითონ მაკაკოს რითა სჯობდნენ? მაგრამ ვარინკას ვეჩერში, ჰმ! ისინი ვის ევადრებიან; სულ დიდდისაგან დიდები, თქვენმა მშემამ მოდინანთ ნატაშა, ბუდალანთ

ანჩკა, ლაულაყანთ დარჩენა, კომბოსტოანთ ქაღინა, წიგწიყანთ მა-
შინკა, ქიჩმანანთ საშინკა და კიდევ მგონი ორმოც ჯერ ამათზე
უკეთესები! დიდება არ იყო ამითან ჯდომა, ისიც დიდი დიდება, მამ
რა საჭრუმალი იყო? აესუს, აფსუს ჩემო აღალო გულწრფელ
მაკაკო.

* * *

იმ ბედნიერ შაფათ დღეს, მაკაკომ თავლი გაახილა თუ არა, ეს ვეჩერი
მოაგონდა და იმ საათს ასე ეგონა შუქი მზისა, რომელსაც მაკაკოს-
თან ერთად გაღვიძებოდა, შირ-და-შირ გულს მოადგო, ასე მზიარე-
ლად ძეიანად გაქილა თავლი, მაგრამ სანამ მზე სრულად გამოვიდო-
და, მაკაკოს შუბლზე წაღაც ღრუბელი გადაუარა. წასვლა უხაროდა
და დიდი დიდებაც იყო; მაგრამ ვაი თუ ქმრის მიცემული სამი მა-
ნეთი კარინკას ლოტოს არ ეეოს; რა ქნას, როგორ უშველოს ამას.
ეს თეძრები გონებას უბნელებდა.

ჯერ წინა ღამეს, ვახშამზე რომ ისხდნენ, მაკაკომ ბეკრი ოსტა-
ტობა და ხერხები იხმაზა ქმართან, რომ აკობა მეტა რამ გამოჰგლი-
ჯოს, მაგრამ შენც არ მამიკვდე: სამი მანეთი სამ მანეთათ დარჩა.
ბეკრი უთხრა ქმარსა, რომ სირცხვილიაო, სამი მანეთით იმ გპარ
დიდვარის ცოლებთან ჯდომა არ იქნებაო, რომ ისა სჯობს წმინდათ
გამოყრჩილს იმათა და სულაც არ გაეჩიოს, ვირემ წავიდეს და შერ-
ცხვეს. მაგრამ ქმრის სიტყვა სულ ის იყო, რომ „ისიც არამიაო, რაც
ზოგეცო. გინდა ეგ პრისო, და არ გინდა, თუნდა სულაც ნუ წახა-
ლო; თავი ქვას ახალე შენცა და ბიძანთაცო.“ ამ სიტყვის შემდეგ
მაკაკომ თავი მოიდრიკა და მაკაკოს ქმარმა კი ჩარქქიანი მოიუღა. ცო-
ტას ხანს ერთმანერთთან აღარ ილაპარაკეს; მიზეზი წყენა იყო თუ
ხრამული, რომ იქნა უელში არ გაეხიროს. ესე ხმა გაჰყენდილნი
დარჩნენ ორნივე, სანამ მაკაკოს ქმარმა ხრამულის თავი აიღო, ქალა
შირში ჩაიდვა და ტუჩი თავის ცოლს უთავაზა. რაც უნდა ყოფი-
ლიყო ისევ ცოლი იყო, რას იზამდი; ამასზე მაკაკომ გაიცინა და

ხელახლად დაიწყო თავისი „გეთაყვა და შენი ჭირიმი“; მაგრამ მაკაკოს ქმარი, რომელიც ერთი თვეა დაუტოვია და უთხრა, „ხმა, თორემ სუფრა თავზე დაგიბერტყელ!“ მაკაკომ აშკარათ ნახა, რომ აღარა ეშველება რა.

გაიკაცი იყო მაკაკოს ქმარი, ღვთის წინაშე; მაგრამ ერთი ხსენებითი ქმნდა, რომ თავის ნათქვამს რასმე, ადგილს ჩავარდნილს ადგილობრივის ხელით და მუშტით ამტკიცებდა, ენას მკერდს ძაღს ადარებდა.

ეს ასწავდა მაკაკოს და ხმა და კრინტი გაკმინდა.

იმ დღეს თუ მაკაკომ გიდეკლა რამე უთხრა ქმარს ამ საქმისა, ან რა უთხრა, მე არ დავსწრებივარ. მაგრამ საქმე ის არის, რომ შაბათი დღე რომ გათენდა, იმ სამ მანათს ერთი გროშიც არ მომავტებოდა.

*
* *

ბეკრი რამ იფიქრა მაკაკომ შაბათ დღესაც პირის ხანისას, ბეკრი წუეკლა შეუთვალა ლოტოს მამოგონის თავსა და ტანსა; მაგრამ ბოლოს ის გამოვიდა, რომ იმ დღეს უნდა წასულიყო ძაღლს გუჩეში და სხვა მანეთის მეტი არა ქმნდა.

წავიდეს, რით წავიდეს და არ წავიდეს, ახა როგორ არ წავიდეს, იმისთანა თამაშისაგან როგორ დამარცხდეს კაცი? ამისთანავე ძლიერ შერიგება ჩამოვარდა და გაი თუ ძაღლი იწეინოს და ხელმეორეთ უბრალოდ დაუშაველათ ისევე უმზრახობა მოხდეს.

მაკაკო ასე ჭიჭიჭობდა ძაღლზედ, და ძაღლს, თუ მე მგითხვით, მგონი ძაღლიანაც გაუხარდებოდა, რომ მაკაკო სულაც არ წასულიყო. ახა რა მაკაკოს ადგილი იყო, რომ იმისთანა მოდის ქალებში გამოგმილიყო? რა გუყვით რომ ღამისა იყო და ისიც ძაღლიან ღამისა. ცარიელი სიღამისა რა არის!... გიდეკ ერთი შემძლებელის კაცის ცოლი უფიქროს მაკაკო, კრინკასათვისაც დადება იქნებოდა. მაგრამ რას იზამ, ძაღლს უნებურათ უნდა მოეწივნა, პირველათ იმიტომ რომ

მაკაკოს არ სწეუნდა და კიდევ ხელმეორეთ მითქმა-მოთქმას არ გაუ-
ღვიძნა; მეორეთ რომ, ჯანაბას მაკაკოს თავი, დაე მოვიდეს და ხალხმა
ნახოს ვარინკას თავდაბლობა, ღმერთმა უწყის იმისი მოქმედებული
მადლი რომ შეტყობა ჩამოაგდო და ეს მადლი რათ უნდა დაემაღლა
თავის სტუმრებთან? დაე იმათაც ნახონ და ისწავლონ, რომ მადლი
კარგი რამ არის. შენ, გენაცვალოს დედა მაგ მადლიან ჯანში, ვა-
რინკა.

ერთის სიტყვით მაკაკოს გულში გადასწედა, რომ იმ ღა-
მეს უნდა წავიდეს ძალის კეჩეში, შეტყვალად, შეტყვალად უნდა წა-
ვიდეს...

მაგრამ ფული?!

* * *

ოჰ ფული! რათა ხარ ეგრე უსამართლო, რომ ვის ჯიბეშია
ბევრი ხარ, კიდევ იქ მიდისარ! რა იქნებოდა, ერთი ათი თორმეტი
მანეთი მაკაკოს ჯიბეში უოფიდიუაგი. ესე იფიქრა მაკაკომ და პაშინვე
ხელი ჯიბეში ჩაიყო, ერთი ენახა მართლა კეთილ ანგელოზს ხო არ
ჩაეუჭრა ის ფული იმის ჯიბეში. მაგრამ ხელი წარმოიღო ამოიღო. ძა-
ლიან გულს ეცა, რომ ფული ასე უსამართლოდ ეკიდება და თვალები
მოეცრემლა.

მართალია, საკერავისათვის ერთსა მანეთ-ნახევარი ემართა, ერთ-
საც სამი და ათი შაურბი; მაგრამ ისე იყო მორიგებული, რომ და-
ნარჩენი საკერავიც უნდა მიეტანა და ის ფულები და ახალი ხელ-ფასი
ერთათ მიეღო. დანარჩენი საკერავი მისათ არ იყო და ანაზღუესათ
როგორ გაეთავებინა!...

რა ქნას? წავა იმათთან, მუშტრები არიან, იცნობენ, სთხოვს იმ
მანეთ ნახევარსაც და სამსა და ათ შაურსაც. ღმერთს თავდებათ მის-
ცემს, რომ ძალიან საჭიროა; შეეხვეწება, რომ ეხლავე მისცენ... იტყვის
რომ მშვიდია, შინ ფქვილი არა აქვს, ფქვილი უნდა იყიდოს... მაგ-
რამ ვაი თუ არ მისცენ, ვაი თუ უთხრან რომ აგრე არ მოგრიგები-

ვართო, რაღასთვის წავიდეს, რა პირობით წავიდეს? არა, სიგვედილი სჯობს ამ წასვლასა. ტყუილი უნდა ილაპარაკოს, ტყუილად უნდა იფიცოს, გლახასავით უნდა სთხოვოს და ნათხოვნი არ აასრულოს, ტყუილად უნდა იტიროს... და მართლაც ატირდა...

ოჰ ვარინკა, ვინ გუყვებოდა ვერცხი გაგმართა და მაკაკო მიგეწვია...

ახლა ტანისამოსი? ვინ მისცა ვარინკას ვერცხის შესაფერი ტანისამოსი... მაგრამ ტანისამოსი ხომ იყოფილი არ არის, ტანისამოსის შოვნა ადვილია: პლატკის კოკელასა სთხოვ, თავსაკრავს ნინუცასა, გაბა ხომ კარგი აქვს სააღდგომოთ შეგერილი, და გაბის ქვეშ თუ რა ატვია, ვინ რასა ხედავს?... ფული იყო, ის წყვეული ფული, ისიც იმდენი ფულია, რაც იმ დამეს ეჭირებოდა. რომ არავინ არ ასესხებოდა!...

ვინ იცის, იქნება გუნდურაანთ თათულას შეეძლოს. შოწს არ იყო, ისიც იმ ქუჩაბანდში იდგა. მაგრამ თათულა უგირათ რომ არავის არას აძლევდა, ამას რათ მისცემდა? რა ვქნათ რომ ახლა შეზოხელა? იმასაც უნდა ეხვეწოს და იმასთანაც პირი გაიშავოს; ეს ხომ ისევ ის გამოვიდა, ისევ ის პასუხი გაიგონა, რაც მუშტრებისაგან უნდა გაეგონა ..

* *

ეს ფიქრები ზღვის ტალღებისავით სხვას და სხვა რიგისად მისდიოდა და მოსდიოდა თავში საწყალ მაკაკოსა და ერთი ერთმა-ნერთის შეტაკებით უსველებდა შავს თვალებსა.

რათ არის ის ღარიბი და სხვა კი მდიდარი? ჩიოდა თავისთვის მაკაკო, რატო იმასაც იმდენი არა აქვს, რაც სხვასა აქვს; რათ უნდა მოაკლდეს ის ვარინკას ვერცხსა, რათ უნდა იფიცოს ძაღლი, რომ ღოტოს ფული არა ჰქონია და იმიტომ არ მოვიდაო... სირცხვილით ლოყები აელანძა და ჟავრი საკერავზე ამოიყარა. ისე დაჩქარა, ისე დაჩქარა გერვა, რომ ანაზღუელად ნიძის ხელში ემსხვერპლა.

უეცრად ხემს მაკაკოს სახე შეეცვალა! გუნდურაანთ თათულა ხელ-
მეორეთ მოაგონდა, მაგრამ ისე, რომ თითქმის გვერდით უდგეს
და უურში ეჩურჩულებოდესო; აუბერდა გული და პირფარა გამოისახა.

დაგლანხრა ღმერთმა, შენ ეშმაკო! თქვა მაკაკომ და საკერავი ხე-
ლიდან დაავლო.

თითონ ადგა ხელსაქმისაგან, თუ იმ ბოროტმა ეშმაკმა წამო-
ყენა, კერ გაიგო მაკაკომ; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ სკიპრის წინ
იჯდა და სკიპრიდან ამოღებულ სათუთო კერცხლის პადიას ხელში
შინჯავდა.

ეს პადია დედას, ეჩუქებანა მზითვეში და მას აქეთ თუნდა ოთხ
წელსაც გაეგო; მაკაკო ახლად შინჯავდა ხელში, ახლად ხედავდა,
რომ ქვეშე რაღაც ბეჭედი უზის, ახლად ატეოდა, რომ ნაპირეში
რაღაც წვრილი ან შიშა აქვს დახატული.

გადახბრუნ-გადმოხბრუნა ეს პადია მაკაკომ და გულზე მიიკრა,
თითქმის თავის დედას ეხეოდესო... საწყალი დედა! სამი წელიწადი
მეტი იყო მომკვდარიყო და მაკაკოს ასე ეგონა თითქმის ეს საჩუქა-
რი იმისაგან ესლა მიუღოს...

ამისთანა რამ გიჩაოთ მიეცემა? ცოდვა ან არის ღვთის წინაშე?
ფიქრობდა მაკაკო სველის თვალებითა; მაგრამ დაგიჩაგება ხომ გა-
უიღვას ან არას? თუნდა ათი თუმანიც მიეცათ, რათ გაჭედიდა, მეტ
იმისთანა გიჩაოს, რომ დახსნის ნამდვილი იმედი აქვს. რა უშავს,
რომ დაგიჩაგოს?... სამი მანეთი ქრმის მოცემული აქვს, მანეთ ნა-
ხევარი და სამი და ათი შაური ძველი ხელფასია, ეს რვა მანეთი;
ერთი ექვსიოდ მანეთსაც, საკრავს რომ გაათავებს, ახალ ხელ ფასს
ჩაიღებს; თოთხმეტ მანეთ ფულს იზამს და იმ დამეს ათაოდ თორ-
მეტოდ მანეთზე მეტი ხომ ან დასჭირდება.

* * *

მაგრამ ქმარი?... ქმარმა რომ შეიტყოს, რა დღეს დაუენებს
მაკაკოს თავს? მესხავით გაუარა ამ ფიქრმა თავში და მთელს ტანში
თრთოლდა ჩაუვარდა.

უნდოდა ბაღია იმ საათშივე უკანვე სკივრში ჩადგო, მაგრამ უშეაყურათ ვარინკას მთელი გეჩერი იმ ბაღიაში გამოისახა.

მაკაკოს თვალები ზედ დაშტერდა და გელარ მოაშორა. აშკარად ხედავდა იმ გეჩერს, იმ დიდებს, იმ სიმდიდრეს იმ დიდგაბების ცოლებს, რომ მკლავი მკლავ ჩაუჩლიდ, თითქმის სულ ერთად ბაღიაში დადიანო და თითონ კი იქ არ არის; ისინი ღვინობდნენ, ღაპარაკობდნენ, იცინოდნენ და ის კი იმათში არ იყო; ისინი სხდებოდნენ, თამაშობდნენ, იგებდნენ, ატებდნენ, და ის კი ჯერ ფუფისთვის დადიოდა. აშკარათ ნახა, რომ ძალი მოუხლოვდა და უთხრა: „ბერი ნუ გაგიშავდეს, რატო არ მოხველიო“... რა თქვას, რა მოგონოს? არა, თითონ ისიც იქ არის, ერთ კუთხეში ზის, არავინ არ ელაპარაკება, არავინ აღმინის ანგარიშში არ ატებს; ვინც კის ეურში რასმე ეუბნება, იმას ამბობს, რომ მაკაკოს ფული არა აქვსო და იმიტომ არა თამაშობსო. მოახლოვდა კიდევ ძალი: „რატო არა თამაშობ ქა? თუ ფული გინდა, მოგცემო“... არა, დედა-მიწამ რომ ჩაიტანოს, ისა სჯობს...

ჩაეწკვთა ბაღიაში მაკაკოს ცრემლები თითო თითოდ.

ოჲ, ვშეგნიერი ხარ, მაკაკო ჯან, ეგრე სკივრის წინ ჩამომჯდარი; ერთს ხელში სკივრის ხუფი, მეორეში კერცხლის ბაღია, რომელშიაც შარბათის მაგიერათ შენი ცრემლი ჩადის. დაჭირე ეგ ბაღია ატრე; ცოდვაა რომ ეგ ცრემლები დედა მიწას დაეცეს.

გაუგრილდა გული, შესწუდა ცრემლი; მაგრამ ისე გაშტერებული უფერებდა მაკაკო ბაღიაში. კისმე რა ენახა, იტყოდა მკითხაობსო. შიგ ძანც წყალი იდგა.

დახს მკითხაობდა.

ამ მკითხაობამ ის გამოიტანა, რომ ერთათ-ერთი სათუთო ბაღია კუნდურანთ თათელას სკივრში იდგა და მაკაკოს ჯიბეში, სამი მანეთის მაგიერად, ცამეტი მანეთი ფული ედგა.

* * *

ეგეც შენი ფული, მაკაკო ჯან, სხვა რა გინდა? რაღათა ხარ გულ ნაწეანი? გეშინიან ქმარმა არ გაიგოს, რომ ბაღია დააგირავე?

ქმარს ვინ ეტყვის, ვინ შეატყობინებს, როგორ გაიგებს? თუ ღო-
ტოში არ მოიგო, იქნება ღმერთი შეგეწიოს და არც წაგაგებინოს,
მეორეს დღესვე დაიხსნა შენს ბადასა, და თუ წაგებინე, ისე ღმერთი
როგორ გაგიწერება, რომ სულ ერთიანათ წაგო? დანარჩენსაც სამ
ღამეს ერთმანერთზე გასტეს და ერთი გვირის საკვრავს სამს დღეში
გათავებ; ამ სამს დღეში ქმარი ხომ არ იგითხავს ბადასა და სამ
დღეს შემდეგ შენი ბადა ისევ შენს სვივრში იქნება.

ეს ხომ ასეა; შენც ამბობ, რომ ასეა. მაშ რა გაწუხებს, რატო
გუული არ გეღება? იქნება იმაზე სწუხარ, რომ ემაწვილი მთელ ღამეს
მარტო უნდა დარჩეს? მაგისტვის რათა სწუხარ, შე დაღუტვილ?
ღირს, რომ აღამიანი მაგისტვისა სწუხდეს?... ემაწვილი რა აღამიანის
ანგარიშიში ჩასაგდება არის. ჯერ შენთვის ასეთი სინდუსტა მოუტია
ღმერთსა, რომ ათ დღათა ღირს. მაშ იმათ რა ქნან, ვისაც შენსა-
ვით გულ-შემატვივარი სინდუსტა არა ჭყავსთ, ისინი ცოდვანი არ არიან?
შენ ჯერ კიდევ ერთი ემაწვილი გეავს, მაშ იმათ რა ქნან, რომ სამ
ოთხს ემაწვილს ერთათ გოგოსა და ბიჭის ამარას აგდებენ და ვინ იცის
იმათს ხელში რასა სწავლობენ? შენ კიდევ ათასში ერთხელ შეგხვდება ამ
გვარი საქმე, ისინი კი საწულები მუდამ ამ დღეში არიან, მაშ ისინი გი-
შესაბრადისნი არ არიან?

მაგრამ არა; სინდუსტა კარგი დედა კაცია, კარგა შეინახავს შენს
ემაწვილს. მაშ ეგრე რათა ხარ? რათა ხარ აგრე დაუიქრებული? ისე,
შენც არ იცი.

ას შენ კი გენატრალე სულში, მაკაკო ჯან.

საღამო ხანი მოახლოვდა. გაეკავა, მოემზადა, მოიწოთ, მოიგმა-
ფა ჩემი მაკაკო და შინიღამ გამოვიდა პატარა ბიჭით, რომელიც ხე-
ლათ ახლო მეზობლისაგან ეთხოვნა

* * *

მოდიოდა ჩემი მაკაკო და როგორ მოდიოდა! თუ ანგულაზი-
იყო, ანგულაზს დღამიწაზე რა საქმე ჰქონდა, მერე ჩვენს ქალაქში,

და თუ ადამიანი შეიღი იყო, განა ადამიანი იმისთანა იქნებოდა რომ-
გორც ის შეჩვენებული ჩანდა იმ მართულ ტანისამოსში?

მა მხატვარი უნდა იყოს, რომ იმისი თვალ-წარბა გადმოიდოს?
მა ფერადი წამლები უნდა, რომ იმისის სხის ფერის მსგავსი გამო-
ვიდეს? მა ენა უნდა იყოს, რომ იმის სიარული და იერი გამოსთქვას?...
ამაში მე ფას. თქვენში ყოველ კაცს თქვენი გულის მოსაწონი გე-
ნახვებათ ერთხელა, იმას დაამტკიცეთ ჩემი ნაწი და ჯერჯერნი მა-
კაცო.

ანაზღუდულათ ჩამოიწმინდა მაკაცო თავისი უბანი, ეცა სურთ-სარ-
ქისის ქუჩაში; აქ იქნა ცოტა მძიმეთ ატარა. სურთ-სარქისის ეკლეს-
იას რომ მოაწია, ახლოს მივიდა, გარეთ ქვას ემთხვია და ფიქრში
ჩადაცა სთქვა.

მა სთქვი, მაკაცო ჯან, მა ილტვი?

ლტვის დროს ეშმაკი ადამიანს ყურში ხანდისხან უჩურჩუ-
ლებს, და იქნება შენც რომ გითხრა, იქნება რომე მოგაგონა? სწორეთა
სთქვი.

იმ უამთო შენი მნახელი კაცი იტყოდა, ამ ქალს შემოხედე,
სწორეთ სამოთხიდან გამოსულა და სურთ-სარქისის ეხვეწება, რომ
სამოთხის ღირსი გამხადეო. შენ კი, მაკაცო ჯან, მგონია ისა სთქვი,
რომ „ჩემი ძლიერო, წმინდაო სარქის, შენ დაიფარე და დაიხსენი ამადამ
ჩემი სათუთო ბადაო“...

იქნება ვცდებოდე? იქნება ბოროტი აზრები მომდიოდეს, მა-
განაც ცოდვილი ვარ... და ამასთან ვისიმე ლტვა კაცმა როგორ
გაიგოს? როგორ შეუძლია გაიგოს? და ან მა ხელი აქვს, რომ გაი-
გოს?... ლტვის დროს ადამიანის გული ღმერთის ეკერის და მარტო
იმათ იციან თუ მა გაიგლის იმ უამში მათ შუა.

მოდის და მოდის ჩემი მაკაცო... მე იმას ერთ წამსაც თვალს
არ მოვაშორებ. აკერ სურთ-სარქისის დაღმართი ჩამოიარა, ახანო-
ბის წინ ჩამოიარა, შევიდა გიწრო ქუჩაში, აქ მატარას ციხის ეკლეს-
იის კედელსაც გულისხანთ ემთხვია..... აკერ ახლა შეიდანშია.

ჩემმა მაკაკომ იცოდა, რომ იქ დიდი ცინის კეკელისის შირ-და-შირ უფრო ახლო გზა არის, მაგრამ თან სხვა ქალები არ იყვნენ და მარტო ნათესავნი ბიჭის ამბავს კერ გაბედა ქარვასლაში გაეგლო.

როგორც იყო მოაწია ჩემმა მაკაკომ კოლაღ-უბანი, მეკე მოღ-ნინის შეიდან (მოღნინის პაღი) და პოლეს სანატრედი სოლა-ლაკის უბანი.

*
*

ფეხი შესდგა თუ არა მაკაკომ შირველ განიერ ქუჩაში, მაშინვე ბიჭს უბრძანა. რომ ახლა ცოტა მოშორებით იაროს. თავის თავთ თავილობდა, რას იზამ? აბა როგორ იქნება, რომ ამისთანა განიერ ქუჩაში, ამისთანა გამგულ-გამომგულში, იმისთანა ღახათრანის ბიჭი იმისი გამოჩნდეს? რას იტყვიან? თავიანთ უბანში — სეიდაბათში, შეიდანში, კიწრო ქუჩებში, კიდეც თავი ქვას უხლია, იოლათ მიდიოდა საქმე. მაგრამ აქ — სოლაღაკში ქალაქი სხვა ქალაქი იყო, ქუჩა სხვა ქუჩა იყო, კაცები სხვა კაცები იყვნენ და დედა-კაცები სხვა დედა-კაცები, — დიდი წილი სულ სუფთა, ღაზათიანი, ჯიბეები მგონია ოქროთი სავსე. თითონ ის რათ ეჩხეოდა, იმათზე ცუდი რათ გამოჩენილიყო, რა აკლდა, ტანი, ტანადობა, თუ ტანისამოსი? სილამაზით ხომ თითონაც კარგა იცოდა, რომ ვისაც ხედავდა, ყველაზე ღამაში თითონ იყო.

რაც ქმრის ბიძანთთან შერიგება ჩამოკარდნილიყო, კარგა ხანი იყო მაკაკო აქეთ არა ყოფილიყო. ამიტომაც ბეკრი ახალი რამა ნახა, ბეკრ ახალ რამესე შირი ღია დარჩა.

იქვე ადგილობრივ რაჭი მარჯუნივ მიიხედა, თვალებს აღარ უყურობდა... იქ იყო, თუ იქ არ იყო?... ქუჩა ის იყო, სახლები იგივე, მაგრამ რისაგან მომხდარა, ან როგორ მომხდარა, რომ ეს სახლები ერთბაშად სულ ერთიანად ორ-სამი ადლის სიმაღლეთ ასულა? განა სახლიც ზეა რომ თავის-თავით ამაღლდეს?... ეს რაღაა ქა, სთქვა ჩემმა მაკაკომ.

ახ, მაკაკო ჯან, რათა ხარ აგრე სადა, შენს სუფს კენაცადე! ეს
ომ თქვენი ქება არ არის, რომ რაობით ტალახი ტალახს, ნა-
გავი ნაგავს წლის წლებით ზედ იმდენათ მომატებია, რომ წამდე-
ნიმე სახლის ქვემო საბოთელი ესლა თითქმის სარდათათ გადაქე-
ულა.

რა გაკვირვებს? ერთს დასწიდა. რომ თავის სარდაფები მაღა-
ზიებთ გადაქცია; მეორეს დღესვე ბრძანება ბრძანებაზე მოვიდა და
აი აგრე მოხდა, როგორცა ჭხდავ. ამასაღ ადგილი საქმე? რა არის
აქ საკვირველი?...

პირ-და-პირის სახლები ხომ ერთი ასეთ გვარათ გაკეთებინათ,
ასეთ გვარათ დაეხატათ, თითქმის სახელმწიფო მაღატი იუღსო. რა
ფარშეპანგები, რა არწივები, რა სხვა და სხვა რიგი ვარდები და ვუა-
ვილები, ალუბანტრის გაკეთებული აქა იქ კედლებზე იუღ მიგრული,
ზოგი კარების და ფანჯრების მაღლა, ზოგი დაბლა და გვერდებზე.
რა ცუგრემულა პატარა ბაღიანები რაფერ ატლასსაღ დახატული...
დარჩა გაოცებული ჩემი მაკაკო და სანამ ამ სახლებს გაივლიდა, გი-
ნაღამ საწყაღს კისერი მოეგრიხა ბუკრის ცქერითა.

*
* *

რამ არ გაუარა ჩემ ალაღ-მართალ მაკაკოს თავში, რა არ მოა-
გონდა ამ ათის-ოცის თუხის განანცვლებასი?...

ნეტა როგორ მოხდება ხოლმეო, ამოზდა მაკაკო თავის ფიქრში,
რომ მე და ჩემი მსგავსები ზურის ნატრულები კერძოართო და ამ
სახლების პატრონს იმდენი შეძლება აქვს, რომ ფული გუჯათ უშტეგია,
გაჯისიგან ვუავილები და ვარდები გაუკეთებია და კედლებზე მიუგრავ-
სო... თუ ამოზუნ, ღმერთმა ბძანაო რომ ვუელანი ჩემ წინაშე თანასწო-
რენი ხართო, — ეს სადაური თანასწორობაა, ეს სადაური სამართალია?
მაგრამ იმ საათშივე ის მოაგონდა მაკაკოს, რომ ღმერთიო მარ-
თალსა და ცოდვილს არჩევსო და ჭაღბათ ამისთვის ესეთი სამართა-
ლი გადაუჭრიაო. ჭო, ჭო ისა და იმისო თანასწორნი არიან ცოდ-

ვილნი .. ამ სახლის პატრონი და იმის მსგავსნი აზიან მარტალნი, თორემ ესე ზოგად მოხდებოდა.

ნეტარება დააყარა მაკაკომ სახლის პატრონსაც, შიგა მდგომეებსაც და თითქმის ცხვირში წაამარა.

ვინ იცისო, ამბობდა მაკაკო, რა ჭაღადი, ღვთისნიერი კაცი იყო ამ სახლის პატრონი, რამე ამ დიდებისა და სიმიდობის ღირსი გამხდარა. თითონაც, იმისი ქმარიც, და იმისი ქმრის მსგავსები აზიან ცოდვილნი, რამე არა აქეთ რა და არც შეუძლიათ იქნინან. აბა ქონების მდგომელი ზოგად იზამდა, — თავის-თავს უსაყვდურა მაკაკომ, — რამე ერთი ღამის ვეჩერის გულისათვის, არა ვეჩერისა კი არა, თუნდა სიბრძნვილის გულისათვის, თავისი ერთად ერთი სათუთო ბადია დაეკინებინა? ალბათ რამე ღმერთი გაუწერება იმასაც, იმის ქმრის თავსაც და საქმეს ისე მოუგვრის, რამე იმ ბადიის ფულებსაც სოფელაკში დააყრკინებს, რადგანაც ამ უბნის მდგომეები უცოდველნი არიან.

არა, მოდი უკან დაბრუნდება... თავი ქვას ჭკრან ქმრის ბიძიან-თაც, იმათ ვეჩერება! ამ სათაშევე ფულს მიუტანს კუნდურაანთ თათელას, უკანვე მისცემს და ბადიას დაიხსნის... ღმერთი გადაცინდის ამ ყოფა-ქცევასო, ამბობდა ჩემი მაკაკო, და ეგონა მართლა უკან მივდივარო, მაგრამ ნახა, რამე ათიოდ ფეხით უფრო წინ წასულყო.

მაგრამ ეს ფიქრები ჩემმა მაკაკომ მალე ქაჩს მისცა. ერთი-ორი ფეხი გადასდგა თუ არა, ნახა ორნი ქალნი მოდიან ძალიან მოდიო მორთულები. ორთავე ერთგვარათ ეხურათ თავი, ორთავე ერთგვარათ მარცხენა ხელით კაღთები მოდურათ დაჭირათ. ასე კაღთების დაჭერის მოღას მაკაკო პირველად ხედავდა და ჯერ არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა. მაგრამ ორიოდ ფეხიც რამე გაიარა და რამდენიმე ქალი კიდევ ნახა იმ გვარათვე კაღთებ დაჭერილები, მაშინვე აშკარათ მიხვდა, რამე ესეც ახალი მოდა ყოფილა. მიიტანა თითონაც ხელი ისე, მაგრამ იმ წამსვე დატყო, რამე საქმე ღაზათიანათ არ

გამოდირდა და კალთა ჩამოუშვა... სირცხვილით აღარ იცოდა რა ექნა!

ასე ანაზღუელი საქმეც იქნებოდა, ამბობდა ჩემი მაკაკო, რომ ამ მოდის ჯერ ამბავიც არ მოსულა ჩვენს უბანში და, აქ გი სუეველას უსწავლიათ კიდევ და გაუთავებიანთ.

აბა, მაკაკო ჯან, შენ ჰინ გეუბნებოდა რომ სეიდბათის უბანში დაიბადო და გათხოვე?

მოდო, მოდი ჩვენთან სოლოლაკში, ჩვენ ბეგრს რასმე გასწავლით, ბეგრ რასმე გაგიადგილებთ. ჩვენი უბნის ჭაერი სხვაა... აქაური მაიმუნობა სხვაა, მაიმუნები სხვები არიან... ერთმა რომ ცხვირ დაჭერით იაროს და შეიტყონ რომ ეს მოდაა, მეორეს დღესვე, შენმა გაზღამ, ყველანი ცხვირდაჭერილნი ივლიან და ყველანიც სულ ერთ გაჩნათ. შენ აბა ჩვენთან დარჩი, ნახე, ყველასე კარგა ცხვირის დაჭერა შენ გეცოდინება, მაკაკო ჯან.

* * *

რაც იყო, მიადგა მაკაკო თავის ქმრის პატრონის ბიძა ალექსის სახლებს...

ნახა და რა ნახა ჩემმა მაკაკომ!... ფარშევანგიანები სახლები დაავიწყდა, თქვენმა მზემ.

ორასი მარტო კეშპის თავები ეკრა ფანჯრების შუბლსა... პირები დაედოთ, თითქოს მაშინვე ჩაულაშვას აზიებენ თუ ვისმე ხელი მიეკარებინა კედლისთვის. კინაღამ შეშინდა საწყალი ჩემი მაკაკო. ყვავილები და ვარდები ხო რაღა მოგასსენო. ასეთი ყვავილები და ვარდები იყო დახვევით მოყვანილი ფანჯრების გარშემო, რომ იტყუდი კრისს უმართვენ ნამდვილ ყვავილებსა, რომელნიც უთვალავათ და უნგარიშით ეწეო გარშოკებით ფანჯრებშია.

ეს იყო, ეს სახლები იყო, ამ სახლების პატრონის ცოლის კეჩერი იყო, რომელშიც ჩემი მაკაკო მიწვევის ღირსი გამხდარიყო. დიდება თუ არ იყო, მაშ რა იყო, მე თქვენს კავთხავ.

მივიდა ჩემი მკაცრო და ჩამოსწია ზაჩსა გულის კანკალოთ. მამინეკ აქეთ იქით თვალი მოავლო, ნახოს ვინ აჩის იმის მსუყრებელი, იმისთანა ზატოხსანი კარების წინ მდგომარისა?

ოჲ, კეკელ და ნინუცი, რა იქნებოდა ერთ წამს სწორეთ ამ ხანათ ერთი აქეთ გამოგველათ და თქვენის თვალით დაგენახათ თუ რა კარებში შედის თქვენი მკაცრო? მამინ გაიგებდით თუ, რა ნათესაობის ზატოხსანია, და ნეტარებას დაწყობდით.

შიგნიდამ ფეხის ხმა მოვიდა თუ არა, მკაცრომ მამინეკ ბიჭი გაისტუმრა, რომ კარის გამღებმა აღარა ნახოს.

ამ დამეს ხომ მაინც არც ბიჭი მოუნდებოდა, არც ფანანი სხვებსავით. აბა ქმარი გაუშვებდა, რომ თავისი ჯეირანი მკაცრო ბიჭისა და ფანანის ამარაზს დაბრუნებულყო შეუღამისას სოფოლაკიდან სეიდაბათს? მეტი ღონე არ იყო, თითონვე უნდა მოსულიყო და ცოლი წაეყვანა. რაც უნდა ყოფილიყო, ისევე იმისი მკაცრო იყო. რას იზამდი!

გაიღო კარი და ისეთი ჩინებული ჯაქია გამოჩნდა ფრავითა, თეთრის ჟილეტითა, თეთრის უელსანუკითა და თეთრის ფერჩატკე. ბოთა, რომ მკაცროს ჯერ ეგონა თითონ ბიძა აღექოაო და კინაღამ მძიმეთ თავი დაუგრა, მაგრამ მალე მიხვდა საქმის ძალასა და სიჩქარით აიბინა სამოცდაორ ფეხიანი მარმარილოს ქვით კიბე. მაგრამ რა კიბე? თითო ფეხის გადანაცვლებაზე ეგონა, თითქმის ცაში ადიდესო, ისე იამებოდა ზედ დაფენილი წითელი მარდი და აქეთ იქით დაწოხილი ფერად-ფერადი ყვავილები.

აბა ვინ აღიარებდა ამ დღესა, ამ კიბეზე ასვლასა, რომ ბადას არ დაეგირავებინა?

ბოლოს მკაცრო ედიჩსა თავისს ანტიკა კარტინკა ძაღო ვარინკას და იმის საცაფარ სადგომსა.

* * *

ვარინკას ჯერ ცოტად არ ეჭაშნიკა, რომ პირველი მომსვლელი მკაცრო იყო, მაგრამ მოწვეული სტუმარი იყო, მოსულიყო, ძალაუ-

ნებუწათ უნდა მიეღო, რას იზამ. ბევრი თქვა თავის თეიქში, ეს რაღა უფიშობა არის ასე ადრე მოსვლა, თავის-თავათ ბევრს დაიგნის და დაიზანჯა, მაგრამ როცა მოახლოვდა და თავიდან შეხებადის გაშინჯა მაკაკო, ასეთს სიღიბილებს მოჭყვია, რომ საწყალს მაკაკოს კინადამ ცრემლი მოუვიდა კარინკას ტბილის ღანჯან-კისგან.

„რას კეთილი გულის ძაღლი შეოღიანა“ ითქვა მაკაკომ.

აღბათ ეს კეთილ გულობა იყო მიზეზი, რომ კარინკა წინ გაუძღვა მაკაკოს და მთელი სახლი-კარი მოატარა.

სახლი იყო ესა თუ სამოთხე? როგორ ეთქვა მაკაკოს. სამოთხე ჯერ არ ენახა და ამისთანა სახლიდან განა იქნებოდა ქვეყანაზედ? ვინ გააკეთა, ან რა ხელმა გამართა ეს დიდებული ოთახები, კარა-ყით დანითული კედლები, გუმბათი სატყეები, ტულის ზანაგესკები, ხავერდის ფარდები, ხავერდის მებელი, ბროლის ხომლები, ფერად-ფერადი დახატული ბრწყინვალე ასეთი პოლები, რომ ჰიზის სახე შიგან ჩანდა. რომელი ერთი, რომელი ერთი თქვას კაცმა... გაშტერდა საწყალი ჩემი მაკაკო და აღარ ესმოდა თითონ იყო აქა, თუ თვალები აუხვევიათ და ისე ატარებენ ცაში?

* * *

წაუვიდა, წაუვიდა ჩემს საწყალს მაკაკოს თვალები... სად დამდგარიყო, საით ეუერებინა, რომელი ოთახი უფრო ექო, რომლის მორთულობა და მოწყობილობა უფრო მოსწონებოდა, თითონაც არ იცოდა; მაგრამ ეკვალა მტკათ ბიძა ალექსის საუეთარი ოთახი აკვირებდა. მთელი ყაზმანიანი, თითქმის კედლებზე დაუხითაეთო... რამდენი ტყეები, ხეები, ცხენოსნები, მონადირეები, მწვერები, მშვილდ-ისრები, თითქმის თითონ კარდანქმანიც კი იქ იყო გამოყვანილი.

იქნება ერთხელ ბიძა ალექსი მონადირე ყოფილიყო, ითქვას მაკაკომ, და ამიტომაც თავისი ოთახი ასე გაუგებებინებია? მაგრამ ეს როგორ მომხდარა, რომ დღევანდლამდე არ შეუტყვია?

კინ იცის, მაკაკო ჯან; ძალიან შესაძლებელია, რომ ერთხელ ბატონი ალექს მარჯვე ცხენს მჯდომი ყოფილიყოს, ძალიან შესაძლებელია კი მშვილდ-ისრის მსმარებელი ყოფილიყოს, მაგ ამბავებისა არა ვიცი რა. მაგრამ, ამოიბენ რომ ძალიან ღვთის ნიერი ახალგაზდა ყოფილა თავის დროსა და ძმებს იმიტომ გაჭყრია, რომ ამ წით სოფელს მოშორდეს და უდაბნოში შევიდეს. მხოლოდ, როგორც იცით, ბედმა საწყალს თავზე ოინი მიაყენა და ერთი ცოლი რომ მოუკვდა, მეორე შეართვევინა. ნადირობას კი, ამოიბენ, ძალიან კარგი სტადნიაო. მაგრამ ისეთი ნადირობა, რომ არც მწეკარი ყოფილა საჭირო, არც მშვილდ-ისარი... იმ გეგანად მოჭყვდა თურმე საქმე, რომ სხვის ჯიბის ფულები ერთ წამში ფრთებითა და ფეხებით იმის ჯიბისკენ იწეოდა ნადირობით. მაგრამ სწორე და მართალი დიერთმა უწეის, მაკაკო ჯან. ხომ იცი, მე მაგისთანა მითქმამ-მოთქმამ არ მჯერა.

ბოლოს ვარინგამ მოიყვანა მაკაკო თავის ოთახში და უთხრა, „აი ესეც ჩემი ბუდუარი, ვითომც, ჩემი ბუტიობის ოთახია“, და თითო თითოთ უამბობდა ამ სიტყვის მნიშვნელობას, როდესაც სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა და ვარინგა გაიქცა იმათკენ მისაკბებულად.

დაჩნა მაკაკო ვარინგას ბუდუარში მარტო და ძლივს ღონე მიეცა იმის დაღაღულ მუხლებსა, ისე ღაცა დივანზე, რომ კინაღამ გული გადმოუბრუნდა ზრუყინის ძალისაგან.

ეს რაღა იყო ქა! სოქვა მაკაკომ და დაიწყო ზედ რეკვა.

* * *

ვარინგას ბუდუარი და ჩემი მაკაკო იქ მარტო!...

აბა ახლა ხარ ღამაში, მაკაკო ჯან; ახლა ჩანს, რაცა ხარ. ეგ ოთახი უშენოთ გროშათაც არა ღირს. ნეტავი შენი იყო! რათ გინდა? მეცე ხომ ეგ მაკაკო აღარ იქნები, მაკაკო ჯან... ეჭ, თავი ქვას ახალის, თითის წვერები ხომ აგრე დაბეჭდებული აღარ გექნება.

ჩაუბი იფიქრა ჩემმა მკაცრმა წამდენსავე წამსა, რა მძიმე რუხ-
რანი ამოჭნდა გულისადა!

გარინკა რომ იბუტება, ამბობდა ჩემი მკაცრე, ამ ოთახში იმა-
ლებსა და ამ დივანზე ირუეება. მკაცრის ბუტიობის ოთახი კი სათარნე იყო,
სადღე მკაცრს ჩაიკეტავდა ხანდისხან და თაროს გვერდით, ერთ ძველ
დამტყრეულ სკივრზე მჯდომარე, მთელ საათს ატარებდა, სანამ გაან-
ხლებული ქმარი გაკიდოდა შინიდან, ან სანამ იმას ქაჯები ჯაქარ-
გებოდა ჯვანიდან.

ჭალობათ რომ, ამბობდა ჩემი მკაცრე, ამ სახლების, ამ სახლების
ქალობათონს ამ გვარი ბუდუარი შეშვენიის და ჩემთვის სათარნეც ჭა-
რამიანო. მკაცრმა განა თითონ აქაურობას არ მოუხდებოდა?

წამოდგა და ტრუმის წინ დადგა... თითონვე მოეწონა თავისი
სახე... ესეთი ღამაში ჯერ არ ენახა თავისი თავი. შეხეო, აქ სატ-
კეტ სხვა რიგათ აჩვენებს კაცსა.

ხან ერთი მკლავი აიწია, ხან მეორე; ხან ერთის მხრით გაიშინ-
ჯა თავი, ხან მეორეს მხრით, გაიღიმა, გაიცინა, ჩივთ-ჩივთუთით
ითამაშა, მერე ენა გამოეყო და ქოქილას დაყრით „ოჰაღიმე დაგიდ-
გება“ უთხრა სარკესა და მოშორდა.

მოჭყვია სხვა რამეების შინჯვასა. ერთი წამი, ერთი წამი არ გა-
უშვა, რომ ხელი არ ესლა. სულ გაშინჯა, სულ ადგილიდან დასძრა:
გრესლოები, სტოლის სუფრა, ღამა, შანდნები, ეტარეკასზე დაწეო-
ბილი წვრილ-წვრილი რაგინდარაბი, ყველა, ყველა. ვისმე რომ ენახა,
იტყოდა, ღამაში მფრინველი ზის ღამაში კაღისში და ნისკარტით
ხან ერთს ეთამაშება, ხან მეორესა.

* *

გაუწვრილდა გული, აწავინ არ შეეძლოდა, და თითონვე კერა ჭბუ-
დავდა გასუფიყო.

დაჯდა კიდევ დივანზე, კიდევ თავისი სათარნე და სადგომი მოა-
გონდა...

ღმერთიო, ამბობენ, ჭაღალს აძლეეს, და რითი თითონ ჭაღალი არ არის, რითი იმისი ქმარი არ არის ჭაღალი? დილით საღამომდის თავიანთ ხელობაზე ბეჭითად სხედან, თავიანთ ლუგმა ჰუტს მოღვაწობენ, აწავის აწაფებს არ სტაცებენ, აწავის არა სჩაგვრენ, აწავის არ ატირებენ, აწავისგან არ იწყეკლებიან, და ამასე მეტი ჭაღალი რომელია იქნებაო, ამბობდა ჩემი ძაგაკო...

მართალია ქმარს ერთი ზატარა ცოდვა ჰქონდა. ისა, რომ ხანდისხან მუშტებს მიარტყამდა თვითონ ძაგაკოსა. მაგრამ ამის ჯარმის თითონვე ეწეოდა. ვის რა ჯგოდა, ვის რა აკლდებოდა, ან ნუ თუ ამისთანა ზატარა საქმისათვის, რომ ესეც ათასში ერთხელ ძლივს მოხდება, ღმერთი ურისხდება? ან ვთქვათ, ქმარი ძრეულაც ცოდვილია. თითონ იმ საწყალს რა ბრალი ჰქონდა? ამ გვარათვე იმისი საყვარელი კეკელა და ნინუცა, იმათ რა ბრალი ჰქონდათ ღმერთთანა. ამოდენა ქონება კი ბიძა ალექსანდრის მიუტან! რათა, რა მოუქმედებია, რა ღვთის სათნო რამ გაუკეთებია ისეთი, რომლის მსგავსი, რომლის ათში ერთი, ასში ერთი იმის ქმარს, კეკელას ქმარს, ნინუცას ქმარს, სხეებსაც ბეგრს არ მოუქმედებინოს, არ აესრულებინოს?... რა იყო, რა მიზეზი?

ბიძა ალექსანდრისათვის მოაგონდა და კედლებზე დაწილული მონადირეები.—დიახ, ეს არის, ეს იქნება მიზეზი, სთქვა ჩემმა ძაგაკომ, რომ ალექსანდრის ამოდენა ფული მოუგროვებია, ამისთანა ღოკლათის ზატარანი გამხდარა. ნეტავი ქმარიცა და თითონ ძაგაკოც მონადირეები უოფილიყვნენ... მაშინ იმათაც ხომ ექნებოდათ ამისთანა სახელი და კარი... მაგრამ ნადირობა რომ სისხლ დაუღვრელათ არ შეიძლება, იმას როგორ უნდა მოეკლა მფრინველები და მხეცები, რომ ერთ ქათმის დაკვლაზე ჯანში თერთოლვა უვარდებოდა? ამასთანავე ვინც მონადირეა, განა ბიძა ალექსანდრის განდება. მაშ იმათი უხელო დათუბო რატო მდიდარი არ იყო? იმაზე კარგი მონადირე სად იქნება, რომ თითო წასვლაზე ათ-ათი კურდღელი და ფრინველი მოჰქონდა.

აჩა, ამისთანა ნადირობითაც საქმე არ გახდებოდა... მაშ ჭკუით? იქნება ბიძა ალექსე ძალთან ჭკვიანი იყო?... მაგრამ იმაზე ჭკვიანი იმათი სახლის მღვდელი იყო, რომელიც ხანდისხან დაუჯდებოდა იმის ქმარსა და ფუნჯის სმით ან ჭაზარფეშით ხელში იოსებ მშვენიერის ყოფა-ქცევას ილამაჩაგებდა, ან კაენისა და აბელის ამბებს ღა-ზათიანათ ჩამოაჩაგებდა... მაშ ის მღვდელიც რატო ისე მდი-ღარ იყო და იმის ცოლსაც კარინკას ბუდუარისთანა ბუდუარი აჩა ჭქონდა?

აჩა, არც ეს იყო.

მაშ იქნება ქმარი მართლაც ჩიოდა, რომ ვითომც იმის ობლ-ბაში ბიძა ალექსე იმისი სამას-ოთხასი თუმანი ფული მოეტაცნოს?... იქნება ამაში სხვა ამხანაგებიც ჭყავდესო, სხვებისაგანაც მოეტაცნოს? ჭო! ასე ხომ ადვილია... ასე ხომ უგელას შეუძლიათ, ასე ხომ იმის ქმარსაც შეეძლო, რომ ჭამჭრის ფულს ინახავდა... მაგრამ ეს ხომ მართლად კაენობა იქნებოდა, აიღო და ჯავრით მიაფურთხა ბუ-დუარისა.

უეცრათ მაკაკო წამოხტა დივანიდან, თათქოს გულის ძილიდან გაეღვიძაო. კარებში ხუთი-ექვსი ქალი ერთათ შემოდირდნენ სიცი-ლითა და ხარხარითა.

* * *

მოვიდნენ და მოვიდნენ, მოგროვდნენ და მოგროვდნენ კარინ-კას სტუმრები. აივსო ბუდუარი, ზაღა, სასტუმრო, სულ ქალებითა, სულ დედა-კაცებითა.

აბა თამაშა ახლა იყო, აბა სანახავი აქ იყო.

რამდენი ნატაშა და ანიჩკა, რამდენი დარინკა და ქალინკა, რამ-დენი მაშინკა და საშინკა, რამდენი ნინიჩკა და სონიჩკა, რამდენი კი-დეკ ინკა და შინკა უოკელ ნაირი, ჯურა-ჯურა, რამდენი ჯურისაგ გინ-დოდეთ. ჯერ მარტო ჩვიდმეტ ნაირი სონიჩკა იყო: მაღალი, დაბა-ლი, სრული, მჭლე, ფუნჩულა, განდღრეული, კეება. ჭნაკო, ნაზი, ბოშა,

სათუთო, ნეუნი - მაროუნა, ჭკვიანი, ტუტუტი, ცეტი, შეტახუტა, ქა-
წაფუტა. ქაღინებს და მასინებს ხომ ვინ დასთვლიდა? რომელი
ერთი მოსთქვას კაცმა. ქაღაქში ერთი დიდ-კაცის ცოლი აღარ და-
ჩენილიყო, რომ იქ აზა უთავილიყო.

მერე რა ფეხად-ფეხადი საცმელები, რა მოჩთულობა, წითელი,
მწვანე, ლურჯა ყვითელი, გავანა, ბორდო, ცისფერი, წყლის ფერი,
პირის ფერი, თაგვის ფერი, მახახის ფერი, მოღნის ფერი; რა თბარ-
ჩეული: გლასე, ჭაია, მორე, კაშმირი, ხავერდი; რა მოდელები, გიზიუ-
რები, ბლანდები, ბრილიანტები, ჭანის სისქე ჩქაროს ძეწკები, მი-
ნაქრის საათები გვერდებში გამაგრებული, პრასლექები და თასაკრ-
გები, რომ, რომ, რომ... ენა უნდა რომ გამოსთქვას.

ანათებდნენ ეს პატრონისა ქალები იქაურობას და ყველას შუა
თითონ ვარინკა—ხაზვიკა ხომ თითქმის სწორეთ ვარსკვლავის მსგა-
სი იურსო. იმისი ერთი მტრედის იერი სამ ქაღინკათა და მასინ-
კათა ღირდა.

გაერია ამათში ჩემი მაკაგო და გული ისე შეუვიწროვდა, რომ
თითქმის საქაფავში ჩავარდა.

ვაჭ, განა შენ ის მაკაგო აზა ხარ, მაკაგოჯან, რომ მაგათის გუ-
ლისთვის ბაღია დაგირავე? რა დაგემატა, ნუ სწუხარ გეთავსანე,
ლხინი.

იქნება მაგ საუცხოო ქალების შუქი შენა გწავს და ამიტომ
ხარ აგრე? მაშ რა გეგონა? არ იცო, რომ მზის პირ-და-პირ მაცქე-
რალს თვალები დაეწვის?

მოშორდი მაგათ, შენ ჩემი გაიგონე, თორემ ინანებ...

მაგრამ შენ ჩემი არ გესმის, მე ბრალდი აზა მქონდეს, მაკა-
გო ჯან.

* * *

აქნათ სანთლები, ღამშები, კანდელები. გაიშალა ვიქტორე-
ლას სტოლი. მოერთვა ღოტოს ყუთი და პარკი და თეფშებით თეთრი
და წითელი ღობიო.

მაგრამ სანამ ღოტო გაიმართებოდა, სანამ ეს პატიო-
სანი დედა-კაცები და ქალები გარს შემოუსხდებოდნენ, ასეთი
ჟიჟიჟი ასტეხეს, ასეთი ყალბაყალი, თითქმის სოჭის აბანოა სწო-
რეთა.

ჩამდენი საცელი და ხარხარი იყო, ჩამდენი ხუმრობა და მახვილი
სიტყვა, ჩამდენი „გეთაყვაები და შენი ჭიჭიშკები“, ჩამდენი „ვინ არის და
ვის ეკადრებაები“.

ვისზე არ ილაპარაკეს, ვინ არ გაჭიღეს, ვინ არ გასჭოტეს.

ჩამდენის სახლი ამენდა, ჩამდენისა დაქცა აქა ნახევარ საათ-
ში.

რამ არ ითქვა, რამ არ მოხსმა, ვინ არ დაიძახა? გავს რამ თა-
მაშთ ეუფრებიან ამ დროს ამ პატიოსან ქალებისათვის, იტყუადა ქა-
ლქის მოსამართლეებათ ესენი ამოურჩევითა და ამით სელშია ყვე-
ლას სიკვდილიცა და სიცოცხლეცა.

არავინ არ დაუტყვეს, არავინ არ დაივიწყეს თავიანთ ნახულისა
და მცნობებისაგან, თავიანთისა და უცხოებისაგან, თავიანთ სავარჯულ
მოყვრებისაგან.

ბოლოს მისწვდნენ ერთმანეთს.

გაიუგნენ დასტა-დასტათ, ჯგუფ-ჯგუფად, ზოგი ერთს გუთხეში,
ზოგი მეორეში; ზოგი მჯდომარე, ზოგი მდგომარე. ერთის დასტის
ქალები მეორე დასტისაზე ჯანჯარობდნენ, მეორე დასტისანი მესამე-
საზე. ერთის ჯგუფის ქალები მეორე ჯგუფის ქალებსა ჭიჭიჭდნენ და
ჭიჭიჭდნენ და თან „მოდის“ ჩაის ფინჯანები სელში „მოდინუთ“ და-
ჭერილი, მოდას წვრილ სუხარს „სუნათ“ ჭებნეტდნენ. უცხო კაც-
რამ ამათთვის ეური ეგდო, იტყუადა სუვეკლანი ცუდნი არიანო, სუ-
ვეკლანი ავნი არიანო, სუვეკლანი ცუდის კაცების ცოლები და ქალები
არიანო, ყველას ქმრები და მამები ან კოტრები არიან, ან სხვისი
ფულებითა სცხოვრებენო. ისე სძინავდნენ ისინი თავიანთ თავსა ერთ-

მანეთის პირითა, ისე ერთის დასტის, ეგელაზე უკეთესი, ქალი მუ-
რით და ტალახით ისვრებოდა მეორე დასტაში.

* * *

ვინ იყო ამაში მართალი, ვინ მტუყანი, ძაღიან ძნელი გასაჩ-
ხევია. მაგრამ რა ეთქვა კაცსა, რა ეუფიქრა, რომ ერთის დასტის
ერთმანეთის მოუვრები, სხვა-და-სხვა დასტებში გარკვეით, ერთმან-
ერთის მტრები გამოდიოდნენ და სხვა-და-სხვა დასტის მტრები,
ერთის დასტში შესვედრით პილპილის მეგობრებათა ჩანდნენ; რა უნ-
და ეთქვა კაცს, რა განახენი უნდა წაეკითხა ამათ თავზე, რომ ერთ
ადგილს ერთმანეთის ხელს უჭერდნენ, მეგობრებს და დობილებს
უძახდნენ, ერთმანეთის „ჯანოს და ღვიძლოს“ ეუბნებოდნენ, და რა-
დესაც ერთმანეთის პირს აქცევდნენ, ერთმანეთის თვალს უყენებდნენ
და ქოქოლას აყრიდნენ.

ასე გაშინჯეთ თითონ „ხაზვიან“ აღარ დაინდეს. იმასთან სტუმი-
რათ მოსუფიყვნენ, იმისთვის მოართუფიყვნენ, იმის კეპერის ლოტოში
უნდა გამოჭიმუფიყვნენ, იმის ჩაისა სვამდნენ, იმის მოდის სუხარს
ჭკნეტდნენ, გიდეკ სხვა რამდენი პატრიკა უნდა მიეღოთ; რამდენი მუ-
რაბები და ხილი უნდა მიერთვით და არ სცხვენოდით რაებს ღაზა-
რავობდნენ საწყაღზე, რა შარებს უგონებდნენ. ნეტა ვიცოდეთ, ამბობ-
დნენ, ამოდენა სული რას მოუგროვებიაო. ეს ხომ ჩვენი მოწყვეა
არ არისო, ეს ამიტომ მოუხდენია, რომ თავისი მოდურნი სახლ-კა-
რი ეგელას გვჩვენოსო. ძაღიან საჭირია, დაე თითონ გაიკვიროსო,
ამბობდნენ, დიდების მოუვარეობით სქდებაო. ერთს რომ ერთი გროშის
რამეს აჩუქებს, ისე მოჭყავს საქმე, რომ ეგელამ ნახოსო. ძაღიან იგონებ-
ბაო; ერთი მოიგონოს, თუ რა იყოო, და ახლა გი ატლასის ბაშმაკებით და-
დისო და დაიწყეს ძეგლი ბოხჩების თითო-თითოდ გაშლა და იქამდინ მი-
ვიდნენ, რომ ტყუილი აბანოს მართალი ბოხჩა ნიშნობათ გადაიქცა. ვინ
იცის გიდეკ რაები გადმოეწყოთ, რომ ერთბაშით თითონ ვარჩნკა, რომე-
ლიც ერთ წამს ერთ ადგილას არ ისვენებდა და ერთის დასტადამ მე-

არეში ერეოდა, მოახლოვდა ამათ და „ნეუნათ-ნეუნათ“ რაღაცებიც და-
იკვება.

შენისთანა „ხაზიკაც“ იჭნება, ვაჩინკა-ჯან, შიშში უთხრეს. რა ღამა-
ში ხარო, რა ემაწვილი ჩანხარო, რა ღამათიანი სახლ-გარი გაქვსო,
შენისთანა თავდაბალი ქალი ვინ იჭნებაო...

ოჰ, ღმერთო ჩემო, ამდენი ტყუილი სილიბილო იჭნება, ამდენი
ყაღბობა!

* * *

რასაკვირველია სუფეგლანი იმგვარნი არ იყვნენ, ყველანი მოლა-
შაჩაგენი არ იყვნენ, ყველანი ღამ-მოხუდნი არ იყვნენ. მარამ ამის-
თანები მარაქაში ჯერ ახლად შედიოდნენ, ჯერ ახლად უნდა გა-
მომდგარიყვნენ.

რასაკვირველია იმათში რამდენიმე ჭალალებიც იყვნენ, რამდენიმე
კეთილი გულისხანიც იყვნენ. მაგრამ მტკვრის გორგოჩანაში რაც უნდა
ყვაილი ჩაგარდეს, რასაკვირველია თან გაჭყვება, რასაკვირველია მო-
რეკში ჩავაჭდნისას უფსკრულში ჩაიღუშება.

* * *

ჩემი მაკაო იყო მარტო, ჩემი საწყალი მაკაო, რომ ყველას
აშკარათ ერჩეოდა, რომ დაღონებული დარჩენილიყო და აღარ იცო-
და რომელ თავგის სოროში შემძვრალიყო ამ აფთრებისაგან. ასე
ეგონა ჯინჯვალა იმათში და ვინც მოინდომებდა იმათგან, იყენ-ქვეშ
გასრესავდი საწყალსა.

„გაი იმისი ბრალიო, ამბობდა მაკაო, ვინც ამათ ბრტყალებში
ჩავარდებოა!“

სანამ აქ არ იყო, სანამ ამათში არ იმყოფებოდა, ცნება მისდი-
ოდა ამათთვის, დიდებათ და პატივით სახავდა ამათში გარეყასა და

ასლად რომ აქ იყო, ასლად რომ ამათ ზიკს თავისის თვალთა სედა-
და, ამათი ხმა თავისის ურით ესმოდა და, ვის კალთასაც უნდოდა,
ხედებოდა, ასლად კი ნატრობდა, რომ ერთი მალე მოჩჩეს აქაურ-
ბასა, ერთი გულ-ღიათ თავის კეკელას და ნინუცას უამბოას აქაური
საქმე და ამბავი, ამ დიდ-კაცობის შითქმა-მოთქმა.

ასეა, ბეგრძი რომ, რაც შოროდამ სანატრელია, ასეოდამ ბეგრ-
ძელ ჭკარბავს თავის სიტურთესა.

ამასთანაც რა იცოდა საწყელმა, თუ ოთხმოცი სულის კეჩე-
იქნებოდა და იმისთანა შესაზარი, გენერალი დედა-კაცები და ქალები
იქნებოდნენ არეულნი, რომ თითქმის მთელ ადამიანს ჩაჰყლანებენ
თხსნელ კვერცხივითაო.

ამათთან მოდინათ ნატაშა და ბუდალანთ ანიჩკა თვას; ღაღლა-
ღანთ დარჩენა და კომბოსტანთ ქაღინკა ანგელაზები იყვნენ;
წიწივანთ მაშინკა და ქიჩმანანთ საშინკა ემაწილებათ დაისახე-
ბოდნენ.

სწორეთ იმ კუთხეში, საცა მაკაგო მოკუნტულიყო, ერთი ასე-
თი ქალი იდგა ერთ ჯგუფში, რომ ჩემი მაკაგო თრთოდა და
კანკალებდა რამდენსაც იმას შეჰყვამოდა.

დიდი, განიერი, სქელი, სახე წითელ კომბოსტოს მსგავსი,
რომ თითქმის დრავუნის უნტრ-აფიცარი იყოლო ასლად ზახოდიდამ
დაბრუნებულყო; მაგრამ ასეთი მორთული, ასეთი „ნეყნათ“ ჩაცმული,
რომ კაცს ეგონებოდა ცხრამეტის წლის პატარავი იყოლო საგვირ-
გვინოთ მომზადებულყო. ვინ იტყოდა რომ ორმოცსაც გადასცილე-
ბოაო. ოთხი ვერშოკი მარტო ლეჩაქის არშის სივანე ექნებოდა და
ცის ფერი ხვერდის თასავრავში ასეთი გეგას ბრილიანტის ქანდის
თავი ერჭვა, იტყოდით ხელმწიფის გვირგვინიდან მოუტაცნიათო.
იმ ვარსკლავის ქვეშაც საში წგრელი ბრილიანტის ცრემლები ღამ-
ზათ თრთოდა, რამდენსაც ის თავს ნაჩათ გაანძრევდა და გაიცი-
ნებდა.

რას არ ამბობდა ეს გენერალი განდღრეული ღამა, რას არ ლაპარაკობდა, რომ მაკაკოს თმები სწორეთ ყაჯხზე უდგებოდა.

* * *

ბეგრს ეცადა მაკაკო, რომ ერთი იმ კუთხიდან გამოქსელტა-ჩიო, ერთი თავისუფლათ სული მოეპრუნებინა. მაგრამ ვერ სერსდე-ბოდა. წინ ისე იდგნენ ის დაწყევლილები, რომ გზა ვერ ეპოვნა გასაღული და იმდენ გაბედულობას ვინ მისცემდა, რომ იმისთანა ავთ-რებისთვის პირდაპირ ეთქვა, ერთი გზა მომეცითო.

ერთბაშათ იმ გენერალმა ღამამ უკუხედა და ისე დაც-ქერდა მაკაკოს, რომ საწყალი ადვილობრივად დადნა და უტყუარად დაეცემოდა რომ არა მკდარიყო.

რათ დაცქერდა ისე ის ღამა ჩემს მაკაკოს? არ ვიცი თქვენმა მხემ. ჭაღბათ იმიტომ რომ ის გენერალი ღამა იყო და მაკაკო მარტო მაკაკო.

მაგრამ სანამ ჩემი მაკაკო გონზე მოვიდოდა იმ ცქერისაგან, ერთი სხვა გენერალი ღამა მოუახლოვდა, მაკაკოს წინ მდგომ დასტას. ესეც ორმოცის წლისა იქნებოდა; მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო: მოკლე, სქელი, გაბერილი, სახე თეთრი გოგრის მსგავსი, აღარც თვალები ეჩჩოდა, აღარც ცხვირი, არც სიგძე, არც სიგანე, სწორეთ მრგვალი ბურთი იყო წყეული. თანაც ისე ფშვინავდა, რომ თითქმის ცეცხლის მასინა მუშაობდესო. მაგრამ ასეთი გაკაკებულები, გაკაკეულები რომ ოქრო და ბრილიანტი ზედ მუჭით ეყარა. მარტო თანაგრავი ღირდა მგონაა ხუთას თუმნათ. ზედ სულ ფირფიტითა და ბრილიანტით ყვავილები იყო გამოყვანილი და ჯინსი მარგალიტის ფოთლები ოქრო-პედიოთ ნაკერი.

„ახალი ამბავი, ახალი ამბავი!“ უთხრა ამ ბურთმა გენერალ-ღამამ განდღრეულ გენერალ-ღამას და ყურში რაღაც წასწერწერულს ჯერ ერთმანერთსა, მერე სხვებსა. ერთბაშათ სუუველამ ერთათ

მიჭხედეს მაკაკოსა და ერთი სიცილი და ხაჩხაჩი ასტეხეს, რომ საწყალი ჩემი მაკაკო წმინდათ გაშტერდა.

* * *

რას შიში და კანკალი ჩაუვარდა მაკაკოს ჯანში, რას ამბებმა გაუარსა გულში და თქიშში, აბა როგორ გითხრობ?

ჟერ ასე ეგონა იმიტომ დასტინოდნენ, რომ სუუველამ შეიტყეს, რომ ხელისნის ცოლია. მაგრამ იმათ რას ჭკუით, თუ კი ძალად დაუძახნია და მიუწვევია... რას უყოთ რომ თითონ დიდგანის ცოლები არიან, ის ხომ არათუ არ ართმევს. მეტე ტანისმოსზე დაიხედა. ტანისმოსიც მართალია იმათსაც არ უგავდა, მაგრამ ისე სასაცილოთაჲ ასადები არ იყო. მაშ რას გაუგოებია ისინი, რომ ასე დასტინიან? იქნება იმიტომ რომ მარტო გუთხეში ზის, და დოსტი და დობილი არა ჭყავს რომ ელანაჩაკოს? იმან რას ქნას, იმას რას ბრალე აქვს?

ანაზდეულათ ბადიის დაგირაგებამ მესხაკებ გაუარსა თქიშში და ხელ-ფეხი უინულად გადაეჭრა. იქნება შეეტყოთ და იმიტომ დასტინიან? ვაი! დედა-მიწამ რომ ჩაიტანოს, ის არა სჯობს? მაგრამ საიღამ შეიტუბოდნენ ამ ამბავს? გუნდუჩანთ თათულა შუადლისას სეიდაბათში იყო და ასე ანაზდეულათ ამბავს აქ როგორ მოაწვდენდა. მეტე ამისთანა პატრონსან გვამებთან ასლად ვინ მიუშვებდა? ამისთანაც ის არ იყო დათფიცა, რომ აღსაწყობათ შევიანახამო?

არა, ბადიის საქმე ამათ არ იცინა, არ შეიძლება იცოდნენ. მაშ ასე რას ახარხარებდა... ამათ შევიდა საწყალი ჩემი მაკაკო აშოთათებულ თქიშების ზღვაში, რომელშიაც იმისი ანკარა გული იალქან მოგლეჯილ გემსაებ ხან ერთ ტალღის წვერზე ავარდებოდა, ხან ორ ტალღას შუა იხრჩობოდა.

ოჰ, მაკაკო ჯან, ნეტა შენი გული ქვას, თუ რას? ოც-და-ოთხი

საათი არ არის მაგ ერთ ღოტოს გულისთვის წამდნმა ამავმა გ.
მოაიწა შეს გულში და კიდევ სძლებ!

* *

ბოლოს ჩემ მაკაკოს ეგონა თითქოს ცილამ ხმა ჩამოესმა. ხა-
ზეკა ეგელას ეპატიებოდა: „მოხმანდით, ინებეთ“.

ძლივს გენერალ-დამები მოშორდნენ თავისი კამხანებით,
ძლივს ჩემი მაკაკო განთავისუფლდა იმათგან და გზა იპოვნა გასა-
ვლად.

ეგელა გუთხებიდან, ეგელა ოთახებიდან გრავდებოდნენ ღო-
ტოს სტოლთან ერთის ჭაჭა-ჭუჭუთი, ერთის აყალ-მყალითა და კიუი-
ნითა, რომ გეგონებოდათ ერთი კარგი გაწრთვნილი ჯაჭი თოფ-
იარაღით მიდის ციხის ასაღებათა.

ახლოს მოვიდა ჩემი საწყალი მაკაკოცა და არ ესმოდა, თუ რა-
გორ მივიდა.

მოუხდნენ ღოტოს მოთამაშენი ღოტოს გარსა. დაჯდა
ჩემი მაკაკოცა, შორსა, შორსა იმ გენერალ დამებისგან და თა-
ვის სულთა-მხუთავ ჯგუფისგან. მაგრამ მაღლა რომ აიხედა, ნახა
რომ ის ურჯულეებიც მოვიდნენ და ზუზუზ, პირ-და-პირ ჩამოემწყე-
რიდნენ.

უნდოდა საწყალს იმ სათაშეუკ ამდგარიყო და მეორე თავში
წასულიყო, ან სულაც დაკარგულიყო იქიდან. მაგრამ თითქოს
ჯაჭვით დაბეს სკამსკდა. იმდენ სულში თითოთი საჩვენებელი რა-
გორ გახდეს. თავი დაღუნა და კბილებს მაგრა მოუჭიკა, რომ სული
არ ამოჰხდეს.

ამოიღეს ეგელამ თავ-თავის „ნეჟინ“ ჯიბეებიდან „ნეჟინ“ ზოტ-
მანები და ადვილათ და მშვიდობიანათ ნაშოკნი და მონაგარი ფულები.
ამოიღა ჩემმა მაკაკომაც მთრთლავარე ხელთ თავისი მწარე სატანჯუ-
ლით ნაშოკნი ფულებიდან ერთი სამ მანეთიანი.

აბა ჭა, დიწყო დიდ-გატების დიდ-გატური ლოტოს თამაშობა თავის ამბო-ტყენობით, რომელიც ღაპარაკით და დროს დაკარგვით არ დიქს.

* * *

საკვირველი სანახავი იყო იმ ყმათ იქაურობა. ორმოც-და-ათიოდ სულზე მეტი ლოტოს გაქს მჯდომი ქალები თითქმის წმინდა სანთლის გაკეთებული ადამიანები იყვნენ; არც ჭკუა, არც გული, არც მოსაზრება, არც გრძნობა, აღაწაფენი არა სჩანდა ამათში. ჰარკიდან ერთი იღებდა ლოტოს ნუმიქსა და ასახელებდა თუ არა, ორმოც-და-ათნი ერთად, თავდახრილნი, ერთგვარად ანძკევენენ თვალსა და ზეფსა და ერთს საქმეს აკეთებდნენ. გვერდობდათ სულ ყველანი ერთ ძაფზე შემბული ტიგინები იყვნენ და იმ ძაფის გაწეგით სუფეყლანი ერთ გვარათა თამაშობდნენ. რამდენი ამათში ღამაში და გონჯი, რამდენი ჭკვიანი და ბრიყვი, რამდენი ჭასაკ შესული და ახალგაზდა, რამდენი გეთილი და ბორბოტი. იმ დროს ყველანი, ყველანი, ყველანი ერთნი იყვნენ, ყველანი მსგავსნი. ენა თითქმის იმ ქალებისაგან, იმათის თავისა და გულის ბრძანებებს წაერთკათ და იმოდენა ანთებულ სანთლებში ღაპარაკობდნენ და ჭიკჭიკობდნენ თავიანთ ჰატრანების მაგიერათ, რამდენჯერაც ესენი თავს გაანძკევენენ.

ამათზე უფრო შემოდგები, რომელიც ლოტოს აღაქ კადრულობდნენ, და ორიოდუ ნუენი ქვრავები სამ-ათის სტოლზე ბეზიგსა და რამისა თამაშობდნენ და ისეთს ფულებს აგებდნენ და იგებდნენ, რომ გლეხებში ღამის მათეგარი კაცებიც შეატყნებნენ.

ამ მოთამაშეობში რამდენიმე გასათხვარი, ფრანტი ქალებიც მკლავი-მკლავს გაურილი და ზუტკზე კაცის თავს სამი-ათნი ათასი თუმანი მზითვე აკიდებული ერთი მხრიდან მერყმდის ბოლთასა ჭსტმდნენ და ბუღვარზე და კრუჟოში ნახულ მოდის ემაწილ-კატებზე რუსულათ ღაპარაკობდნენ ან ფრანციულათ ამტრევენენ. თანაც ძალიან უნდოდათ შეეტყნათ, თუ იმ ვაყებში, რომელი გამოტყვრე-

ბა უხარბუღი, რომ წამოვიდოს და წაიღოს ისინი თავისის სხვა-
ნითა .

თითქმის ამათ წინააღმდეგ, ორი მოხუცებული, მათუა და ხამო-
ჭა, მუხლებში ჯან გამოლეულები და კრიალასანით თუ ბუჩუნთის
კოლფოთით ხელში, ისინი ტახტზედა და იმდენს მორთულობაში და
მოწყობილობაში, იმ ვარსკვლავით დაჩითულ კედლებში თავიანთ ნახულ
დღეებს იგონებდნენ და კვამლით გაჭყარტულ დაბნეის კედლებს
შენატრდნენ .

მხოლოდ ერთი იყო მარტო და ყველასთან, მხოლოდ ერთი
იყო, რომელიც პეპელასავით ერთის ადგილიდან მეორეს იფრინავდა,
ერთის ოთახიდან მეორეში შედიოდა, ღოტოვად ბეზიკთან მიდიოდა,
ბეზიკიდან ღოტოსთან და ხან ერთს ეუბნებოდა გეთაყვანეს, ხან მე-
ორეს შენი ჭირიმეს, სტუმრების იფრებაში და ეშხში, იმათთან მარ-
ჩილი მონა ჩანდა და მონებს გი სასტიკს ბრძანებს ამჟღავნა. ეს ჩე-
მი კეთილი, ღამაზი, ნეყნი, მადლიანი, თავდაბალი ვარსკვლავი იყო —
თითონ ხაზიკა, რომელიც აჩაფრეს არ აგებინებდა, ერთ ადგილს
ერთ წამს არ აკლებინებდა, და თანაც დესერტის სტოლს ამზადებო-
ნებდა, თავის მოდის სტაჯაჯაგოში მოდის ვეება ბუჩუტიდგან ქვე-
ნის სიკეთეს აწუბობინებდა.

რა ფერად-ფერადი მურაბები და ხალეულაბა, რა გამფეტები
და სასმელები! ქაღალში თუ რაზე იშოკებოდა, როგორ იქნებოდა რომ
იმ დამეს ვარსკვლავს სტოლზე ანა ყოფილიყო.

* * *

სულ ღამათიანათ იყო იქაურებსა იმ უმათ, სულ მოხდენით.
მაგრამ იმოდენა მორთულობაში და მოწყობილობაში იმოდენა დედა-
კაცებში და ქალებში თვალს ერთი წამი აკლდა, გულს ერთი წამი
სწყლავდა.

იმ ჰატოლსან დედა-კაცებს და ქალებს ეგელას ჭეჟვლათ ჰატრონი, ან მამა, ან შვილი, ან ქმარი, ან ძმა და იმათგან არც ერთი, არც ერთი იქ არ იყო და არც შეეძლო ყოფილიყო, ამიტომ რომ აღათი არ იყო. თითქოს არც ერთი ღიწისი არ იყოსო. რომ ამისთანა ღრეს თავას ქალის, თავას დედის, თავის ცოლის ან დის ხმა გაიგონოს, იმათი ნათქვამი შეიტყოს, იმათთან გაიცინოს... ღიწისნი თითქოს მარტო მსახურები და ჯაჭიები იყვნენო, რომ ღიმონადებით და არშატებით თავს დასტრიალებდნენ, იმათში მიდიოდ-მოდოდნენ, იმათი სიცილი და ხუმრობა ესმოდათ.

ვინ იყო ამაში დამნაშავე? კასაკვირველია რომ თითონ მამები და ძმები, თითონ ქმრები და ჰატრონები, რომ თავიანთ ცოლებსა და ქალებთან ღრეს გატარებას არ უყვარდათ და ვითომც ძლიან საჭირო საქმეს აკეთებდნენ; კლუბებში და სხვა კარგსა და კარგს ადგილებში ათეებდნენ.

* * *

მაგრამ, ღმერთო შეგცოდე! ამოდენა უსამართლო კაცებისაგან და ჰატრონებისაგან ერთი ანგარიშს გარეთ საჩქმუნო დაჩხენილიყო, ამ ღამისათვის თავის საყვარელ ნაზის ცოლისა, თავის გუჯით საყვარელის ცოლ-შვილისა. ეს ის აღალი, დგოისნიერი, აღამიანის მოყვარე სახლის ჰატრონი იყო — თითონ ბიძა ალექს, რომელიც უმიძისათ ერთ ღამესაც ვერ გასძლებდა უკლუბოთ, და იმ შაბათს საღამოს თავისი აღებ-მიცემის ჭაღალ ანგარიშებს მოჩხენილიყო თუ არა, ჰიდანიჩ შინ მოსულიყო და თავის მშვილდ-ისრებიან და მონადირეებიან დახატულ ოთახში ხან უამნსა კითხულობდა, ხან ფარდის უკანადა მამას ქალებს მაღვით უჭერტდა.

„უამნი“ ძლიან უყვარდა ბიძა ალექსს. მაგრამ იმ ღრეს ძლიან ენაებოდა, რომ თათრობა არ არისო და ამოდენა ღამაში დედა-კაცები და ქალები სულ ჩემი ცოლები არ არიანო.

„ჭაი თუ ვაღივლებდიო“, ამბობდა თავის ფიქრში, და ერთბაშით სვანთქრათ წაწმოდგენდა თავს. მაგრამ სვანთქრის დღე რომ აგონდებოდა და ტახტის დაკარგვის შიში გულში უფარდებოდა, თითონვე სცხენოდა თავისი ტუტუტის ფიქრებისა და თავის-თავს დასცინოდა. მეტე კიდევ ჟამნს იღებდა ხელში და „უფალო ნუ მიიქცევ შიკსა შენსა ჩემგან“ კითხულობდა, თანაც ხვედრის ღოუიან ვარინკას იმისთვის მაღმალ გამოფე-ტები შემოჭქონდა და ისეთის ოსტატობით ქთავაწობდა, რომ გამოფე-ტი შიკში ჩაუდიოდა და საყვარელი ხელის გული კი ტუჩებზე რჩე-ბოდა.

„შენისთანა აჩავინ არ იქნება, ვარინკა ჟანო“, ეუბნებოდა ალექო.

„შენისთანა ქმარი აჩავის არ ეყოლება, ალექო ჟანო“, ეუბნე-ბოდა ვარინკა.

და იწყებოდა ფარდის უკან ბებერის ქმრის და ემანვილი ცო-ლის ალერსიანი სვეკნა-გოცნა.

ოჭ თქვენ ვარინკას სტუმრებო, დედა-გატებო და ქალებო, ოჭ თქვენ გენერალ დამებო, თქვენ რომ ქვეყანაზე აღაჩავინ გაუშვით, სწორეთ მაგ დამეს დაუძახავი, თქვენ რომ ახლა ნებოქრათ ღოტოს, ბეზიგს და რამსსა თამაშობთ, რას ხედავთ, რომ აქავ, ამავე წამს თქვენს გვერდით რა ამბავი ჭხდება.

ჭაი თუ გინდათ, რომ ფარდა ერთბაშით გადიწიოს და თქვენის უფრით შეიტყუოთ, თუ იქიდან რა ხმა მოდის, თქვენის თვალით ნა-სოთ, თუ თქვენი ნაზი ხაზიგვა ვარინკა და იმისი ქმარი ბატონი ალექო ერთმანეთს რაგორ ეხვევიან კარებში მდგომარენი და ტბილ-ტბილათა ჭკოცნიან.

ჭაი თუ ხელათ გაიცინებდით და ჩაიკასკასებდით, ჭაი თუ სამა-რაქო ღაზაჩაკს გამაწთავდით თქვენთვის! მაგრამ აჩავინ იცის; იქნე-ბა ამ წამს დიდი მარაქა ვარინკასა და ალექოსა აქვს გამართული თქვენზედა?

აგრეს, რამდენსაც გამოუდგებოთ და სხვას დასძრასავთ, თქვენს დღეშიაც კერა ნახათ თქვენ ცხვირ წინ რა ქსდებს ხელზე და თქვენც როგორა გძრახვენ?

* *

მაგრამ თავი დავანებოთ ბიძა ალექსს თავის ოთხნაშთი თავისის კეთილს და ბოროტის ფქვილითა, თავისის უამნითა და ვარინათი; დავეხსნათ ზურანტ-დამესა და ნაზ ჭერეებსა ბეზიგის და რამის თამაშობაში, დავეხსნათ მოხუცებულ მათუასა და ხამოეკას ძველ დარბაზის ნეტარების დაურაში, დავეხსნათ მოდის დასანიშნავ ქაღალდის უხარბელ ვაყების ძეხნაში. მე არც ერთისათვის არა მცაღიან. ჩემი ჭკუა და გონება მაკაკოა, ღოტოა, სადაც ჩემი საცოდავი მაკაკო ზის, ჩემი ტანჯული მაკაკო, რომელსაც ავი და კარგი აღარ გავგებოდა, წაგებულ და მოგებულ აღარ ესმოდა შირ-და-შირ მჯდომარე ქალების და გენერალ-დამების ჩურჩულისა და სიცილისაგან.

ზეცით თავს რისხვა მოელუნოდა და ფიქრში მარტო იმას ეგუდებოდა, რომ ღმერთმა შეამღებინოს ამ რისხვას გაუძლეს ბოლომდისინ და მტკიცე აღთქმასა სდებდა, ამას იქით სიკვდილმდინ არც აქეთ გამოვიარო და არც ამ გვარ ადგილს ჩავადგო.

* *

რა დაეშავებინა მაკაკოს შირ და-შირ მჯდომ ქალებისა და იმ ორ გენერალ დამებისათვის, რა ბრალი ჭქონდა იმათთან, რომ ასე დასცინოდნენ და მასხარათ იგდებდნენ საწყაღსა?

მე მგონია, რომ თქვენ ყველანი გინც გუნდურაანთ თათლას იტნობთ, ჩემ უთქმელათაც ყველა შეიტყუეთ და იტით კიდევ.

ის გულ-მკვდარი თათლა, რომელიც ქვეყანასთან ვამსვლელ-მამსკული იყო და სოლოლაკის ქალებისთვის ბაღებში საზანდრუბათ ზიგნიკების გამმართველი, იმ დღეს თურმე სადილათ ბურთ-გენერალ-დამსთან უოფილ იყო, რაღაზედაც ერთბაშით თურმე სიტყვა

ისე ჩამოვარდნილიყო და დიდის ფიცის ქვეშ, დაწვრილებით თითო-
თითოდ ეთქვა მაკაკოს ხადის ამბავი.

სწორეთ ეს ამბავი იყო, რომ განდღრეულს და ბურთ გენერალ
დამებს ძალიან აწუხებდა, სწორეთ ეს ამბავი იყო, რომელსედაც ისინი
და იმათი კამპანია ხარობდნენ და ხარხარებდნენ. „ეს რაღა ბეჭაობაა,
ქა! ეს რაღა შესარცხვენი საქმე მოგვსვლით თავსაო, ვინ ეხვეწებოდაო,
რომ მოსულა ჩვენში გამოტყუილად, ნეტავი თვალი დაუდგეს წა-
გოსო, ნეტავი ქმარმა შეუტყუოსო და ერთი კარგა მიზეზი... გი-
დევ ათასი ამ გვარები. ამასთანაც ასეთი სიცილი და ხარხარი, რომელი-
საგამო ჩემ საწყალს მაკაკოს ხადისხან თითქმის არც ნუმრის სახე-
ლი ესმოდა, კერც თავის ქაღალდზე ნომრები გაეჩივა.

* *

ასე წვალბდა და იტანჯებოდა ჩემი მაკაკო შირ-და-შირ მჯდომ
გენერალ დამებისა და ქალებისგან, რომელთაც თავები ძალიან მარ-
თალი და ჭაღალები ეგონათ, იმიტომ რომ იმათგან:

ერთს ორასის ობლისთვის უელი გამოეჭრა;

მეორეს, ბურთ გენერალ დამას, ქმრის სახლები თავისზე დამტკი-
ვებინა, რომ სხვის დასაბრუნებელი აღარა დარჩეს რა;

მესამე, ერთი რუმბი-დამა, ორჯელ ტუილად გაგოტრებულის
ცოლი იყო.

მეოთხე, ხართუიანთ აჯილდა ქალი იყო, რომ ქმრის პარათის
დასასხნელათ ფულის პატრონისთვის ერთი ასეთი წაეჭირა ეელში,
რომ საწყალი თურმე ერთის ხმით უარულს იძახდა, სანამ ეს პა-
ტიოსანი ქალის პატიოსანი ქმარი საცოდავ ვალის პატრონს ჟი-
ბეებს უშინავდა და ძრეულ პატიოსანი ძმა იმას უარსაღულ წაღების
ხდიდა.

მესხეთე, უარავანდანთ ბიჭუას სოფელელი ცოლი იყო, რომლის
ჭრელ-თვალს შირმაჟ ქმარს სხვის ღუქებისა და ქარვასლისთვის ცეც-
ხლი მოეკიდებინა და იმით გამდიდრებულიყო.

მეექვსე ჭაგუჩიანთ ჭეჭეჭა იყო, რომლის საცოდავ მტკვალ ქმარს ხალხის ოფელი თავისთვის ფულათ გადაქცია და იმით დიდი კაცი გამხდარიყო.

მეშვიდე, გლახა ყაზარისის ჩამომავლობის ლენოქაშა ცოლი იყო, რომლის ქმარი რამდენამე წელიწადი ქუჩების უსტახაში იყო და მეჩე სალდათის ფეკილით სამ-ოთხ ატაყიანი ქარვასლები და სახლები აიშენა.

მერვე, ერთ ნაზ ღოხს დამას ავითმყოფების ბუღიონით თავისთვის ხავერდის სალოფი შეეკერა.

მეტეხე, ერთმანერთის შორს მჯდომნი ავი და ჩანანდა სამი მარჯის ცოლნი იუენენ, რომ თვალთ ერთმანერთის დანახვაც არ უნდოდათ. იმათ საქმეებს, ამბავებს ცალკე წიგნი და დაკთარი უნდა და ვისაც უნდოდეს სელათ შეიტყოს, სამისკან ერთსა ჰკითხოს. ის ჩემზე კარგა გიამბობთ.

მეათე, ერთ ცხენ-თავა ქალს, საყვარელის ქმრის ანდერძი კბილებით დაეღებინა და მეჩე ასსავით ჩეუელანა.

მეთერთმეტე, ძრეულ ვაგლახი იყო! ფომინობას იატჩხა მოეპარა, თავის მოდის კალთის ქვეშ ამოეღო და ავით გაბეანბრებულ იყო.

ბარემ ერთი რა ვთქვას და დუჟინი შევასრულო.

მეთორმეტე, ასეთი ენა-მტანია ეშხიანი დედა-კაცი იყო, რომ ღოტოს კახნახეობაში სხვის ბრილიანტის ბეჭედი აეწაპნა და ამისთვის ლეჩხი დახეოდა და ცალი კავი დაჰკარგოდა.

რა დუჟინი გმარა? გიდეკ ვინ არ ერია იქა?

საუდრის სტაროსტას ცოლი, საკეკელსიო ფულთი დამშენებელი; ჩინოვნიკის ცოლი, ქრთამით ეელ ამსუბული; დიდი არისტოკრატა, სახლიდგან გამოგდებული, თავის წველის მზითვით ქმრის ორჯულ შეიდეკელი; პატარა არისტოკრატა ქმრისგან გასწავლული, ჯიბეში ქმარ ჩადებული, უცხოზე გადაკიდებული.

რამდენნი იყვნენ კიდეკ ამათ მსგავსნი, ამათზე უფრო უარესნი, ამდენი ცრუნი და მატყუარნი ოქრო-ბრელიანტით მოჭედდნენ, მო-
დებში გახვეუდნენ!

ვინ მოსთვლის იმათ, ან ვინ გაიტყოს იმათს საზარელ საქმეებსა და მოქმედებასა?

მაგრამ, რა უშავს? იმათი ჩადენილი, იმათი ქმრების ნამოქმედარი მონულებული იყო, გავლელი იყო; ვინ რას ხედავდა, ვინ რას კითხულობდა? ისინი კარგა ჩანდნენ იყვნენ, კარგა მოართუდნენ, კარგა მცხოვრებელნი, კარგის სახლ-კარის მქონეებელნი, კარგის მოყვარე მეგობრების პატრონება, ყველას მიმღებელნი, ყველასგან მიღებულნი და ყველგან სუყველასზე თავს მჯდომარენი, თანაც სემდესია დეა და შესდესე ტრის ნაზათ მთქმელნი.

იმათ რა ბრალი ჰქონდათ, რა დაუშავებინათ?

ბრალის და დანაშაულობის მქონეული მაკაკო იყო, ჩემი საწყალი მაკაკო, რომ ბაღია დაეგირაუბინა და მოსუფიყო, იმათ წინ დასჯდომოდა და რომლისთვისაც დასაზრწობათ თოკიც, იმათის ფიქრით, სა-
ნანურნი იყო.

* *

ღამის ათი საათი იქნებოდა, სანთლები ნახევრამდის დამწვარიყო; ზაღაში და სასტუმროში ჭაერნი დამძიმებულიყო. გარეთ ქუჩა ავსილ იყო შინაურ კარტუბითა და კაჯასკებითა, შინათ კუხნა და ბაღკონი ღაქიბითა. მაკაკოს ქმარსაც ღუქანი დაეკეტნა თუ არა, ხელისნის ტანისამოსით პირ-და-პირ მოსუფიყო და ბაღკონში წინ და უკან ბოლთის კვრით უკურთხავდა და უკურთხავდა ლოტოს მომგონსაც და ბაძანთაც, რომ საქმე ასე გქმდებოდა და იმ ტანისამოსით იმისთანა ოქროს სახლებში შესვლა კერ ეპებდნა უბიძოთ, რომელზედაც ღაქიას ეთქვა, შინ არ აჩისო. ვინ იცის, ისიც დაბრკებული იყო, თუ ხელისნის ტანისამოსი არ იაშა ამ კრთის სულვირსა.

ჩემ მაკაკოს ბლომათ წაეგო.

მე კა ან ვიცოდი, რომ აგრე იქნება; ანა რა შავს ქვას მოიბეზდა ამ აფთრებისაგან ან ვინ მისცემდა იმას იმდენს გულის ღონესა და ძალას, რომ იმათ გამართულ ღოტოდან თავის-თავით დროზედ ამდგარიყო.

გული ისე გახდომოდა, დანა რომ გვერათ, ერთი წვეთი სისხლი არ ედინებოდა.

ჭეი გიდი, რა ფიქრებით მოსულიყო ბიძანთსას, რა წადილითა და ტანჯვით დაეგირებინა თავისი ერთით ერთი სათუთო ბადა, რა ფიქრებით დაშვდარიყო ღოტოზე და ახლა რა იყო...

მოგების სიხარბე სრულიად საწყალს არა ქმნდა და წაგებასაც აღარ ზოგავდა, ოღონდ სირცხვილიდამ ზიკნათლად გამოსულიყო; ოღონდ იქიდან მშვიდობით განთავისუფლებულიყო. ჯანი გაჟრდეს, ბადის ათ მანეთსაც, ქმრის მოცემულ სამ მანეთსაც. სულ თავის თვალის ჩინისაგან ამოიღებს, თავის ნემსის წვერისაგან მოჭკრებს. მაგრამ ახლა რა ქნას, რომ ის სამი მანეთიც წავიდა, ის ათი მანეთიც და ათიც სხვა მიდიოდა. ესე ხომ სრულიათ შერცხვა. ამასთანაც იმ წვეულ გენერალ დამების სატილი და ხუმრობა, რომლისაც ბევრ წილს მაკაგო თავისზე იღებდა, ბევრიც ეგონა, ჩემზე არა არისო.

* * *

მოგორ გაუთავდებოდა ის დაწვევლილი ღოტო, რა ბოლო ექნებოდა, რა მოხდებოდა, სულ ამ ფიქრებში იტანჯებოდა ჩემი საწყალი და ამისგანაც ბევრჯერ ზოგებაც არ ესმოდა, ისე რომ გვერდით მჯდომს ერთ ნაწეს ქაღს ებრალებოდა კიდეც და ხანდისხან ისა ჭკუელოდა.

აღარ იცოდა, საწყალს ვისთვის დაებრალებინა, თავისი უბედობა, იმის უმანგო გულში არავის დამნაშაურობა არ თავსდებოდა; ბრალებული არავინ გამოდიოდა. ისევ თავის თავს აბრალებდა, რომ თავის ქერქში არ დადგა, რომ დიდ-კაცის ცოლებთან ჯდომას მოინდომა, რომ მოსულიყო და ამათში გამოჭიმულიყო, რომ ნახევარ საათის წინათ

ცოცხალ მოგების იმედი მიეცა თუ არა, ჭაბ-ჭაბით ჯერ ნამდვილად არ მოგებულ ფულებით შეიღისთვის რილსიც უიღვის პირობა დასდეს და ბოლომდის არ მოიკადა ერთი ენახა, თუ ღმერთი როგორ გაათავებს საქმესა.

სწორეთ ამისთვის დასვაჯა ღმერთმა, თქმობდა ჩემი მაგა.

„ჭი! ხნია ჩემსეო, ამბობდა თავის თქმში. აი აგრე გაგიშვებ პირიო!“

ნანობდა წინაშე ღვთისა, სურუ-სარქისისა, ღვთის-მშობლისა, ხატებისა და წმინდანებისა და სხვა არაფერი არ უნდოდა, სხვას არაფერს არ სთხოვდა, ოღონდ ერთხელ მანც მოეგო, რომ თავის ცაშეს მანეთზე მეტი ვალი არ დასდებოდა; რომ პირი არ გაშავებოდა ამ პირობებთან.

მაგრამ შენ არ მაიკვდეს, ამ თამაშობამაც გაიარა. ვიღაც მოიგო კიდევ ერთი თუმანი და ისევ მაგაგან ერთი მანეთი ახალი ვალი მოემატა.

„ოც-და-ოცითა ხარ ესლად“, უთხრა კახნაჩიმი და საწყალს ასე ეგონა ჭერი თავზე დაენძალა.

* * *

აი აგრე სულ მოიშლება, აგრე სულ ერთიანად დაიძვრინა, ამოიღებენ თავიანთ პორტმანებს, ზოგნი მოგებულ ფულებს ჩაიწეობენ, ზოგნი წაგებულს ამოიღებენ. იმან რა ქმნას? ისიც ამოიღებს თავის პორტმანს, სამი მანეთი ხომ მიტეხული აქვს, ათსაც მისცემს. მეტე დანახეინი ცხრა მანეთი ვიღამ მისცეს, როგორ მისცეს, ვისი მოვალე დაჩქება? იქნება სწორეთ პირ-და-პირ მჯდომ გენერალ დამებისა? იმათი მასხარა უნდა გახდეს, პირში უნდა უთხრან, თუ კი არა გქონდა, რადათა ჯდობადი ჩვენთანაო; ან იქნება სულაც არ ინდომონ, უთხრან, ეგეტ შენთვის გვიჩუქებია, რადგანაც არა გაქვსო. ესე ხომ თითოთი საჩვენებელი გახდა, ესე ხომ თავი მოეჭრა ქვეყანაში. ან იქნება ისევ ძალი მოეშველეს, იმის მაგივრად იმან მისცეს; ესე ხო

დედა-მიწაში ჩაძვრა, ესე ხო ისევ ის გამოვიდა, ბადიას წაღით აგი-
რაგებდა, ამდენს წაღას ეწვალეოდა?

ოჲ, ოჲ, რატო მარტო არ არის, რატო თმებს არ იგლეჯავს,
რატო თვალებს ნემსით არ იხსვლეტავს, რატო ტერის მავრატლით
არ ითხრის, რატო დედა-მიწა არ იძვრის და ჭერი თავზე არ ეტყება,
რატო დედა-მიწა არ სქდება და იმის თავლაფიან თავს არ იტანს...

* * *

ამ ყოფაში იყო ჩემი საწყალი მაკაცო, რომ პირ-და-პირ მსხდომ-
მა დამეხმა ხელმოკრეთ დაიწყო თავისი სიცილი და ხუმრობა.

ამ ხანათ სრულებით აღარა ზოგვენ მაკაცოსა, პირში შესცი-
ნინან... სწორეთ, სწორეთ მაკაცოს მასხარათ იგდებენ... აი, კიდევ რა-
ღაც ჩურჩული გამართეს, წაღაცები უთხრეს კიდევ ერთმანეთს და
ამას შემოხედეს, აი შორ მსხდომ ქალებსაც წაღაც ანიშნეს...

ერთბაშათ ერთმა ძრომელმა გამბეჩა-ღამამ, რომელსაც შავ-შავი
დიდი თვალები მართლაც სწორეთ გამბეჩისას უკავდა და რომლის
წუერგილს ლიმონადი და არშაჟები კერ აუდიოდნენ,—ბადიით ცივი
წყალი მოითხოვა. ამასობაში განდღრეულმა გენერალმა ღამამ სთქვა,
რომ გერცხლის ბადიით უფრო ცივი იქნებო და ნეუნათ გაიცინა.

მაკაცოს კინაღამ გული გაესქდა, განდღრეულმა ღამამ კი მსუ-
ბუქათ ჩახველა და მერე იმან და ბურთ-გენერალ-ღამამ ერთი ასეთი
სამაგელი სიცილი ასტეხეს, რომ ამ სიცილმა ერთისაგან მეორეს ჩა-
მოუარა, ვინც კი იცოდა საწყალი მაკაცოს ამბავი.

ეჭვი აღარ არის, შეუტყვიათ, იცინ ამის ბადიის ამბავი. ამას
იცინიან, ამას დასტინიან, სულ გამოჩნდა, სულ ყველანი აკერ პირში
შეაფურთხებენ, ქმარიც შეიტყობს, ჩავარდა იმის წიხლის ქვეშა, იცე-
მა, მოიკლა... თათელას ფიცი გაუტყნია..... ჭო, ღიან, აი ამკარათ
იმისი სახელიც წაიდუდუნეს, სვიდაბათიც ასხენეს...

ველარ გასძლო ჩემმა საწყალმა მაკაცომ. ასე ეგონა თმებით ას-
წიესო, ღოტო წავიდ-წამოვიდა, სახლი შეიძრა, ჭერი თავს ჩამოეჭ-
და...

მაკაკოს გული წაუვიდა.

ისინი ჯერ ისევ იღრიტებოდნენ, რომ მაკაკო გულ-წასული ებ-
და სკამზედა.

საწყალო მაკაკო!...

* * *

„ჭაი წყალი, ჭაი უშველეთ, ჭაი ერთი აქეთ მოიხედეთ!...“ ჩა-
ვარდა ორიანობა. შემოესვივნენ მაკაკოს რამდენიმე გარსა, ზოგი ხე-
ლებს აქეთ-იქით უწევდა, ზოგი უუჩებს. გასწიწეს ის საწყალი, თა-
ვი მოხადეს, კაბა დაუფხრიწეს, ლეჩაქი ნაკუწ-ნაკუწათ უქცეის, ორი
გრაფინკა წყალი ზედ დასცაღეს, გამიწუწეს, წამისდინეს, განიფუჭეს
ნაზი და ჯეირანი მაკაკო, ჩემი ზეცური მაკაკო.

ასტუდა ერთმანეთის ეგედრება; „ეს შენა ქენიო, ეს შენაო,“ ჩხუბი,
აყალ-მაყალი, სიცილი, ღრეჭა..... შემოვარდა ბიძა ალექსო თავის ოთა-
ხიდან, შემოიბრანა ვარინკამ სტოლფოგიდან მუჩაბის კოვზით ხელში...
ძლივს, ძლივს ჩემი მაკაკო მოაბრუნეს.

ჯერ კიდევ სრულად გონზე არ მოსულაყო, ჯერ კიდევ თეთრსა
და შავს არ აჩეკვდა, რომ ქმარიც ბიჭების ჟაგილ-ჟივილზედ შინ
შემოვარდა...

რა წივალი, ნაზი ქალების რა გულის ფრიალი და გულის
წასვლა, რა ვარინკას შეწუხება და უფიშობაზე და უფიშო ნათესა-
ბაზე გაანხილება, რა კიჟინა და აყალ-მაყალი, რომ უნაღმა დაათა-
როს და ღმერთმა დაიხსნას!

* * *

შეიტყო მაკაკოს ქმარმა ეგელაფერი, სულ ეგელაფერი შეიტყო
და მაშინვე მიიტანა ხელი ჯიბისაკენ...

ბევრი უთხრეს ზოგიერთებსა არა უშავს რა, ჩვენ გაკსწოვდები-
თო, ბევრი უთხრა თითონ ბიძა ალექსიმაც, კარგია, მე მივცემო. მაგ-
რამ შენც არ მამიკვდე, მაკაკოს ქმარმა არავისი წყალობა არ მონ-

დღამს; ამოდო თავის საწყალის ჯიბიდან მწარე ოთხით ჭაღლი მონაგარი ფულისგან ცხრა გაცვეთილ-დაძენილი მანეთი და პირში მიახლა ყველასა... ერთი კი ცხვირ-ქვეშ წაიდუღუნა თავის პატრონს ბიძასად: შენც შეგარცხინოს და შენი საჩუქარიცა! ეგეტ წაიღე და მამიჩემის ფულებს მიუმატე, უფრო აშენდებიო... მაგრამ ეს სიტყვები გერავინ გაიგო და არც მე შესმის, თქვენმა ვხე, თუ რას ნიშნავს... შემდეგ წააფლო. ხელი მკლავში მაკავოსა, წივილ-კივილით და ორ ნაკადულის ტრემლით ჩაათრია საწყალი იმ სამოც-და-ორ ფეხიანს მარმარილოს ქვის კიბეზე, რომელზედაც ასვლისას მაკავოს ეგონა ცაში მიფრინავსო.

მეც გამოვდივარ იქიდან...

თავი ბიძა ალექსანდრე ქვას ახალს, იმისმა ცოლმა კარინგამაც, იმისმა სახლმაც, იმისმა ლოტომაც!

მაკავო რომ არა ყოფილიყო, შერწმუნეთ, იქ ფეხსაც არ შეგდგამდი, თავათ კარინვას ჩემთვის თვალები არ დასიკებია.

* *

ეგეტ შენი ძალის ლოტო, მაკავოჯან, ეგეტ შენი დიდგატების ქაღინკები და მანქანები.

შებრალები შენმა გაზდამ, მაკავოჯან...

მე შენ კარგა გიცნობ, შენის ნაზის და სათუთის გულის ამ ბავი ვიცი. მაგ შენის ქმრის ტემა-ტეშას, ამოდენა ბეაბრუობას, კედარ გაუძლებ...

არა თუ ძალის პირს, არა თუ სოფლოვანის პირს აღარა ნახავ, შენ შენს ქუჩაშიაც აღარ გამოხვალ ამას იქით, შენ გეკელას და ნინუცასიც შეგარცხებო...

წადი, დაჯექ შენს საკერავზე, შენის ტრემლით დაასველე მუშტრის საქონელი...

ტფილისი

11 თებერვალს 1877 წ.

ნათარგმნი პ. უ.

ჩემს მებრძოლს

ჩაღა დროს შენი მღერა,
ჭიანჭი და ნაღარა;
მუხლებში ღონემ გისუსტა
თმაში გერქვა ჭაღარა?!...

მაგრამ ჩვენს ძეგლებს რომ უთქმისთ:
ჩაღ დაბეჭდება გულით,
თუ არ ყოფილა წნეობით
ვაგლახათ შელახულით,

და გვაშიც რაგინდ დასუსტდეს
მაინც ძლიერობს სულით,
როგორც ძველ ნახარ ჭურჭელში
კახური შენახულია“.

თურმე მართალი ყოფილა!...
მაგალითს ვხედავ შენითა:
სული და გული მრთელი გაქვს
ხორცი თუმც გჭკაღამს სენითა!

მაგრამ შენ შენთვის არ თქმობ:
ჭირი რომ გადავს კარზედა,
შენ მაშინ სტირი და ჩივი
სამშობლოს სატყვივარზედა...

ამით ირისებო უფროსებს,
 იმდურებ ამხანაგებსა...
 ფრთხილად!... ურდო საფანგსა,
 ყოველის გუთხით ნაგებსა!!...

—
 თავს ნუ იმეტებ, სანამდო
 შენს სამშობლოსა აკგიხარ
 და სანამ თითონ არ იგძნო,
 რომ ქვეყნის ურგო პარგი ხარ!!

—
 ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდეგ!
 შენვე ხარ შინი მსაჯული!!
 და მაგალითად ის გუგდეს,
 ვინც ჩვენთვის იყო ტანჯული.

აკაკი.

ბ.....ს

ახალ - თაობის კაცია
და გულის კარგი სწადია,
მაგრამ, ბეჭისა ვერ შეშლევ,
ტრიალობს, რეგულარად,

რამელსაც უნდა გულისათ
თვით გამოწადლოს უოველი:
ბატონის შეილი, სხვის შეილი,
და მრავალ - გეგრი ცხოველი!

ხან ცხვრებსა დასდევს მინდვრებში,
ხან მივარდება წიწილებს;
ძროხებსაც ჰსწევლის, ხოლს უვლის,
ღორს სდენის, გოჭებს აჭეივლებს.

რა საქმეტ უნდა გამოჩნდეს
სუეველას ეპოტინება
და თუ სხვა ნახა უსაქმოდ,
იცის პირ-და-პირ გინება.

ხან და ხან კიდევ დასწევლის,
მაგრამ უგულოთ... ენითა!...
ღმერთმან ხომ იცის, არ შეტება
ამას ის თავის ჩენითა?!

სედავს, რომ თავს ვერ გაართმევს
მარტო ის ამდენ საქმეებს.

და ვინც წაწმადობს ოჯახში,
შის გამო უღრეს და უეუეს,

—

მაგრამ ამ კვანდ მშრამელი
და გადამხდელი ომისა,
ბოლოს სიძულიდს მონივის
ნამყოფად თვისის შრომისა.

—

და გაკიცხულსა, საბრალეს,
თუშნა ხელს ვი ვერ ახვებენ,
მაგრამ გახეთქენ გულზედა...
მიწაში ჩაუძახებენ!...

აკაკი.

ტყე და იმისი მნიშვნელობა.

ზომ გივლია, მეითხველო, ჩვენის ერთათ ერთის რგინის გზით? ზომ გადაგიტრია საქართველო ჩვენის დედა-ქალაქის თბილისიდან მოკიდებული, შავის ზღვის ზღვით გაჩეუულს ფოთამდისინ? თუ გივლია ამ გზასუდ და თუ მეტადრე საფეხულში ჰაზანაქება სიცხის დროს გადასულხარ სურამის ქედსუდ, შენც, უეჭველია, ის ფიქტები გაგივლებდენ თავში, რომელთაც შე გამოირეს; უეჭველია, შენც დაფიქრდებოდი და ივითხვდი: რა არის მიზეზი, რომა საქართველოს ამ ორს ნაწილს შუა ასეთი დიდი განსხვავებაა? რა არის მიზეზი რომ საქართველოს ერთს ნაწილში — ამერეთში, მზისაგან ჩახურებულს დედამიწას სიცხის სული ასდის და მეორეს ნაწილში — იმერეთში შუადღის მზის სიგდოველსაც კი სიგრილის ნიაგი ძლიერებას უგაზგავს? ამერეთში წვიმა ისე ძვირათ რათ მოდის, რომა გვაჯგა თითქმის ორს წელიწადში ერთხელ მტენარეობას აწეობს და იმერეთში კი გვაჯგა არ არის, არ იცინა? ქართლ-კახეთში რატომ ისე ხშირნი არ არიან მთის წყაროები, როგორც იმერეთში? გაუვლიათ თუ არა ამ ფიქტებს შენს თავში? თუ გაუვლიათ და თუ ჰატარა დაგვირგვინის ნიჭიცა გაქვს, ჰასუხს შენვე გამოსძებნიდი. საგმარა რომ კანმა ცაღის მხრივ ქართლის მოტიტველებულს მთა-კლდეებს შეხედოს, რომლებსუდ ხშირათ არამეტუ ტუი, ბუჩქებიც კი არ მოინახება და რომლებსუდაც, საჯა გეგონოს ნიაღვრებისაგან ჩამორტყებილს კასიეულს კლდეებს თავი აოუუვიათ და მეორეს მხრით თვალი გადაავლოს ამწვანებულს ტუეებით შექოჩრილს იმერეთის მთებს. კისაც კი არ დაზარდვას იმერეთისა და ამერეთის ჭავის განსხვავების მიზეზის მონახვა,

მაშინათვე წამოიძახებს: ეს მიზეზი — ტყე არის. მართლაც რომ ეს მიზეზი — ტყეა.

იმერეთში ტყე მრავალია და ამიტომ ჭკაც გრილია, წვიმაც ხშირია და მდინარეებიც უფრო მრავალნი არიან. ქართლ-კახეთში კი, თუმცა ტყე ბევრგან კიდევ არის, მაგრამ ბევრგან ისე ამოჭკაფეს და ამოსწვეს, რომ თუ ეს ასე გაგრძელდა, შეიძლება ჩვენს ქვეყანაში ამ ასს წელიწადზე უოგადი მცენარეული გაწედეს და საქართველო ქუთის ზღვაში ჩამარხულს ქვეყანას დაემგზავს.

ამ თვალსაზრისით მაგალითითა გვხვდება, რომ ტყიანს იმერეთში სიბორო უფრო თანასწორეთ არის განაწილებული, კიდრე ქართლ-კახეთის უტყეო ადგილებში, ე. ი. იმერეთში საფხურელი უფრო გრილია, კიდრე ქართლ-კახეთში და სამთარი კი უფრო თბილი. მაგალითით, მართალია, გვხვდება, მაგრამ შეიძლება თუ არა ამ მოვლენას მეცნიერებაზედ დამყარებული საბუთი გუშოვანო? შეიძლება და ადგილიც არის. ტყეში დიდძალი ხეების ფესვები დედამიწაში არიან ჩახლართულნი და მათგან გათხრილს ხვრელებში სიბორო და სიცივე ადგილათ ჩადის დედამიწის შირიდგან დედამიწის სიღრმეში. საფხურელში როდესაც მხურვალე მზის სხივები, მინდვრათ ბაღასს აყვითლებენ და სტრუსკენ, ტყეში მათი სიბორო დედამიწის სიღრმეში იკრიფება და ამიტომ საფხურელში ტყიანს აღაგას უფრო გრილა, კიდრე გატიტვლებულ მინდვრებში. სამთარში კი როდესაც ჭკერი გაცივდება, ეს დედამიწისაგან მოგროვილი სიბორო ამოღის ჭკერში და იქ იფანტება. ამიტომაცვე სამთარში ტყეში ისეთი სიცივე არ არის როგორც მინდვრათ.

შეიძლება ეს ჩვენი აზრი ორის სიტყვით გამოვსთქვათ: ტყე საფხურელში ჭკერიდგან სიბოროსა ჭკრეთს და სამთარში კი, იმ სიბოროს ჭკერსავე უბრუნებს.

ადგილათ გასაკებია როგორ მაგნებელი უნდა იყოს ქვეყნისთვის წინდუხედავით ტყეების გაწეობა. მართლაც, ესლა ბევრს აღაგას საქართველოში უფრო სუსხიანი სამთარი იცის, კიდრე ეწინ სცოდნის და იმისთანა მცენარეები, როგორც ვაზი, კაკლის ხეები და სხვ. ხში-

რათ ზამთრის ყინვებისაგან ზიანდებიან. ეს ზამთრის სიცივეები უმთავრესათ ტყის გაწეობისაგან მოხდებიან და, თუმცა ზემოხსენებული ალაგებში ზაფხულში უფრო დიდი სიცივეები შემოიღო, მაგრამ რა ხელს მოგვცემს ზაფხულის სიცივე, თუ ამ სიცივისაგან ზემოთ ამოწეულს ხეხილს ზამთრის ყინვა საცოდავად წელში მოჭკაკავს.

ზამთრის სუსხებს გარდა ტყის გაწეობას ერთი მავნებელი მოკლენა სხვატ კიდევ მოსდევს: ყველამ იცის, რომ ხშირათ ჩვენში გაზაფხულის ყინვა ახრებს კენახებსა და ხეხილს. მეცნიერთაგან გამოკვლეულა, რომ იმისთანა ქვეყნებში უფრო ხშირია ეს ყინვები და უფრო მეტი ენება მოაქვთ, სადაც ტყე ნაკლებია. ერთი სწავლული ამოხბს, რომ მასაქვით რაც ალზის მთებზედ ტყეები გააწევეს, იმ მთების ახლო-მასლო ქვეყნებში გაზაფხულზედ უფრო ხშირათ ახრებს ყინვა მოსაკალსა და ხეხილის განჩნაც უფრო გამწვლდა.

სითბოს თანასწორეთ განაწილების გარდა ტყეს ბევრი სხვა სიკეთე მოაქვს. ერთი უმთავრესთაგანი არის გვალვის მოსპობა.

ხშირათ იცის ჩვენში ივლისში და აგვისტოში ცხელი სულის შემხუთავი დღეები; ამისთანა დღეში სიო არ იძვრის და ცაზედ, კაცმა რომ განგებ ეძებოს, ღრუბელს ნიშნათაც ვერ იპოვის. ამისთანა დღეებში ადამიანს სიცივისაგან ჰირი უშრება და ყველგან ისეთი ჰირის სიმშრალეა და ისეთი ცხარე მზე დაჭეუტებს დედამწას, რომ ამ ჰანანაქება სიცივის გამოსანატრათ ჩვენი გლეხები იტყვიან: მზე იბინებაო. როგორის ხარბის თვალთ შეჭეუტებს ამისთანა დღეში მინდორში მოსიარულე კაცი გაფოთლდის ტყეს! როგორ დაწმუნებუდია, რომ ტყეში თუ სიგრილეს არა, ცოტადნათ ნოტიო ჰაერს მაინც იგრძნობს და სულს მაინც მოიბრუნებს! როგორის სიამოვნებით შეადგამს ადროს მგზავრი ტყეში ფეხსა დიდხანს მინდორში სიარულის შემდეგ.

ყუჩველია ბევრს უფიქრნია, რა მიზეზია რომ რაც უნდა გვალვა იყოს, რაც უნდა მტვერათ იტყუოდნენ მზისაგან დამწვარი ნახნავ-ნათესები, მაინც ტყეში ნოტიო არ გამოიღვას და

იქ ხაღინასავით გადაფენილი ფოთლების გრგუპ კაცმა იმთ ცოტა მოხიბქნოს, უთოთ სუელს აღაგამდე მიაღწევსო.

ამ შოკოლენის მიზეზი ბევრგვარია და ჩვენ მხოლოდ უმთავრესებს უნდა მივუთითებთ.

უკვლამ იცის, რომ წყალი სიცხისაგან ორთქლათ იქცევა და ეს ორთქლი ჭაქრში იბნევა. როდესაც ორთქლათ გადაქცეული წყალი ჭაქრის ცივს ადგილებამდე მიაღწევს ისევ შეიკვრის და ღრუბლებსა ჭბადებს. ეს ღრუბლები ჭაქრში მისვლას-მოსვლის დროს ცივს ალაგებს შესვლიდან, იქცევიან წყლათა და დედამიწას წვიმათ უბრუნდებიან. მე წინაწინვე ვსთქვი რომ ზაფხულში ტყეში უფრო გრილად, ვიდრე იმის ცაქრებში. ეს სიგრილე, გაჩნდა ნახევრების მიზეზისა, მოხდება იმისაგან, რომ ტყის ფოთოლი დიდძალს წყალს ორთქლათ აქცევს და ამისათვის დიდი სითბო სჭირდება. ასე რომ მომეტებული ნაწილი მზისაგან მიღებულ სითბოსი ამ წყლის ორთქლათ გადაქცევას უნდა და ტყე კი გრილათა რჩება. წამოვიდგინოთ, ცაში ქარს ღრუბლები აქა-იქა დაჰქვს. უკვლეია, რომ ეს ღრუბლები იქ იქცევიან წყლათა და წვიმათ წამოვლენ დედამიწაზედ, სადაც უფრო გრილს ჭაქრს შესვლიდან და რადგან გრილი ჭაქრი უფრო ტყეს დასტრიალებს, წვიმაც ტყიანს მხარეს ეტანება. ამის დამტკიცება ასისა და ათასის მაგალითით შეიძლება.

ესპანიაში საშინელი გვალვა იცის, რადგან ისპანიელთ ისე ამოჭაუკეს თავისი ტყეები, თათქას ესენა მათი მოსისხლე მტერნი უფოილიყენენ. ეკვიპტეში ისე ძვირათ მოდიოდა უწინ წვიმა, რომ როდესაც იქ 1798 წელს, ჭრანცუხები იყვნენ თექვსმეტი თვე ცვარი არ ჩამოვარდნილა; მაგრამ ამ გოჯის დროს ეკვიპტის ხედივებმა (მთავრებმა) დიდძალი ხეხილი გააშენეს თავიანთ ქვეყანაში და ხეხილის გაშენებას წვიმების გახშირებაც მოჰყვა. ან მოწეს რათ მივდივართ სხვა და სხვა მაგალითების მოსაძებნათ? საკმაოა რომ კაცმა თბილისიდან გოჩამდის რკინის გზით იაროს და გზაზედ მარჯვნივ და მარცხნივ მოტიტვლებული მთები ათვალიეროს; მაშინ იმას ვასუ-

ხი მზათ ექნება იმ კითხვისა, რომ ამ მხარესა გვაღება ასე ხშირი წათ არის. რომლისაჲ სსწაუღის ძაღით ეს მთები რომ ტყეებით შეიმოსონ, ეჭვი არ არის, რომ ესაა გვაღვისაგან გადაშვარი მინდვრები მწვანეთ აბიზინდებოდენ და ქარის ღრეს მტკრის ბუჩის მაგობრით მხიარული ყანების დეღვას დაკინახადით.

თუშტა ტყიანს აღაგას წვიმა სშირათ მოდის, მაგრამ ეს სულ ამო იქნებოდა, ტყის ნიადაგს ერთი თვისება რომ არა ჰქონდეს. ეს თვისება იმაში მდგომარეობს რომ ეს ნიადაგი სხვა და სხვა ფოთლებისაგან შესდგება, რომელთაგანაც ზოგი დამპალა ზოგი მტკრათა ქცეულა და ზოგსა კი ჯერ მხოლოთ ხრწნა შეჰპარვია. ეს ფოთლებისაგან შემდგარი ნიადაგი ზღვის ღრუბელსა ჰგავს და მზადი წყლის დატევა შეუძლიან; ის წვიმის წყალს გარდა დაძინარს თოვლსაც ნელნელა იწოვს; ყველამ იცის, რომ ტყეში თოვლი ისე ადვილათ ვერა დნება როგორც მინდორში, რადგან ტყე თოვლს ქარისა და მზისაგან იფარავს და ბევრჯერ შეხედრია ტყეში მოსიარულე კაცს თოვლის ჰოვნა იმისთანა ღრეს, რომელსაც მინდვრათ თოვლის ხსენებაც აღარა ყოფილა. ნელნელა გაშინარი თოვლის წყალი ისევ ტყეშივე რჩება, ზოგი ფოთლების ხროვაში და ზოგი დედა მიწის სიღრმეში.

სხანს, რომ ტყის ნიადაგი შეადგენს თითქმის ერთს უზარმაზარს წყლის აუზს, რომელშიაც სამთარ-ზაფხულ წყალი არ გამოილევა და საიდანაც ახლო-მახლო აღაგებს ყოველთვის ნოტიო არ აკლდება. ტყე სადაც არ არის წვიმის წყალიცა და თოვლისაღ დამიწაში არ ინახება, ეტანება დაბლობს ადგილებს, ჩადის მდინარეებში და იქიდან ზღვებში, ტყეში კი ეს წყალი დიდხანსა რჩება და მხოლოთ ნელნელა ეძლევა გარეშეთა მხარეს. ამის მიზეზითვე ტყიანს აღაგებში ხშირნი არიან წყაროები, რომელთაც წყალი სამთარ-ზაფხულს არ აკლდებათ.

ბევრგან არის ჩვენში ტყის წყაროები, ბევრს სოფელს აბრუნებინებს სულსა შუა სოფელში მოჩუხჩუხე მდინარე; ბევრსაც კი მო-

ჭკუების ეს სიამოვნება უთავდარიგოთ და უგუნურათ ტყის განების გამო. სხვათა შორის ერთს ჩვენს ქალაქთაგანსაც-სიღნაღს, ჩამოუდის წყარო, საიდანაც მცხოვრებნი მუდამ წყალს ზიდვენ. ეს წყარო უწინ ისეთი დიდი ყოფილა, რომ იმის წყალი ყველას თურმე ხვდებოდა. ამ ბოლოს დროს კი სიღნაღის გარეშემო ისე გაუგაჟამთ ტყეები, რომ ეს წყარო თანდათან შჭება და მცხოვრებთ ერთი ვაი უშველებელი და ჩხუბი აქვთ იქ წყლის ავსების დროს. ეს ჩხუბი ხანდის-ხან ისეთი ცხაკა თურმე, რომ ამ წყაროსთვის „თავ-გატყენილა“ დაუწყვეიათ, იქნება, სამართლიანათაც.

ბარში ტყის გაწეობას თუმცა დიდი ზიანი მიაქვს, მაგრამ ეს ზიანი ჩაღათაც არ ჩაიგდება იმ ზიანთან შედარებით, რაც მთებში ტყის გაწეობას მისდევს. თითქმის ყველა ჩვენი მდინარეები მთის მდინარეები არიან და იქიდან იკვებებიან. რომელს მოეზუდაც კი ტყე არის, იქიდან მომდინარე წყლები თავის დონაზედა დგანან და უბრალოთ მოდიდება, ან დაშრომა არ იციან. ეს იმიტომ, რომ ტყეში არას დროს ნოტიო არ ილევა და მდინარეს თავისი წყაროები არ აკლდება. თუ დიდი წვიმა მოვა როდისმე, წვიმის წყალი ტყეში დაგროვდება და მხოლოდ ნელ ნელა შეემატება მდინარეს.

ასეა, წარმოვიდგინოთ, რომ ეს ტყეები გაჭკაფეს; მიშინ გვაღვის დროს მთის მდინარეები ან სრულიათ დაშრებიან, ან ისე დაზატარავებიან, რომ გაცს თქვდაუსკვლევლივ გადასულა შეეძლოს; დიდი წვიმების დროს კი, რაკი წვიმის წყალი გელარსად მოგროვდება, ერთბაშთ მდინარეს შეერთვის და მაშინ ვაი ნაწიროდ მცხოვრებთა ბრალი; აშოოთებული და აუჭაფებული მდინარე სტოკებს თავის ჩაღრმავებულს გზას, გადადის ნაწირობზე და აღარაუერს აღარა ზოგავს, რაც კი ხელში ჩაუკარდება.

წყლების მოდიდებაზე უმეტესი გნება მოაქვთ ნაადვრებს, დიდი წვიმების შემდეგ საზარელს სახანავს წარმოადგენენ ის მთები, რომელნიც ტყეს მოკლებულნი არიან.

დაეუბნათ უური ერთის ფრანციკის ღაპარაკს, რომელიც შემდეგის სიტყვით ჰხატავს საფრანგეთის აღზეშის მდგომარეობას ტყეების განების შემდეგ:

„შე არ გაზვიადებ იმ ზარალს რაც ტყის გაწეობამ საფრანგეთის აღზეშის მხარეს მოუტანა. მე რომ ცალ-ცალკე სოფლები ვასახელო იმ სოფლის მცხოვრებნი ეგელანი დამეთანხმებიან და შეტყვიან „ეგელა ებ უბედურება შეგვემთხვა, ერთიც ტყუილი არ არის. მე არა მინახავს ამ მხარის მეზავის თვით აჭიკის უდასრომი განუუღს სოფლებშია. იქ კაცი ცხენსა და ბალახს მინცა ნახავს; საფრანგეთის აღშის სოფლებში კი გერც ერთსა ნახვ და გერც მეორეს, აქაურს ხეობებს ზემოდან დაჭეურებს ნათელი, ბრწყინვალე ცა; რამდენსამე თვეს ნაში არ ჩამოვარდება, კაცი ცაში ღრუბელს გერც დაინახავს; მასუგან ურცე იხსნის ცა პირსა და მოდის თავსხმა წვიმა. უტყეობამ სრულეებით გააწეო ამ ქვეყანაში ყოველივე მცენარე; იქ არ არის არც ბალახი, არც ხე; ყოველივე მტკრათ არის გადაქცეული. მიწას არა აკავშირებს რა და წვიმის დროს წვიმის წყალი ჩაღეკავს ამ მიწას და წვრილს კენჭებს დასაღობებში. ზოგიერთს ნიაღვარს დიდროვანი ქვების დამკრაც კი არ უჭირდება, რომელნიც საზარელის ჯახა-ჯუხით ცვივიან თავქვე დაქანებულნი. ადით რომელსამე მსაღობზედ და იქიდან გადმოხედეთ ამ აღაგუს. თქვენს წინ გადაიშლება უდაბურებისა, უგაცურობისა, სიკვდილის სურათი. მზეს დაუხეტქნია საშინელი კლდე-ღრუები და წვიმის წყალი უმეტესათ ადიდება და რცხავს ამ მზისგან დაშობილს აღაგებს. ჩაღეკილი ქვა, კლდე აესებს შთის წელების გზებს, რომელნიც შორიდან ისე მოჩანან, თითქო ქვების ზოლი განგებ გაეღოთო.

ესეთი სანახანი არიან შთის წელები გვალვის დროს; მაგრამ ენა გერც გამოჰხატავს იმ საშინელს სურათს, რომელსაც ისინი ნიაღვრების დროს წარმოადგენენ. ჰმდინარეების მოდიდება რასა ჰქვიან ამ ნიაღვრებთან შედარებით. ისინი ვიაგვანან ზღვას, რომელიც დაქანებული მოდის შთის კალთებში და ვიაქვს თან, რაც კი გზავდა

ხედება უსარმაზარი ქვა-გდებების ერთმანეთთან შეჯახებას ისეთი ხმა აქვს, თითქმის უარსაზნებს ისრადნო. ხანდისხან ნიაღვარი მთელს მთას ჩამოაქცევს და ამისი საშინელი ხმაურობა თვითონ ტყის ქუხილსაც აჩუქებს. ამ ბუნების მოკლენათა წინეთ ამოკარდება საშინელი ქაჩიშხალი, მერე იწყობა მსხვილი წვიმა და ძლიერი ნიაღვრები ეშვებიან თავქვე; ჰატარხანს უკან ჩამოვარდება ისევ ის სამაჩის სიჩუჩი. რომელიც ამ უბედური ადგილების თვისებას შეადგენს.

ამ აღწერას რომ გვითხულობ, უნებურად მაგონდება ალ. ჭავჭავაძის სიტყვები:

„აი ჩვენი მამაკლისა ნამდვილი ხატი“.

თუ ჩვენს ძრანციულებისაგან გვუთხრან ჩვენი წიგნები და ტყეებს რომელიც წესია ისე არ დაკუწიერ გაფთხილება, საფრანგეთში, რაგი მიხედნენ, რა შედეგი მოსდევს ტყეების გაწეობას, მაშინათვე მიტყვეს ხელი თავიანთ მამა-პაპათ სიბრძნის გასწორებას. იქ ესაა არამც თუ ძველს ტყეებს თავლის გაკლებისაგან უფთხილდებიან, არამედ დადამალი ახალი ტყეც გააჩინეს. 1876 წლამდე იქ ახლათ გაშენებული ტყის სივრცე იყო 320,000 დიური და რაც ამ სამს უკანასკნელს წელიწადს გააშენეს, ის კიდევ სხვაა.

მოკლეთ მოგვჩვენო, რისაც თქმა გვინდოდა ამ გველს ბასში:

სადაც კი ტყე ბევრია, იქ ჭავ ზაფხულ-ზამთარ უფრო თანასწორია: ზამთარი უფრო თბილია და ზაფხული უფრო გრილი; ვიდრე უტყუო ქვეყნებში.

ტყე გავლას თავიანთ გავლენებს.

სადაც კი ტყე ბლამათარის, იქ მდინარეებმა არც უბრალოთ მოდიდება იციან და არც დაშრობა, იქ ნიაღვრებს ძალა დაკარგული აქვთ და მთების ჩამოტყვას აღარ შეუძლიან.

ეს სამი თვისება ტყის საკმაოდ ცხადი და თვალსაჩინოა; ცხადი და თვალსაჩინოა ის აუარებელი საჩაღი, რომელიც ტყის უბრალოთ გაკავებას და ამოწვას მოსდევს და მტონის, ყველა დამუთან-ხმის ამ ახრხედ რომ ტყეებს ჩვენ თვალსაჩინისაგან უნდა ვუფთხილ-

დებოდეთ და უნდა გეტყვოდეთ, ის საქმე არ დაგვემართოს, რაც ზოგიერთს მტირე აზრის ქვეყნებს დამართათ, რომელნიც ამ ათასის და ორ-ათასის წლის წინეთ ქვეყნიერს სამოთხესა ჰგებანდენ და ესლავი, გოგელი მტენარეობის გაწყობის შემდეგ, ისე გადამწყარნი და გატრუსულნი არიან მხურვალე მზის შუქთან, რომ ქვეყნიერს ჯოჯოხეთის წარმოადგენენ.

უკვლად დამემოწმეს ტყეების გაფთხილების საჭიროებაზედ, ვისაც კი თვალეი სახილავათა და ყურები სასმენელათ აქვს მინიჭებული და არა მარტო სახის დამაშვენებლათ.

სამს ნათქვამს სარგებლობას გარდა, ტყეს სხვა მრავალი სარგებლობა კიდევ მოაქვს, რომელთაც მოკლეთ ჩამოვთვლით.

ბევრს აღაგას ტყეები ზღუდესავით არიან შემოტრუმულნი და იფარვენ რომელსაღე მხარეს ცივის, ამოხრებულის ქარებისაგან. უმეტესად, რომ ამისთანა აღაგას ტყეების გაწყობა დიდათ მანებელი იქნება. მართალია, ისიც მოხდება ხოლმე, რომ ზღვის პირას ტყეების გაწყობის შემდეგ ზღვის თბილი ქარი დაიწყებს ბერვას იმის ნაპირებზედ და ზამთარს დათბობს, მაგრამ ამისთანა შემთხვევა უფრო ძვირათა ხდება, ვიდრე პირველი, როდესაც ტყის გაკაფვით ცივს ქარს გადაღობილი გზა ესხნება.

ვინ არ იცის რომ მიწის მოსავალს მრავალი უწყალო მტერი ჰყავს. ეს მტერი თუმცა ოთხიგესა და ორინეკლეშიაც მოიძებნება, მაგრამ უფრო საშიში და უმეტესის ზარალის მომცემნი მამულის ჰატრონისთვის არიან მწყენი. ამათ შორის მე დავასახელებ მხოლოდ ერთსა-კადის, რომელსაც სხვებზედ მეტი გნება მოაქვს ჩვენში. კადია ცხელისა და ხმელის ქვეყნების შუალია და იმისი მოსისხლე მტერნი არიან სხვა და სხვა ორინეკლები, მომეტებული ტარნი. ამ მწყერს საშინლათ ეშინიან სიდივისა და ნოტიოსი და ამისგანა ეტანება უფრო იმისთანა მხარეს, სადაც ტყე ნაკლებათ არის. ქართლ-კახეთს რომ კადიის გუნდი და გუნდი დაესევა ხოლმე, რატომ იმეკეთშიაც არ გადადის? იმიტომ რომ იქ ტყე მრავალია, იქ მზე ვერ

ახურებს დედამიწას, რომ კალის კვერცხებს საგმალ სითბო მიუყიდეთ, იქ ნოტიო დაუხშობს სიცოცხლეს წვრილს კალის და თუ, გინიცობა, ორიოდე კვერცხი გადაურება ამ სიცივეს და ფრთების შესმას მოასწრობს, ტყის ფრინველები მაღე ბოლოს მოუღებენ.

ამას დაუერთობთ გიდეკ ერთს შენიშვნას: მცირე აზიასი კალია იჭაურს მცხოვრებთ სწორეთ სისხლის-მსმელ მტრათ გაუხდათ და ეს პეტადრე მასუგან მოხდა, რაც იქ ტყეები გააწვევს.

მე ჩამოვთვალე მხოლოდთ ის ვნება, რაც ტყის გაწეობას მოსდევს და რაც მეცნიერებისაგან დამტკიცებულია. ბევრთ სწავლულთ წარმოსთქვეს გიდეკ, რომ ტყეებს სხვა სარგებლობაც მოაქვთო მაგ. ჭაობიანს ქვეყნებში ტყე ცუდსა, ჯანის სიმრთელისათვის მავნებელს სუნს აწეობსო, ტყიანს ქვეყნებში სეტყვას უფრო ძვირათ მოდისო და სხვ. ამ სწავლულებს ზოგიერთი მაგალითებიც მოჰყავთ თავიანთის აზრის დასამტკიცებლათ, მაგრამ მოჰმდებირეც მრავალი ჭყავთ. რადგან ეს ბუნებების მოვლენაა ჯერ მეცნიერების კანონზღა აზრთან დაჯერებულნი, მეც ბევრი აღაზრევი გსთქვი და მხოლოდთ გაკვრით მოვიხსენიე.

რა უნდა გქნათ, რომ ყოველივე ის უბედურება თავიდან ავიცილოთ, რაც ტყეების გაკაფვას მოსდევს?

ამ კითხვაზე პასუხას მიცემა ადვილია. ყოველმა ტყის პატრონმა იცის რამდენი ხანი უნდა ბეებს გასაზღვრათ. ვსთქვით ოც-და-ხუთს წელიწადზე ხეს ისრე შეუძლიან დასრელება რომ მოსაგჭრელათ ივარკვს. მაშინ ტყის პატრონმა თავისი ტყე ოც-და-ხუთ ნაწილათ უნდა გაჭყოს და ყოველი ნაწილი ოც-და-ხუთს წელიწადში ერთხელ გამოჩეხოს. მაშინ იმას ყოველთვის შეშავ ექმნება და ტყეც იმ ადგილს თავისდღეში აღარ გაწვეება. მხოლოდთ ესეც უნდა ჭქონდეს მუდგეგლობაში, რომ ტყეში, ანც ერთს ნაწილში საქონელი არ შაშვებინოს, რადგან ისე არა ახდენსრა ტყესა, როგორც საქონლის შეშვება. რომელს ტყეშიაც კი წვრილს ან დიდს საქონელს ატარებენ, იმ ტყეზედ პატრონმა ხელი უნდა ადლოს; საქონელი ისე მოჭკორტ.

ნის უოგელს ახალ-მოზარდს ხეს, რომ ზევით აღარ გაუშვებს და თუ ახალმა ხეებმა ძველების ალაგი არ დაიჭირეს, ტყე რაღა ტყე იქნება

მინდოდა კიდევ იმაზედ ჩამომეგდო ლაპარაკი, რომ კარგი იქნებოდა უტყვეო ალაგებში, მეტადრე გატიტვლეულს მთებზედ ახალი ტყე გაგვიზინა, მაგრამ მამაგონდა, რომ ამ წყრილს ქართველებისთვის ვწერ და ქართველებს მაგდენა თავისნაზ ვინ მისცათ!

ვინ მისცათ ამის თავისნაზ ჩვენს მამულის პატრონებს, რომელთა მომეტებული ნაწილი ისე დაბრმავებულია, რომ მხოლოდ დღეისთვის ზრუნავს და ოდნავ ოდნავ გრძელად ნაღდი ფული კი ჩაიდოს ჯიბეში და თუნდა სულ ფესვებიანათ ამოანთხინებს თავის დიდროვანის ხეებით დაბურთულს ტყეს. ზოგი მათგანი თითო ფუტის მუხის ქერქში ერთს აბაზს — სამს შაურს იღებს და ამ აბაზისა და სამი შაურის გულისთვის ორასისა და სამასის წლის მუხის ხეებს აქცევინებს და ტყეში ალბობს. ზოგი შალბაშის გულისთვის ნებას აძლევს, რომ უზარმაზარი ხეები წამოაქციონ და იმ ხილამ, რომლის დახრჩვითაც ათი ფიცარი გამოვიდოდა, მხოლოდ ორი ფიცარი გასთაღონ. ზოგნი კიდევ ერთი ჩანახი ფეტვის ღაღათ ადების გულისათვის ერთსა და ორს დღიურს ტყეს ძირონათ აწვევინებენ.

ამ გვართ პირთ ეს საქციელი უფრო სიხარბით მოზდით, ვიდრე უგუნურებით. თუნდა კიდევ რომ გაიგონ, ტყის გაწეობას რა ზარალი მოსდევს, მაინც ისინი თავისას არ დაიშლიან. ემათ თავიანთ თავისა და მუცლის-მოყვარეობის დროშაზედ დაწერილი აქვთ ეს სიტყვები: „თუ მე არ ვიქნები ქვა ქვანდაც ნუ იქნებაო“

სწორე მოკახსენეთ, მე ამგვართათვის არა ვწერ, რადგან მათა ჩაგონება შეუძლებელია. იმათი გონება ისე მრუდია, რომ მხოლოდ სამარე გაუსწორებს.

თუ ეს წერილი დაგწერე, დაგწერე მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაგება შეუძლიან რასამე და სურს ისე მოაწეოს თავისი ცხოვრება რომ თათონაც იცხოვროს და თავის შთამომავლობაც ცხოვრების

სახსარი არ მოუსპო. ეს წეწილი იმათთვის დაეწერე, რომელთაც
 თავის შთამავლობისა და მომავალის საქმე სათრეველს მჩვრათ
 არ გაუხდათ და რომელნიც ამ მშენიერს ანდაზას: “ისა
 სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ დაუბრუნებენ
 “ისა სჯობს მამულისათვის, მეობადი სჯობდეს წაწმენულსა“

მ.